

# ლიტერატურული გზეუტი

№3 (163) 12 - 25 თებერვალი 2016

ბამონის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი

აკა მორჩილაძე

სუმბუქი საგაზეთო სერიალი

II-III

ნუგზარ ზაზანაშვილი

უსათაურო ლექსები

IV-V

ოლდოს ჰაქსლი

ორი ესე

XIV-XV



დასაწყისი №160-162

1.

ბინდიანის ქალაქი საღამო ჟამი კამათლის გორების დროა.

უძველეს ხანიდან ის სამიჯნურო ალაგად იყო ნახსენები და ასე გასინჯეთ, პატარაძალთა შენიღბულად გადარბაზულები-სათვისაც მორგებული ქალა გავხლდათ.

ქვაბლიანური დროების მინურვილიდან კი სწორედ რომ ეს ბინდიანი გაიღო ხელისუფლებამ ქალაქში ერთადერთ თავმყერის ადგილად. აქ მოხუცები მოიკრიბებოდნენ ხოლმე და ნარდს თამაშობდნენ. ეს უფლება მათთვის თავად გენერალ-პრეზიდენტს ებოძებინა, რაღა თქმა უნდა, ასურასტან ასურასტანის ჩაგონებით. ესეც ჩასათვლელია, რომ ქვაბლიანს ნარდი უყვარდა და ერთადერთ კანონიერ თამაშადაც კი გამოეცხადებინა.

ილია აბულასანი ამ ადგილს საბოლოო განთავისუფლების შემდეგ შეეჩვია. სულ მარტოდ დარჩენილიყო და თან იმ წლებში, შედარებით თავისუფლების ჩამოდგომის ჟამს, ბინდიანის ქალა ნაპატიმრალ ბერიკაცთა საყვარელ ადგილადაც ქცეულიყო. ძებნა-გამოტყევის ერთი-ორი მზირი ყოველთვის შორიასხლოს ტრიალებდა, მაგრამ აქაური საუბრები არასოდეს ყოფილა ისე ხმამაღალი, რომ ალბერვილის ბადეს ვინმე მოჰყოლოდა.

აბულასანისთვის ბევრი რამ იყო გემრიელი ამ ქალაქში: ძველი სიბოძის ნარჩენები, სიყმანვილის არსებობის უტყუარი საბუთები, ან უბრალოდ, ლაშქრობა მარტოობის წინააღმდეგ.

რევოლუციური ღამის შემდეგ აბულასანმა ერთხელაც ვერ ჩააღწია ქალაქმდებოლოს დრო მანც გამოძებნა და ფრანგ ჟურნალისტთან ერთად მივიდა იქ.

მთელი ქალა მათ შემოუსხდა გარშემო. ვილაცამ ღვინო მოიტანა, სულ სამი ბოთლი. მწვანე მერხებზე მსხდომნი ერთი, ყურმომტყრეული ფინჯნით სვამდნენ და ლაპარაკობდნენ. დე მორანდი ილიმებოდა, თავადაც ჰყვებოდა რაღაცებს. აქ ფრანგული ესმოდათ, ზოგიერთებს მაინც.

სევდიანი, თუმცა ცოცხალი თვლების თამაში, დაგუდული ხმები და ერთგვარად მკაცრი ნაკვეთი ფრანგს ახსენებდა მოგზაურობას შორეულ მხარეში, ქვეყანაში, სადაც ოდესღაც ყოფილა, გაქუცულ ქალაქში უსვამს ღვინო ვილაც კეთილ კაცებთან ერთად და უფიქრია, რომ არაფერია უფრო ძვირფასი, ვიდრე სიმშვიდე და უბრალო ლაპარაკები მაშინ, როცა მზე ჩაღის.

ეს იყო, რომ დე მორანი ეჭვობდა, ეს მოგონება გამეორებით სწვევოდა. ზუსტად ისე, როგორც ხდება ხოლმე ცხოვრებაში.

აბულასანი კი ორი ფინჯანი ღვინის შემდეგ თავის საყვარელ ზღაპარს ჰყვებოდა:

— აი, ამურების დრო მაშინ იყო, ვარდის ფურცლობები და მთელი ამბავი. ზემოთ ერთი რესტორანი იყო, სიმპატია ერქვა, მის პატრონს ილარიონ სახელას ეძახდნენ. მერე დაუხურეს ეგ რესტორანი. თორმეტ საათზე პოლკოვნიკი ამარინდო ამარინდი ქვემეხს დააჭექებდა გაღმა ბექობზე. ჩვენ დავდიოდით პირდაღებულები. მეტი, ალბათ, არც არაფერი გვეხერხებოდა. აი, იმ აივნიდან ვარდენ მობანე გადმოდებოდა და მთელს ქალაქს ატყობინებდა მნგრეველი ბასით, გავიღვიძეო. იეჰ, კიდევ რა მახსოვს? საღამოს სეირნობები, ფლირტი და ვაშლებით გამასპინძლება. ლიქიორების შეჯიბრი, მაქმანების შეჯიბრი, კულულების აუქციონი. კრივი ქუჩაში და ჩრდილების თეატრი... მოკლედ, თევრო, აი, ჩემი ეროვნული პოზიცია. სასაცილოა, არა?

— ოოო, ჯადოქრობაა, — წარბებს რკლავდა ფრანგი.

— გახსოვს, ილუმა, ღვინით სავსე კასრები რომ დააგორეს თავდაღმართში? — ეკითხებოდა ვილაც, — მთელს ქალაქში ღვინის სუნი იდგა...

— აისიდორა დუნკანი გახსოვს, ფეხშიშველი რომ მიდი-მოდიოდა ალისონის სასტუმროში?

— აისიდორა დუნკანი? აქ იყო? — უკვირდა დე მორანი.

— აისიდორა, აისიდორა, გასაგიჟებელი და გიჟი.

მეგობრები სახელმწიფო საქმიანობას უწუნებდნენ აბულასანს. ქვეყნის ამბებს ქუჩაში იგებ და მერე ხელებს შლიო.

— არა ვარ მთავრობის კაცი, — მართლაც ხელებს შლიდა ილუმა-მელექსე, — ბიჭებს უჭირთ და... საერთოდ, კაცმა არ უნდა იმუშაოს. რომელი ის მე ვარ?

ლელავდა, რადგან მართლაც განაგებდა სახელმწიფო საქმეებს. ნიაღვრის ქუჩაზე, სადაც რატომღაც ყოველთვის ქარი უბერავდა, ასურასტან ასურასტანის ჩუმ და უკარება სახლში ერთი აურზაური იყო.

სწორედ იმ დღით, დედიკოს და მამიკოს, პატარა ასიკოსთვის ფრანგი აღმზრდელი ჩამოეყვანათ. ჩვეულებრივ მდუმარე სახლში, სადაც კამკაშა სინათლეც კი არეულობდა ითვლებოდა, ოქროსკულუბიანი პატარა ასურასტანი დაქროდა ოთახიდან ოთახში და მასწავლებელს ემალეობდა. ნორჩი ასიკო კარს ენარცხებოდა, სკამებს აყირავებდა და კიოდ.

— ენ, დე, ტლუა, ენ, დე, ტლუა... — მადმუაზელ ჟერეზეზა მოუღლედა დაჰყვებოდა ონავარს და ცდილობდა, მისთვის ახა-

აკა მორჩილაძე

ნანერები პარდის და გულგულისა სუმბუქი საგაზეთო სერიალი მეოთხე სერია — კატა და კალდი



ლი ცხოვრების დასაწყისი შეემსუბუქებინა.

პოლკოვნიკი ასურასტან ასურასტანი პირველ სართულზე, თავის კაბინეტში შეკეტილიყო და საათში ერთხელ დაიძახებდა ხოლმე:

— ბოგდიხან, ჩაი!

და როცა ბრვე კაცი ჩაის მიართმევდა, საიდუმლო მრჩეველის სისინი მოესმოდა:

— დაგანინკნით უღვაშებს, ბავშვი გაართეთ...

პოლკოვნიკი რაღაცას წერდა, ჯღაბნიდა და ქალაღებებს ჭმუჭნიდა, მერე ისევ ხელახლა ასვლებდა კალამს.

ნაშუაღამევს, როცა უკვე ყველას ეძინა, კაბინეტიდან გამოვარდა და სავარძელში ჩასვენებული ბოგდიხანი გააღვიძა:

— ეტლი, გენერალ-პრეზიდენტთან მივდივართ...

მეორე დღა, 1935 წლის 17 სექტემბერი, სამახსოვრო გამოდგა, ერთი ხნით მაინც.

წინაღამ გენერალ-პრეზიდენტმა ბატის ფრთა ჩაანო ამირბარის ნაქონ სამელნეში და ხელი მოანერა ასურასტანის შედგენილ საბუთს შაითანბაზარში ადამიანთა სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ.

ამ მოულოდნელი საჩუქრის შესატყობად მთელს ქალაქში გამოიფინა ქვაბლიანელთა შავნითელი დროშები და ძებნა-გამოტყევის სამინისტროს მესაყვირეთა გუნდმა უსასრულო მარშითაც კი მოიარა ქუჩები.

თოთხმეტ სავაჭრო წერტილს უსასყიდლოდ დაარჩევს თითო ტომარა სიმინდის ფქვილი და, ასევე, თითო ლიტრი ნავთი. მთავრობის ამ საჩუქრებს მოსდევდა გენერალ-პრეზიდენტის კარგა მოზრდილი პორტრეტები, აშკარად უცხო მხარეში დასტამბული და მორთული შავნითელი არშიით.

ასურასტან ასურასტანი ალბერვილის სახლის მეორე სართულზე იდგა ერთ-ერთი ოთახის ფანჯარასთან და უკანა ეზოს გადასცქეროდა.

ფრანგის მიერ ნალოლიავები ბალახი აღარ არსებობდა და აღარც მისი სათბურები, მაგრამ აღარ არსებობდა თავლებიც, აჯანყების შემდგომ წელიწადს რომ მოენყყო სათბურების სანაცვლოდ. ის საზიზღარი, თუნუქით შეჭვდილი თავლები ასურასტანის ბრძანებით მოენგრიათ და მაინც ბალახი დაეთესათ, თავლები კი ქუჩის გადაღმა გაემართათ. ასურასტანი ახლა ერთგვარი ბრაზით გასცქეროდა აბიზინეულ ბალახზე ჩამორიგებულ სადალაქო მაგიდებს, სადაც ცხრაასოცდამვიდი პატიმარი უნდა გაეპარათ.

საიდუმლო მრჩეველი ღამენათევი და მღელვარე გახლდათ. ბეირუთიდან მოსული წერილის შინაარსი ავალდებულებდა, თავზე ხელი აეღო და ქვაბლიანთან სიკვდილით დასჯის გაუქმებაზე ელაპარ-

გვეჭირდება და მერე კი ვნახოთო. მერე მიუჩუმებოდა, ამის ოსტატი იყო.

ილია აბულასანიც ამ სამუშაოზე გასარეკ პატიმართა შორის იყო.

ისე ჩანდა, ერთი თვე ვარ-ასფაგურის ქვაბებში უნდა ეცხოვრა, თუმცა ამისა ჯერ არაფერი იცოდა. გახმინებულიყო კი ალბერვილში, სადაც გაგვეკავებოდა და მერე ისევ მოგვეკავებო. პატიმრების სია თავად ასურასტანს შეედგინა, მოხუცებს და უძლურებს მორიდებოდა და შესაძლო მარქაფიც ჩამოენერა.

სისხამზევე ალბერვილის ეზოში მოერეკათ ქალაქის მთელი დალაქობა.

აქ იყვნენ ძველი, თათრულ ადათზე თავის მპარსავი დალაქები და მენურბელენი, შელოცვათა მცოდნე ბებრები სატინის ხალათებითა და ჭრელ ქუდეებით მოარულნი ქალაქში: ააქო, მარზეპანა, ზემო შაბტენა, ხიშტო და ცნობილი მუნჯი დალაქი, და აქვე იყვნენ ფრანგულ სახელოსნოთა უწინდელი მეპატრონენი, მეპარიკენი და მვარცხენელ-დამქუჩქუჩებელი, ან უოდეკოლონოდ და უპუდროდ შთენილნი: პილიო, სალვიო, კოხტა ანგერცუნი, პარიკმახერი შენდარდია პოლოკი.

თმის პროფესორთა ორივე ფრთა, აზიურიცა და ევროპულიც, უტყვად აკრაჭუნებდა ხელის მანქანებს, რადგან ტუსაღებთან გასაუბრება მათთვის ხმამაღალი ბრძანებით აეკრძალათ.

თმა-წვერის ნარკვეცის შემდეგ პატიმრები დაანყვილეს, მაჯებით ჩააბეს ერთმანეთს ძველი ნაცადი ხერხით და ეზოს ჭიშკართან ათეულეზად მოანყვეს. სულ ახლოს იყო მზენაკლული დღით მოდუნებული ქალაქი, ფერნასული და რაღაცნაირად მხვენეული და როდესაც ბადრაგი ზღურბლს იქეთ გადაუძღვა პირველ წყვილს, ვილაცამ შეჰყვირა ეზოში:

— გაუმარჯოს პრეზიდენტ ამირბარს, ძირს ველურები!..

ათი წლის განმავლობაში ეს იყო პირველი ხმამაღალი მონოღება ამბოხისაკენ, გამოთქმული საჯაროდ და ხმამაღლა, მაგრამ შემძახებელს არავინ აჰყოლია. ისა და მისი მეწყვილე მწკრივიდან გამოათრიეს და ალბერვილის უკანა სადარბაზოსკენ გაირეკეს ნიხლის ცემით.

ამ დროს ძებნა-გამოტყევის ჯიგრები ქუჩებზე დაჰქროდნენ და ხალხს სადარბაზოებში ერეკებოდნენ. ასურასტანს კარგად შეედგინა ტუსაღთა საბრაუნოს გასავლელი გზის გეგმა, მაგრამ ოთხ-ხუთ ადგილას ხალხი მაინც დინახავდა პატიმრებს და პატიმრებსაც შეეძლოთ ვინმეს დანახვა.

თავიანთი ბებიებისაც კი. — დახურე ფანჯარა! — შეეთრიე შიგნით! — დაკეტე მალაზია, გადი საწყობში!

პატიმრები კი უსიცოცხლო ქუჩებზე მიაბიჯებდნენ.

ბადრაგი დიდი იყო და ავი. ოთხ ტუსაღზე ერთი ჩაფარი დაითვლებოდა თავისი შაშხანითა და სამოცი ვაზნით.

აბულასანს მენყვილედ ხვდა ერთი მხარბეჭიანი, შავყვითელი, წარბადაბმული და ფართე ნესტოებიანი ჯეილი. ცისფერთვალეა და წითელხელეა მეტად ჰგავდა იმ ზღაპრის გმირს, გველუშაპი რომ მოკლა და წყალი დაუბრუნა საბრალო ქალაქს.

როგორც პატიმარი პატიმარს, აბულასანი სცნობდა ამ კაცს და ის ერთგვარად მოსწონდა კიდევც.

მენყვილეს ანდუყაფარ საურმაგი ერქვა, თუმცა ყველა შერქმულ სახელს — უმლილოს — ეძახდა, რაიც რომელიღაც ენაზე ხანძარს ნიშნავს.

ის მარტოხელა ყაჩაღი გახლდათ. თავისებური ყაჩაღი, სახელმწიფოს მწირი ქონების ცეცხლის ნაკიდებით გამნიავებული, დამცემი და ყოველივე ამისთვის პოლიტიკური სარჩულის დამდები დასახვერტი ვინმე.

ანდუყაფარ საურმაგს აფსუსის ხევის შემრიგებლად ემსახურა ამირბარის ხანაში და სინამდვილეში დუხტია მესამლე ერქვა. ანდუყაფარ საურმაგად ის ერთ ქლესა ლიტერატორს მოენათლა, რომლისთვისაც დუხტია მესამლე მინის ნაკვეთი ერქუქებინა აფსუსზე და ეთხოვა, ერთი რამ კარგი გვარ-სახელი შემირჩიე, სადარბაზოდ რომ მოვიხმარო.

შემრიგებლობა სირიუს ამირბარის მოგონილი თანამდებობა გახლდათ და დანყობილი შინაარსით უბნის წინამძღოლს, იმავდროულად კი მამასახ-

ლისსა და მოსამართლესაც ნიშნავდა. აფსუსის შემრიგებლობა ერთ განსაკუთრებულ რამეს ნიშნავდა ამირბარი-ანთ დროში.

აფსუსის ხევი შაითანბაზრის ერთ-ერთი გარეუბანი იყო.

ერთ დროებაში იქ ნაგავსაყრელი მოეწყობა და ასეთი სახელიც ამიტომ შერქმეოდა — აფსუსი არ არის, ასეთ ადგილას ნაგავი იყრებოდა.

იქ ადრინდელი დასახლებულიყო უჯი-ათ და მკაცრ მენაგვეთა გვარები და ერთი მოზრდილი, მკაცრი და თავისი კანონების თავადვე გამომთქმელი თემიც მოხილიყო. აფსუსში სამართლის ქრა ერთეულთა ნიჭი იყო. მერედამერე თვით ქვაბლიანიც კი დიდად ეფერებოდა აქაურებს, უცბად ანინაურებდა და საჭიდაო მოედანზეც პირველად მათთან მივიდოდა ხოლმე.

ანდუყაფარ საურმაგის ვაჟკაცური თანამდებობა ახალ მთავრობას შეენირა და მასაც ბევრი აღარ უფიქრია, ცოლ-შვილი კონსტანტინოპოლს გახიზნა ცოლის ბიძასთან. ტანზე, სამოსელს შიგნით, შეიდამთავროს დროშა შემოიხვია და ტყეს მისცა თავი.

დუხტია მესამლე არ შეერთებია ხუხუნიკა ხუხუნისა და სხვათა რაზმებს, მარტომ დაინყო ქვაბლიანელთა ქონების განადგურება და გვარიანი ხელმარჯვობითაც, მაგრამ ათი წლის თავზე მაინც ჩავარდა და დასახვრეტთა საკანშიც მოხვდა. თუმცა, ბუნდოვან მიზეზთა გამო მისი დახვრეტა გაჭიანურდა და იმ დილით სიკვდილით დასჯის გაუქმებამაც მოუსწრო.

ახლა კი ერთად იყვნენ წყვილში, აფსუსელი შემრიგებელი და ილუშა აბულასანი. ფოლადის მტკიცე ბორკილით გადავებით მათი მაჯები და კოჭები.

2.

აღმართები კი იყო ძნელი, მაგრამ მონატრებული.

— შენა, რა უბნელი ხარ? — ვერ ისვენებდა დუხტია მესამლე.

— ისმაილზე ვცხოვრობ, — უხალისოდ მიუგებდა აბულასანი.

— მე ხო მიცნობ?

— კი.

ძალიან ხმა კი ჰქონოდა ამ ყაჩაღს, თითქოს ბირდაბირი დაადგა ნუჟროს.

— შენ ვისთან ომობდი, ხუხუნიკასთან?

— ჰო.

— მერე რა გინდოდა მაგ პრონჭიაშვილთან, ჩემთან ვერ მოხვედი? — გიჟი იყო, გიჟს რა მოეთხოვება?

— ჩუმად, ბიჭო, — ბადრამა იხსნა აბულასანი.

— თორე, რა? — ნაიბურტყუნა დუხტია მესამლე.

მერე აიარეს აღმართი და შაითანბაზარს კენწეროზე მოექცნენ.

დიდხანს მიდიოდნენ, მთელს ნახევარ დღეს. როდის-როდის მიადინეს უბალახოს ბორცვებს და იქედან კიდევ, შეუსვენებლად გასწიეს ვარ-ასფაგურის ქვაბებისაკენ.

ამ ქვაბებში ბარე ათასი წლის წინათ დაენერა მავან ბერს მათიანის თორმეტი ფოლიანტი და ეს ფოლიანტები აბულასანისთვის ციხეში მოურბენინებინათ საიდუმლო მრჩევლის ხელქვეითებს. ნაბრძანები იყო, ისტორია უნდა გარდაითქვას სახალხო ენაზე და იქ მხოლოდ საგმირო საქმეები დარჩეს.

მებადრავებმა ჩირაღდნებით მოიარეს გამოქვაბულები და ტუსალებიც შეირეკეს სიის ხელახალი ამოკითხვის შემდეგ. ქვაბები საკნებად არ გამოდგებოდა, ზოგან ათ-ათი კაცი ძლივს დაეგია, ზოგან ორმოცდაათამაც ვერ გაავსო იქაურობა.

თავად ჩაფრები ქვაბთა ამოშავებულ პირებთან ჩამოსხდნენ და გზაში დაჭყლეტილი ღარიბული საგზლის ამოლაგებას შეუდგნენ.

შეღამებულზე აქ ამოაღნია ორმოცმა ფორანმა ალბერვილის ციხის უფროსის, მაზერ მაუზერის წინამძღოლობით. ფორნებზე ელაგა ურიკები, ბარ-ნერაქვეული და საველე სამზარეულოს მონყობილობა.

პატიმრებს კარგახანს ესმოდათ რახარუხი და გინება. მერე კვლავ ჩირაღდნებით დადიოდნენ და სიას კითხულობდნენ.

ვარ-ასფაგურის ქვაბებში ციოდა, ათასწლოვანი ნესტი მოსდებოდა კედლებს.

საბრალო ტუსალებს დაბორკილებს მისძინებოდათ, მთელი დღის მშვირებს და დაქანცულებს. მათ არ იცოდნენ, რა მოელოდათ.

აბულასანი იმასაც კი ფიქრობდა, ეგებ ყველანი აქვე უნდა ჩავგვოცონ და ჩვენსავე გაჭრილ დიდი სამარეში ჩავგყარონ, რადგან სიკვდილით დასჯას ესენი ტყუილად არ გააუქმებდნენ და ისე იზამენ, რომ დასახვრეტი არავინ ჰყავდეთო. თავადაც არ სჯეროდა ამ ფიქრის, მაგრამ ეჭვად კი დაემარაგებინა. ისე კი, ეს მოქანცველი მოგზაურობა მოსწონებოდა კიდევ, თავისუფლების ნამტვრევი თუ ეპოვნა გზად გატარებულ დღეში.


— გძინავს? — არ ეძინა შემრიგებელს.

— არა, — უხალისოდ მიუგდო აბულასანმა.

— რა გქვია შენა? დამავინცა...

— ილუშა.

— ჰო, ილუშა, — მხარი იცვალა დუხტია მესამლე, — ქალ და კაცსავით რო ვნევართ აქა. სამშობლოზე ვფიქრობ. ტანჯულია ამ ქოსა ჭილყვავებისგან. კაცს ნვერი ვერ მოუშვია და უნვერო მამულიშვილმა რალა უნდა ქნას?



ვირის თავ-ფეხი უნდა ქნას... აბულასანს არ უპასუხია.

— უნდა გადავარჩინო ჩემი ლამაზი სამშობლო... მიყვარხარ, შაითანბაზარო. იცი, რა უნდა ვქნათ? ფქვილის სანყოფებს მივაკვლით და დავწვთ. ხალხი დაიმშვევა და ამით ჩამოგდებდა. აფსუსზე სახლს გაჩუქებ, მადალენას და იაგორას ჩამოვიყვან სტამბოლიდან... ახ, ჩემი შაითანბაზარი... ამით თავებს ჩამოვიკიდებდი ყაით-მაზას ციხის გალავანზე და გაიხარებდა უბედური აფსუსი... რაც იქ ნაგავი მოუზიდნიათ? ყურები დავაჭერი მაგათ მენაგვეებს, აქ აღარ დაგინახოთქო. მეორე ჯერზე ჯარი გამოაყოლეს. სანამ არ დაეაგორე ერთი, არ გაჩერდნენ. ჯარმა მაჯობა, ბევრნი იყვნენ. ფერდში ტყვია დამიტოვეს...

— მენაგვეებს რას ერჩოდი? მანდ სულ სანაგვე იყო, — შენუხდა აბულასანი.

ბნელში აბრიალდა დუხტია მესამლის თვალები:

— შენ ეგებები არ იცი. მამაჩემიც მენაგვე იყო და პაპაჩემიც. მეც მენაგვეობას ვსწავლობდი. ვერ ჩავეტეე მენაგვეობაში. მენაგვე რა არი? უნდა იცოდეს, სად აკრიფოს და სად დაყაროს. ესენი კიდე ეზოების წინ ყრიან, მაინც აფსუსაო... ავიღე და დავაჭერი.

აბულასანმა თავისუფალი ხელი ამოიღო თავქვე და თვალები დახუჭა.

— შენა, ხუხუნიკელო, რა შმოთი დაინყე, ხო არ იძინებ? — ბორკილს მოქაჩა შემრიგებელმა.

და აბულასანმა უპასუხა:

— ჰო.

აფსუსის შემრიგებელი წამოჯდა და

მკაცრად ნაიჩურჩულა:

— ხუხუნიკელო, შენ არ გიყვარს სამშობლო? არა, თუ გიყვარს, თორე ისე ყველა იტყვის, მიკიტნის ცოლის მოსატყვევლა...

არ დაიმალება და აბულასანს სამშობლო აღარც ახსოვდა, რადგან უკვე თვითონ იყო სამშობლო. სხვაგვარად კი, სამშობლოზე უარეს დღეში ჩავარდნილი, თავის ნილ უძღურებას ვერ მორეოდა.

— შენ რო სამშობლო დაგავინცდა, ეგ ვიცი... რომელია, რო ახსოვს... მე სხვას გეკითხები, გიყვარს ჩვენი გულხელდაკრეფილი შაითანბაზარი?

პოეტს არც ახლა უპასუხია.

— ემაგ დუმის ვენაცვალე, — აღმოხდა დუხტიას, — გეტყობა, რო არ შეგიძლია ჩვენ კეთილ სამშობლოს გარეშე. უნდა მოიკლას ჭილყვავი და ეშველება...

აბულასანს ძილი მიათრევდა კეთილ ქვეყანაში.

— ბიჭო, ხუხუნიკელო... ეხლა ამას რო გეუბნები, ვითომ ნუ გძინავს...

აბულასანს აღარც კი ესმოდა მისი დაგუდული ღრჭილი.

— ბიჭო, ხუხუნიკელო. სხვა დროს რო-

დის გამოვალ სუფთა ჰაერზე და ამაღამ უნდა გავიქცე. რაც იყოს, იყოს, ერთხელ დავიბადენით. ისვრიან, გული შევუშვიროთ. არ გინდა? არა და ამ ჩემის შაბან ყურბანას დარდი. შენ მაინც ვერ დარჩები, ერთად ჩავგაბეს და...

— არსადაც არ წამოვალ, — უცებ გამოერკვა აბულასანი.

— დარჩი, ჰა, — მიუგდო გაბრაზებულმა შემრიგებელმა და წამოიწია. მერე წელში მოხრილმა გადადგა ორიოდ ნაბიჯი და გალუული აბულასანი მარხილივით წაითრია.

— ეეე, — ჩურჩულით გაუწყნრა პოეტი.

— ანი გავა-ტრაკები, სამშობლო გვიხმობს, — გაამხნევა დუხტია მესამლე, — მუშტი მაქ, მეკუბოვეები მლოცავენ...

როგორ გათენდებოდა?

მთლად არ ცოდნოდათ ჩაფრობა. აბა, რა ჩაფრები ეგენი იყვნენ, შეეყარათ ძებნა-გამოტყვის ჯარში და არც აჭმევდნენ ნესიერად. ორმა დაბორკილმა კაცმა აჯობა. ორმა კი არა, ერთმა.

3.

კვლავ გაუსაძლისი აღმართები იყო, ხეები ხომ საერთოდაც.

— სანამ ეგენი რო გადათვლას დაინყებენ, ხუხუნიკელო... აგე, რო არ მიჯერებდი.

აბულასანი თითქმის მკვდარი იყო, ოღონდ უკვე თავისუფალი. დუხტია მესამლეს კი თითქოს ძალა ემატებოდა. რაც აბულასანს აკლდებოდა, შემრიგებელს თუ მისდიოდა.

— ხო გეუნებოდი, ხო გავაფართხალე ცხვირ-პირი.

მან ერთი ჩაფარი ჩაწყლიტა მუშტით

და გონდაკარგული ხევისპირამდე ათრია პოეტთან ერთად. მერე ხევი დააცურა და შაშხანაც მიაყოლა, არ მინდა მაგათი ნახმარი თოფიო.

— მოკალი? — ენა დაება აბულასანს.

— დილამდინ იძინებს. მოკვლა რა, რათ უნდა მომეკლა? მერე ღმერთი გააღვიძებს. თუ გააღვიძებს. სანამ მაქედან ამოვა და ჩვენ, იცი, სად ვიქნებით? მაგათ ყარაულის დაყენებაც არ იციან. სად დაუყენებიათ, რო? მარტო მუჯღუგუნენ და დაბორკილი კაცის ცემაში არიან მაგრები... წამო, ჰა, ხუხუნიკელო, რა ლოცვები დაგემართა? იცოცხლებს, ერთი ძილი ხეირია...

აჰა, წინ, მგონი, ოსმალეთი იყო. აბულასანს ასე ეგონა. დღის ბოლოს თათარუნდოს მიადგებოდნენ, მეგზური დასჭირდებოდათ და საჭმელი. გამქცევთათვის კი იყო დალოცვილი ქვეყანა.

განთქმული აგურის კედელი, რომელიც ოსმალეთთან ხილული საზღვრის ერთ ადგილს კეტავდა, ჯერ არ აუშენებინათ და სახელმწიფო საზღვრის იმ მიჯნების ყურის გდება მინდობოდა ერთ ცალთვალა ვინმეს, სახელად ამფილოქვე ქვემოკლეს, საზღვარ-გზების შემომხმების ოცულის მეთაურს, ძველ რკინიგზელს, ქვაბლიანელთა ხანაში რალაც მანქანებით დანინაურებულ კაცს.

ამფილოქვე ქვემოკლეს იმგვარად გაემართა საზღვრის დაცვის საქმე, რომ უმისოდ ქვეყნის სამხრეთ საზღვარი ვერ იარსებებდა.

ჩრდილოეთიდან მიუვალი მთები ფარავდა ქვეყანას. თუკი ვინმეს მოუნდებოდა იქედან შემოსვლა, გაუქმებულ სამატარებლო გვირაბს უნდა წამოჰყოლოდა და აკი ენირებოდნენ კიდევ ამ საქმეს მთვრალი და მამაცი კაზაკები, იბნეოდნენ იმ გვირაბში და იკარგებოდნენ.

სამხრეთი კი ქვემოკლეს ეყრა. ყოველი ბილიკი და გადასასვლელი მას სამუდამოდ შთაბეჭდოდა გონებაში და საზღვარზე უჩუმრად გადასვლელ-გადმომსვლელთა მთავარი მეგზურიც თავად ბრძანდებოდა. საზღვარზე წამოვნი ფულით, ოსმალს ერთ პატარა ქალაქში, კარმიდამოც მოეწყო და იმავე კარმიდამოში გადასვლელ-გადმომსვლელთა ერთგვარი თავშესაფარიც გაემართა. ძებნა-გამოტყვის ბიჭები დაემუქრებოდნენ ხოლმე საზღვრის მეუფეს, მაგრამ ამფილოქვეს მათი არ ეშინოდა: ერთი რომ, სახელმწიფო საბუთი ელო ვიბეში და მეორეც, სამტროდ მოსულნი ვერასოდეს მოიხილეთებდნენ. მთავარ მესაზღვრეს ქალაქში მფარველი ეგულბოდა, რომელსაც, რა თქმა უნდა, ასურასტან ასურასტანი ერქვა. ამიტომაც ქვემოკლეს დიდად არ ეშინოდა ალბერვილელთა სტუმრობისა. გადამოღმა სოფლებში არაყს ყიდულობდა და კარგად გამობრუნული მთის წვერიდან გამოსძახოდ ხოლმე ბილიკზე მლოდავ გამოტყხელთა რაზმს: იია, ჭიაშიეობ! აი, თქვენი ოხერი დედა ვნახე თქვენი მამინაცვლის ხელში, თქვე თითისტოლეთო...

ასე იყო და დუხტია მესამლე იცნობდა ქვემოკლეს, მაგრამ არ ენდობოდა. ბოლო შეხვედრისას ერთად ეჭამათ პური და შეხლა-შემოხლაც მოსვლოდათ. აფსუსელს კინლამ ყურიც მოეჭამა მესაზღვრისთვის. თანაც ამფილოქვე ქვემოკლე არ ცნობდა მეგობრებს, ნათესავებსა და ქვაბლებს, თავისი სამსახურისთვის ოქრო-ვერცხლს ან უცხოურ ფულს ითხოვდა. ამიტომ, შემრიგებელს სულ სხვა რამ უტრიალებდა თავში.

— თოდოსაკი გაგიგია?

— ვინა?

— თოდოსაკი. იმასთან მივდივართ.

— ვინ არის? — აბულასანს ლაპარაკიც აღარ შეეძლო ხეირიანად.

— ვინა და ბრძენი.

— ბრძენი?

— აბა, შენ მარტო ხუხუნიკა გგონია? აქა ცხოვრობს, ტყეში, მუხის ხეზე.

— ადამიანია?

— კაცია. სულდგმული. შენსიგრძე წვერი აქვს, შიგ ყვავილებს ჩაინწავს ხოლმე. ბრძენია, რა.

შემდეგ ჩუმად მიდიოდნენ.

— უკვდავია. ერთი ასი წელია, რაც მანდ არი, — წამოიწყო დუხტია მესამლე, — ფიცი აქვს ნათქვამი, აქ უნდა ვიყო, ტყეში უნდა ვიცხოვროო. ამირობა ახსოვს...

\* \* \*

„ჭეშმარიტება ლომს ჰგავს.  
არ არის საჭირო მისი დაცვა.  
დაე, იარსებოს შენგან დამოუკიდებლად.  
ის თავის თავს თვითონ დაიცავს.“  
ნეტარი ავგუსტინე

რას იფიქრებდა ნეტარი მამა,  
რომ ლომსაც ოდესმე  
გადაშენება დაემუქრებოდა

\* \* \*

სვიფტიდან

თვალი ეჩვენება ყველაფერს,  
ყური ეჩვენება ყველაფერს,  
გული — ვერ,  
ჩემო გულივერ...

\* \* \*

ყველა აეროპორტის დიზაინი  
ნათელ ფერებშია გადანყვეტილი:  
ღია ნაცრისფერი,  
ღია ნარინჯისფერი,  
ღია ყვითელი,  
ღია მწვანე...

რათა?

რათა და  
რათა მგზავრს  
ერთი ნუთითაც კი არ შეეპაროს  
ექვი —  
რომ მგზავრი ცოცხალია,  
და რომ მგზავრი ცოცხალი დარჩება  
მგზავრობის შემდეგაც,  
და საერთოდ —  
რომ მგზავრი უკვდავია!..

\* \* \*

თუნდაც  
სანეტარო სიმშვიდე  
მელოდებოდეს  
იქ,  
ან კიდევ უფრო მეტად  
სასიამოვნო რამე  
მელოდებოდეს  
იქ,  
მაინც  
მირჩევნია  
აქ,

თუნდაც

აქ —  
სადგურ „ვარშავა ცენტრალნასთან“  
ყავისფერითა და  
მუქი ნარინჯისფერით  
ელეგანტურად გაფორმებულ,  
გემოვნებიანი ჯაზის ჩუმი ხმებით სავსე,  
პატარა კაფეში,  
მუქი მწვანე მცენარის გვერდით —  
ყავის დიდი ჭიქით ხელში...

\* \* \*

ბარსელონაში შელამებულზე,  
პატარა ლამპიონების  
დაბინდულ-ყვითელ შუქში

ფორთოხლის ხეებიან პატარა ქუჩაზე  
დასეირნობენ სიჭაბუკით მთვრალი  
შეყვარებულები

ფორთოხლის ხეებიან პატარა ქუჩაზე  
დასეირნობენ რიოხაგადაკრული  
მოხუცებულები


ფორთოხლის ხეებიან პატარა ქუჩაზე  
ფორთოხლის ფოთლისფერი სკამებია  
ვზივარ და არაფერზე ვფიქრობ  
არავის ვიცნობ  
არავინ მიცნობს  
თითქოს აქა ვარ  
და არც ვარ თითქოს

\* \* \*

ტანზანიიდან

ჯოგი  
ჯოგინგით<sup>1</sup>  
ჯანს იჯანსალებს  
ჯანი თუ ჯანობს

<sup>1</sup> Jogging (ინგლ.) აქ — ძუნძულით რბენა.



ნუგზარ ზაზანაშვილი

არ ჯავრობს ჯავრი  
ქარი ნაიღებს ისევ წასაღებს  
რაც იყო  
იყო  
რაც არი  
არი

რად უნდა დიდი ფიქრი და განსჯა  
მოჩანს რაც მოჩანს  
არ ჩანს რაც არ ჩანს  
ჯადოსნურს ვინღა ეძებს გასაღებს  
გაქრა რაც გაქრა  
დარჩა რაც დარჩა

კამეჩი  
ზებრა  
ჟირაფი  
სპილო  
ბაბუინებიც აქვე არიან

და  
მაინც ვნვალობ  
გავერკვე ვცდილობ  
სად ცხადია და  
სად სიზმარია

\* \* \*  
თუ მალვიძარა გაღვიძებს  
ე.ი.  
სიზმრები გაკლდება

\* \* \*  
ბედის სიმუხთლის კანონი

მესიჯები,  
პროექტები,  
რეპორტები უსასრულო...

იმ ორ კვირას ელოდები,  
იმ თოთხმეტ დღეს ელი, სულო,  
იმ შუალედს ერთი ბენოს,  
რომ ვეძახით შვეზულებას —  
როცა წყდები სუყველაფერს,  
სადღაც შვება გეგულება,  
მიდიხარ და იკარგები,  
არაფერი გენადლეება,  
და ხარ შენთვის,  
შენებურად,  
რომ დაინყებ გალაღებას...

აი, ამ დროს  
უეჭველად  
რალაც  
ცუდი  
მოხდება...  
ან ტრიპერი შეგემთხვევა,  
ან ბებია მოკვდება!

\* \* \*  
ვახუშტი კოტეტიშვილიდან

არ მიშველის ალილია,  
არ მიშველის ოსანა —  
ვიცი, მაინც არ ამცდება  
ჯანდაბა და დოზანა!  
დოზა,  
მთავარია დოზა,  
მით უმეტეს — დოზანის...  
იქნებ გაითვალისწინონ,  
რომ ვიყავი მგოსანი,  
დავფრინავდი,  
ვნავარდობდი,

ვჭიკჭიკებდი,  
ვგალობდი,  
არაფერი მანუხებდა,  
არასოდეს ვნვალობდი,  
ვჭიკჭიკებდი დღისით,  
ღამით,  
გარიჟრაჟზე,  
სალამოს,  
ჰოდა, იქაც იქნებ ბევრი  
არ მანვალონ, მანამონ,  
კარგი თვალთ შემომხედონ —  
დიდი დოზა დოზანის  
მომისაჯონ:  
იმდენი რომ —  
ფაფუ შენი მგოსანი!..

\* \* \*  
საბავშვო ლიტერატურიდან

დგება ისეთი დროც,  
როცა თავისით იბადება კითხვა:  
შეიძლება, კაპიტანო,  
გემზე ბარგი ავიტანო?

და... გსურს — აქ აღარ იყო,  
გაემგზავრო შორს, ძალიან შორს,  
ცხრა ზღვას იქით,  
დასაკარგავში...

ოლონდ...  
როგორ უნდა აუხსნა ბავშვებს?..

ვდგავარ ღამის ქუჩაზე  
გადასასვლელთან,  
მანვიმს,  
ველოდები მწვანე შუქს,  
მაგრამ შუქნიშანი მგონი მოიშალა...

ხვალისთვის კარგი პროგნოზია —  
გზაში არ დავსველდები მაინც...

ინშალაჰ!..

\* \* \*  
ზაფხულიდან

ჰაერი ხურს  
ხურს ჰაერი  
გახურებულ ჰაერს  
ქარი გამვლელებს სახეში ახლის

კარგია თუ ქალაქიდან გაღწევის  
ფული გაქვს  
ან თუ შეგიძლია გაილო ხარჯი  
კონდენციონერიანი სახლის

თუ არადა იქმინე  
ოფლად იდინე  
და თუ მოხუცებული ხარ  
და თან სუსტი გული გაქვს  
კიდევაც მოკვდი

მოკვდი  
ადრე თუ გვიან ხომ ყველა კვდება  
რა მოხდა მერე რა მოხდა მერე რა  
მოხდა მერე რა მოხდა მერე რა მოხდა  
მერე რა

უკვე ბოდას ვინყებ

მაინც რა აუტანელია ეს სიცხე  
რა აუტანელია ეს სიცხე  
რა აუტანელია ეს სიცხე

40 გრადუსი  
რასაც  
გინდ 40-გრადუსიანი არაყი მისცხე  
გინდ ცივი ლუდი მისცხე  
გინდ ორივე ერთად მისცხე  
მაინც არ გშველის

ხურს ჰაერი  
ჰაერი ხურს  
პროვინციულ ქალაქში

და საერთოდ —  
მერე  
არაფერი  
ხდება

**\* \* \***  
რომანტიკოსებიდან

არ ვარ იგივე მარად და მარად  
მე ვსდევ უამთავლას  
არ ვარ იგივე მარად და მარად

ან როგორ შეიძლება იგივე იყო  
მაშინაც როცა მთელი ცხოვრება წინაა  
და მაშინაც როცა მთელი ცხოვრება უკანაა

თუმცა  
მთავარი ისაა რომ არაფერია მთავარი  
ანუ  
რომ ყველაფერი მთავარია  
ნამოცდენილი სიტყვაც  
გაქცეული მზერაც  
და გაფრენილი ქაღალდის ჩიტიც

**\* \* \***  
ფეისბუქის ფრენდების უმრავლესობა  
ჩემს ნატურალურ ფეისს  
არასოდეს იხილავს


ჩემი გასვენების დღესაც კი

**\* \* \***  
რა მშვენიერი ღრუბლები ადგას  
ამ მახინჯ სახლებს

**\* \* \***  
ნიცშედან

შენი ნომერი გამომხილეს  
ყოველდღე ვრეკავ  
ერთი და იგივე ხელოვნური ხმა  
იმეორებს ერთსა და იმავეს  
„აბონენტი გასულია მომსახურების ზონიდან“

ეგ ხომ მეც ვიცი  
მაინც ვრეკავ  
იქნებ ოდესმე ბუნებრივმა ხმამ მიპასუხოს  
როდის  
დაბრუნდება  
აბონენტი  
მომსახურების  
ზონაში



### ლელა მეტრეველი

#### ანდაჯიბის თამაზა

წყალნი წავლენ და წამოვლენ როცა,  
თქვენ ხომ დარჩებით მაინც, ქვიშანო?!  
თორემ ირგვლივ სულ არავინ მოჩანს,  
ამ ბენვის ხიდზე რომ გაგიყვანოს.

ჟამი, უღრუბლო დღეთა მპარავი,  
არც მოგკლავს და არც ცოცხლად დაგარჩენს,  
არც გეგულება ქვეყნად არავინ,  
რომ ჩამოეყრდნო, როგორც ყავარჯენს.

მოჰგავხარ ბატკანს — მგლების არჩივი,  
ან ფოთოლს, ხევში ქარით ჩანატანს  
და ეჭიდები ლექსებს ხავსივით,  
რადგანაც ირგვლივ ხავსიც არა ჩანს.

#### საქართველოს — „შიზ მახვილი“-ს თამაზა

**1**  
ვერ გეტყვი ახლა: „შიზ მახვილი“,  
რადგან მახვილით ომს ვერ მოიგებ,  
მაგრამ სანამდე — თავი დახრილი,  
რა გეშველება, ჩემო თოლიგე?!

**2**  
სხვა დროა. არვინ შეიბამს მახვილს,  
მოყვრად მოსულ მტერს რომ შეერკინოს,  
ო, რა იქნება, ისეთი გახდი,  
შენ გამო გული რომ არ მტეკინოს.

**\*\*\***  
რად მივყვებოდი უღრანი ტყისკენ  
ამ საცალფეხო, ვინრო ბილიკებს?  
იცის ფარვანამ, რომ ცეცხლი დაწვავს  
და მაინც მუდამ მისკენ მიიწევს.

**\*\*\***  
წუხელ ზეობდა ორგული, —  
სიზმარს მოყვები წყლის პირს...  
მე შენთვის მაშინ ვლოცულობ,  
როცა ძალიან გიჭირს.

#### რაჭან

ზოგისთვის ისე სულერთია შენი წყალ-ჭალა,  
ზოგისთვის ისე უცხო არის შენი ხედები...  
მე კი შორიდან სიყვარული როდი მაკმარე,  
ახლოს მოდიხარ და ალერსით ფეხქვეშ მეგები.

მზე ჩახჩახებს და გვირილიან მინდორს იუნჯებს...  
ადგილის დედავ, ირგვლივ ყველგან შენი სულია!  
კატაბალახას წვეთებივით ვსვამ ცის სილურჯეს  
და, ბედნიერი, არაფერზე ვფიქრობ სრულიად.

#### ზაფხული

თითქოსდა ვფურცლავ განცვიფრებული  
უცნობი წიგნის ბევრის მთქმელ სარჩევს...  
თივის ბულულზე თავმიდებული,  
ცის გარდა, ირგვლივ ვერაფერს ვამჩნევ.

ფრენენ მერცხლები კენტად და გუნდად,  
ისმის ჟივილი, ზეცის ამკლები,  
დღეს დავუბრუნდე ბავშვობას უნდა  
და გავატანო მერცხლებს ნატვრები,

მათ კი ცარგვალი ფრთებით დასერონ  
და ამიკინძონ ღრუბლის რვეული,  
ან ზეცის წიგნში გადაიწეროს  
ჩემი ნატვრები, ლექსად ქცეული.

#### სიკვდილი

მოვა შავი ლაბადით თუ პერანგით,  
გადათიბავს ტანჯვასა და კირთებას  
და სიცოცხლე — ხანმოკლე და ვერაგი —  
გაფრინდება, შენთან აღარ იქნება.

**\*\*\***  
აღარ გერქმევა ალბათ შენობა,  
ჩამონგრეული ჩემო ქვითკირო,  
დავჯდე, ეს ბედი (თუ უბედობა!)  
ცხარე ცრემლებით გამოვიტირო,  
თუ თვითონ ვიქცე ქვითკირის ზღუდედ,  
გარს შემოგველო, ისე დაგფარო,  
რომ გადამიჩრეს ეგ ჩიტის ბუდე  
და ჩაქსოვილი მასში სამყარო?!



**\*\*\***  
იავნანად ჩამესმება წვიმა,  
ძილში ვიგრძნობ შენი გულის ფეთქვას  
და სიზმარში მოგიყვები იმას,  
რაც ოდესღაც ცხადში უნდა მეთქვა.

გავიღვიძებ, დავიწყება ყოვლის  
მომინდება. თუ ინება ღმერთმა,  
ერთიანად გადაბარდნის თოვლი,  
რაც ოდესღაც შენთვის უნდა მეთქვა.

**\*\*\***  
მთელი — არა,  
სულად, ხორცად დაფანტული  
გაჩენიდან ამ სანუთროს ვალებს ვიხდი.  
ისე ბევრჯერ  
მომეჩვენა დასასრული,  
როცა დადგა, ველარ მივხვდი.  
სიცოცხლე რომ  
ვერ გასცდება ვინრო შუკებს,  
გულს სცოდნია გაქვავება, გამეხება,  
მღვიძავს, ვფიქრობ,  
დავფუსფუსებ, მაგრამ უკვე  
არაფერი არ მეხება.

**\*\*\***  
იხსენებ — ჭრილობებს იშუშებ:  
ყველაფერს ეფინა ნათელი...  
ო, რა სავსე იყო სიჩუმე,  
რამდენი რამ ჰქონდა სათქმელი.

დაბნელდა. შეგრძნებებს გიჩლუნგებს  
შანდალში ჩამწვარი სანთელი.  
რა ცარიელია სიჩუმე,  
ალარაფერი აქვს სათქმელი.

**\*\*\***  
„სამშობლო ხარ! — ამას აღარ ეშველება“.  
ელა გოჩიაშვილი

უთქვამთ: „მხოლოდ შენივ თავით, რაც მოგივა“,  
აქ კი, თუნდაც სიმნრით მინა ჭამე,  
ვერ გაიგებ, ამჯერად რა გამოგივა,  
თუ საერთოდ გამოგივა რამე.

სამშობლოა! ამ გრძელსა და ამ განედზე  
გაგაჩინა (სიცოცხლისთვის!) ღმერთმა,  
მაგრამ ეჭვი სანამ უნდა განვალბედეს,  
თითქოს ყოფნა სწორედ ამას ერქვას,

როცა მინყივ მოწყალეა უნდა თვალო,  
მგლის ხროვაში — დამფრთხალ კურდღელს ჰგავდე  
და ვერ მიხვდე, რომელ მათგანს შეეფარო,  
თუ ჩირგვები მოიძებნა სადმე.

**\*\*\***  
თუკი ცხოვრება არ იძვრის,  
ხარს დაემსგავსა ოჩანს,  
თუ ყველაფერი გათავდა,  
თუ ყველაფერი მორჩა,  
თუ მაინც დარჩი ცოცხალი,  
არსებობ, ანუ სუნთქავ,  
გაგიმეორებ ერთხელაც,  
რაც არაერთხელ უთქვამთ:  
— არ მოგეჩვენოს მანძილი  
შორი მიწიდან ცამდე,  
ნამოდექი და ხელახლა,  
ისევე ხელახლა სცადე!

გაგრძელება

4.

სამალავის ტყე: პანტა და ჟოლო, აქაიქ — თუთა, ფიჭვი და მუხა, მზის სხივებით განყოფილი რბილი ხალიჩა. აქ ადრე ყარაღლა ბრბოებს ედოთ ბინა.

აბარდნილ მუხაზე მართლაც შემოედგათ სასაცილო ფიცრული. უფრო დაბლა, ტოტზე წყვილი ძველებური ქალამანი ეკიდა.

— სახლში იქნება. დაგვინახავდა. დამალვა უყვარს, — თქვა დუხტიამ და დასძახა, — თოდოსაკი ბრძენო!

არავის უპასუხია.

— თოდოსაკი ბრძენო!

— ჰა? — მოისმა წვრილი ხმა კეთილი კაცისა, ასაკის ხრინწილი გამოთბარი.

— ჩაქური გაქვს?

ფიცრული აჭრიალდა. ფოთლებიდან უშველებელი თეთრწვერა თავი გამოჩნდა. აბულასანს არასოდეს ენახა ამსიგრძე წვერი და არც ასეთი უცნაური ჩაღმა. ცეცებაში ნავარჯიშევი თვალეები კიდევ სხვა იყო. ბრძენისა რა ეცხო ამ მობებრებულ ჭინკას?

— რომელი ხარ? თვალი არ მიჭრის...

— ჩვენა ვართ...

— ა, ტარიელ შენა?

მოხუცი ხიდან ჩამოხტა, ჯვალის კაბა შეიფერთხა და უსალმოდ ახედ-დახედა აბულასანს.

— ეს რა ავთანდილი ვინმე მოგიყვანია, — დაინრიპინა გულაცრუებით, — რას გადაბმულხარო? ალთქმა გაქვთ, რო ერთად იართო?

— ალთქმა ბრძენთა ხვედრია, — ხალისი მოადგა აბულასანს, — ჩვენ სანყალი ტუსალები ვართ.

ბრძენმა ავად ახედა პოეტს.

— ნამდვილი ავთანდილია. არ მიყვარს ავთანდილები.

— ჩაქური გაქვს, ბრძენო?

— ჩაქური, ჰმ... ჩაქური ფილიპე მჭედელს ჰქონდა ჩემს სიყმანვილეში. დასცხებდა და დასცხებდა, რო ძალს ჯაჭვი არ გაელოკა. თუ გალოკავდა და მაშინ ხო...

— მაშ რა გაქვს, რო ერთმანეთს მოვშორდეთ? — გაიღრჭიალა დუხტიამ.

მოხუცი ხის ძირას ჩაცუცქდა და ჩაიცინა.

— მე რო მინდოდა, სხვას მოვშორებოდი, აქ ნამოვედი. აგე, რამდენი ხანია... ჩაქური კი, აბა, რას გიშველის?

— გვიშველის, გვიშველის, — სული დაეღია აბულასანს, რომელსაც ეგრეც ვერ მოეხერხებინა შემრიგებლის თანდასწრებით მუცლის შემსუბუქება, თუმცა დუხტიას უდარდელად ექნა ესე ყოველი და თან არაერთგზის.

— ხო გაქ ჩაქური... გახსოვს, ლურსმანი რო მიგიჭედე ემაგ ხეზე, კალათი მოვწან და უნდა ჩამოვიდოო...

ბრძენი ჩაფიქრდა.

— მაგას ჩაქური ჰქვია?

— აბა, რა.

— იმ მეორეს?

— ლურსმანი, ლურსმანი...

— ლურსმანი კი არა, — ხელი ჩაიქნია თოდოსაკიმ.

— სოლი, სოლი! — შესძახა აბულასანმა.

— ყოჩად ავთანდილო, სოლი, — თოდოსაკი წამოდგა და მუხის ტანზევე გამოკვეთილ საფეხურებს თუ სახელურებს შეუდგა, — ეხლა ჩამოგიგდებთ, — მოესმათ უკვე ზემოდან.

— პრინციპული ბებერი, — წაიჭრიალა შემრიგებელმა, — ფული უნდოდა, ან რაიმე სათამაშო.

— ბრძენიო და.

— რავი, სულ დაქლიავებულა. ადრე ისეთ რამეებს ამბობდა, რო... სახელი ჰქონდა გავარდნილი, — მიუგო მენწყვილემ და თოდოსაკის ჩამოყრილ ჩაქურსა და სოლს დასწვდა, — აბა, ეხლა აღარ ჩაიფსა, ხუხუნიკელო, ჩაკუზვა ხო შეგიძლია? ეს სოლი შენ უნდა მომიმარჯვო...

ერთი, ორი და მართლა თავისუფლება. ილია აბულასანი უკანმოუხედავად გაქანდა ბურქნარისაკენ.

მუხასთან მობრუნებულს შემრიგებელი იქ აღარ დაუხვდა და ილუშაც თამამად დაებლაუჭა ხეში ნაკვეთი კიბის საჭიდებს.

სტუმარ-მასპინძელი ერთ დაბურულ ტოტზე ჩამომჯდარიყო, ფიცრულის გასწვრივ. თოდოსაკის ალბერვილის სახლიდან გამოყოლილი თამბაქოთი გაეწყო

ერთი გამჭვარტლული ყალიონი და აფუტებდა.

— ოხერი გამოგონებაა, — ამბობდა ასე, — თავს აბუფებს. მაგრამ ბალდადური ბალახი სჯობს. ისე გაგათრიაქებს, რო... ერთხელ ისე დამბანგა ბალდადში მაგ ბალახმა, ყველაფერი თვალწინ დამებრცა...

— ეგ როდის იყო? — ჩაეკითხა აბულასანი.

— იქნებოდა, ასე, ექვსასი წლის წინათ, თუ მეტის არა. რალა მახსოვს? მაშინ ხალღად რომელი იყო? არ მახსოვს. მერე ბიძაშვილმა მოკლა. იმის შვილმა მერე ეს მოგუდა. დიდი ამბავი იყო. ავდექი და ქაიროში წავედი, იქ ჩემიანები მეგულებოდა. ოღონც გზა არ მახსოვს, ისე ვიყავი გათრიაქებული.

აბულასანს ჩაეცინა.

— არა გჯერა? ეს ავთანდილები იმით

აკა მორჩილაძე

ნანერები ვარდის და გულგულისა სუმბუჯი საგაზეთო სერიალი



ხართ ეგრე, რო სულ რალაცა ეჭვი გადაევთ გულზე, სულ ფიქრში ხართ, რო ვითომ მართლ თქვენ ფიქრობდეთ. იცი ნამდვილი ავთანდილას ამბავი?

— ვიცი, — ისევ გაეცინა აბულასანს.

— შენ რა ყველაფერი იცი, ხუხუნიკამ გასწავლა? — გაუკვირდა შემრიგებელს.

თოდოსაკი ბრძენმა ყალიონი გამოფერთხა და ძირს ჩააგდო.

— დამათრო ამ ოხერმა, — მერე კი ისევ აბულასანს მიუბრუნდა, — შენ რომ იცი, ეგ ზღაპარია, ვილაცები ყვებიან ხოლმე, ეგრე იყო. მე კიდევ იქ ვიყავი და ზუსტად ვიცი.

— შენა, ორი ლუკმა არა გაქვს? ჩავიხოცენით შიმშილით. ამაიტა, გვაჭამე რამე, — შეწყვეტინა დუხტიამ მტხამულმ.

— მაყვალა იქა და რალაცები. ის იყო ამოსული, რა ჰქვია? შენთან დადიოდა ხოლმე... ისა, თეთრი ვარდუა. მთელი შველი მოიტანა, თორე მე არა ვნადირობ. ცივათ არი მოხარული, გამოიტანე და ჭამე. ერთ დათვს შევიპირდი, მაგრამ გაუშვი, თქვენ მიირთვიო, — თითქოს ეწყინა ბრძენს.

შემრიგებელი ტოტზე გახობდა და ხუხულაში დურთა თავი.

— შენ ეხლა ზღაპრებს დამინყებ, — ისევ აბულასანს მოხედა მოხუცმა.

— არა, არა, — გულმოდა ხითხითებდა პოეტი.

— მე ვიცნობდი მაგის დამწერს, ავთანდილი და ტარიელი ვინც მოიგონა. არ გეტყვი, რა ერქვა. მამამისი აზნაური იყო, ნაომრობით დადლილი. სამი თითი ნაერთვა ომებს. აგარიანის ნატყვევარი იყო და იქ მოეჭრათ სამი თითი, პირჯვრის წერა რომ ვერ აეკრძალათ. მეფემ გამოიხსნა, ისე უყვარდა ყველას. ეს კიდე, ვაჟი ამისი, დიდი მხიარული იყო, ასე რომ შეხედავდი. გულ-გვამში კიდევ ფიქრები ჰქონია. ლექსავდა მის ამბავს და ერთ ქვრივსაც დაუდიოდა ბოსტან ქალაქში.

სათრობათ და დილეგებში დადიოდა.

დილეგები ერქვა, ახლა აღარ არი ეგ ადგილი. თურმე სწერდა, აბა, სხვას რა ეცოდინებოდა? თუ ფხიზლად იყო, ამაზე ფხიზელი ვინ იქნებოდა? ახლა რა ოინები ეხერხებოდა: აელო სოვდაგრების ხასიათი და მიხრა-მოხრა და დასცინოდა, ღვინოს წყლად მოგანოდებდა, წყალს — ღვინოდ. რო ჩაიკეტებოდა შინა, იმას ვერც ამხანაგი ვერ მიეკარებოდა. სულ დაწერილები ეჭირა ხელში, ბერძნისაო, ურჯულსო, ურიებისაო. ათ ენაზე გეტყოდა ლექსს და მთელი ქვეყნის ამბები იცოდა. ახლა, ამას რომ სწერდა, რატომ სწერდა და ლექსავდა. ერთი ძმაბიჭი ჰყავდა, ისიც ძველ მოლაშქრის შვილი. ამ ძმაბიჭს კიდევ სიყვარულის ამბავი უჭამდა ღვიძლს. ვერ მოეთმინა და დიდებულის ქალი შეჰყვარებოდა. სად ის დიდ-დიდი და სად ჰატარა ლაშქარ-სპა. ქალსაც ენახა მისი ვარჯიშობა და გულში ჩავარდნოდა, ნიშანი და დას-

მიოხრა ამის მეტი?

შემრიგებელი შვლის ბეჭს ხრავდა.

— მაშ ბრძენი არ არი? — თქვა მხიარულად.

— ეგ ამბები დაკარგულია. ყველაფერი გადააკეთეს, — დაინრიპინა თოდოსაკიმ.

— ყველაფერი დაკარგულია, — ნაიბურტყუნა აბულასანმა და მიხვდა, რომ სულაც არ იყო თავისუფალი.

5.

ფიქრი რომ სულაც არ არის თავისუფალი, ძილიდანაც გამოჰყვა აბულასანს. ასეთი ცხადი, წარსულს უზუსტეს ასლად მოჭრილი სიზმარი ადრე არასოდეს ენახა. ეგებ არც ეძინა. მოხუცები თითქოს აღარც უკვირდებიან, როგორ აგნებენ ძილ-ღვიძლის საზღვარს.

თუმცა ეძინა, რადგან კაკუნმა გამოაღვიძა.

— ბატონო ილია, ბატონო ილია! — მოისმოდა კარის ღრჭოქიდან.

— მობრძანდით, — თქვა აბულასანმა და საბანშემოხვეული წამოჯდა.

— ილია, — მორიდებით წამოიწყო შემოსულმა, — დიდ ბოდიშს მოგართმევთ, მაგრამ მეტი მოცდა აღარ გამოდის, ჩემის მოკლე ფიქრით.

ის მაღალი, ღიბდადებული და მოუვლელი კაცი იყო. ყველაფერი ძალიან ძველი და გამორჩეულად დალაქავებული ემოსა. წვერიც კი ალაგ-ალაგ გაეპარსა და მობერებულ, უპატრონოდ დარჩენილ ნაგაზს ჰგავდა.

— მე ენდრონიკე მაშხალოსნის ჩამონავალი ვარ, პატარა ენდრო, — თქვა კიდევ მეტი რიდით ამ კაცმა.

— პატარა ენდრო? — გამოცოცხლდა აბულასანი, — მე თქვენ გიცნობთ... შორიდან. ბებიათქვენი მზალო ბასილევს სარდარის შვილი არ იყო? დიდებული ქალი. ნამდვილი ძველი დროის. თქვენი სახლი სალონივით იყო. თქვენი ძველი სახლი, უფრო სწორად, — ილუშას გაახსენდა, რომ მისნარი მელექსეებს იმ სალონში არავინ პატიუბდა, — დაბრძანდი, ენდრო, დაბრძანდი... მე მოვიცვამ რამეს, — შირმის უკან გააღწია საბანშემოხვეულმა აბულასანმა.

— იხხ, ჭირი მორჭამა იმ ნამცხვრებმა... — ჩამოჯდა პატარა ენდრო.

აბულასანი იცვამდა და ენდრონიკე მაშხალოსანი ახსენებოდა. თოთხმეტი მტკაველის სიმალის მოხუცი: სატყერის სიგრძე უღვაშით, მტვერმოუდებელი ჩოხა-ახალუხითა, ელვარე ლეკურითა და ბუხუნა ხმით. ის ლამის ერთადერთი იყო ძველგვაროსანთა შორის, დიად ჟამთა პენი რომ შეინარჩუნა და აზარფეშობანას არ გადაჰყვა.

დიდ ენდრონიკეს თავისი აგურის სახლის სარდაფში ენდრონიკაანთ საგვარეულო საგანძურის მუხუმი გაემართა და მის ეზოში გემრიელი წვეულებები იმართებოდა. მერე ქვაბლიანები დაესივნენ ენდრონიკაანთ ოჯახს. მისი შვილები, ძმიშვილები და ბიძაშვილები კი ან გააქციეს და ან კიდევ ამოწყვიტეს და სულ ერთი მიზეზით: მაშხალოსანთა საგანძური პირშავთა ამბოხის მეორე დღესვე გაქრა, მინამ უყო პირი.

ქვაბლიანმა ის ლამაზი, ბანიანი სახლი დაანგრევინა, ეგებ კედლებში აქეთ სამალავებო და ენდრონიკეს საფლავიც კი მოთხარეს, მაგრამ ერთი ვერცხლის ჯვრის მეტი ვერაფერი იპოვნეს.

ქებნა-გამოტყვის ხალხი ძველ ოჯახებშიც კი დაძვრებოდა და დაეძებდა მაშხალოსანთა სიამაყის ნარჩენებს; მოვერცხლილ უნაგირებსა და თვალ-მარგალიტით დახუნძლულ ხანჯლებს, თასებსა და ფილებს, ყანებსა და დამბაჩებს.

სულ ბოლოს მზალო, ბასილევს სარდარის შვილიც დააპატიმრეს და იქვე უპოვნეს ბოლო, ალბერვილის სახლში. მერე ქვაბლიანელები ერთგვარად დაშოშინდნენ, რადგან მაშხალოსანთა გვარიდან გადარჩენილ ერთადერთ არსებას, თორმეტი წლის პატარა ენდროს ჯერ არაფერი მოეკითხებოდა.

პატარა ენდრო კი ცისფერთვალეა, ახმახი ბიჭი იყო. ერთი შეხედვით ცუდად გაშლილ ქოლგას მოგაგონებდათ. სიყმანვილიდანვე ჩარხების შემკეთებელ არტელში მუშაობდა და ფალავან ოქროხანის ქუჩაზე ცხოვრობდა ნახევრად-სარდაფში. უცოლშვილოდ დარჩენილი, მტვრიანი და ზეთის დაქებით სამოსაპირი ალებული, იაფი ღვინის და ხემსად

მიოხრა ამის მეტი?

შემრიგებელი შვლის ბეჭს ხრავდა.

— მაშ ბრძენი არ არი? — თქვა მხიარულად.

— ეგ ამბები დაკარგულია. ყველაფერი გადააკეთეს, — დაინრიპინა თოდოსაკიმ.

— ყველაფერი დაკარგულია, — ნაიბურტყუნა აბულასანმა და მიხვდა, რომ სულაც არ იყო თავისუფალი.

5.

ფიქრი რომ სულაც არ არის თავისუფალი, ძილიდანაც გამოჰყვა აბულასანს. ასეთი ცხადი, წარსულს უზუსტეს ასლად მოჭრილი სიზმარი ადრე არასოდეს ენახა. ეგებ არც ეძინა. მოხუცები თითქოს აღარც უკვირდებიან, როგორ აგნებენ ძილ-ღვიძლის საზღვარს.

თუმცა ეძინა, რადგან კაკუნმა გამოაღვიძა.

— ბატონო ილია, ბატონო ილია! — მოისმოდა კარის ღრჭოქიდან.

— მობრძანდით, — თქვა აბულასანმა და საბანშემოხვეული წამოჯდა.

— ილია, — მორიდებით წამოიწყო შემოსულმა, — დიდ ბოდიშს მოგართმევთ, მაგრამ მეტი მოცდა აღარ გამოდის, ჩემის მოკლე ფიქრით.

ის მაღალი, ღიბდადებული და მოუვლელი კაცი იყო. ყველაფერი ძალიან ძველი და გამორჩეულად დალაქავებული ემოსა. წვერიც კი ალაგ-ალაგ გაეპარსა და მობერებულ, უპატრონოდ დარჩენილ ნაგაზს ჰგავდა.

— მე ენდრონიკე მაშხალოსნის ჩამონავალი ვარ, პატარა ენდრო, — თქვა კიდევ მეტი რიდით ამ კაცმა.

— პატარა ენდრო? — გამოცოცხლდა აბულასანი, — მე თქვენ გიცნობთ... შორიდან. ბებიათქვენი მზალო ბასილევს სარდარის შვილი არ იყო? დიდებული ქალი. ნამდვილი ძველი დროის. თქვენი სახლი სალონივით იყო. თქვენი ძველი სახლი, უფრო სწორად, — ილუშას გაახსენდა, რომ მისნარი მელექსეებს იმ სალონში არავინ პატიუბდა, — დაბრძანდი, ენდრო, დაბრძანდი... მე მოვიცვამ რამეს, — შირმის უკან გააღწია საბანშემოხვეულმა აბულასანმა.

— იხხ, ჭირი მორჭამა იმ ნამცხვრებმა... — ჩამოჯდა პატარა ენდრო.

აბულასანი იცვამდა და ენდრონიკე მაშხალოსანი ახსენებოდა. თოთხმეტი მტკაველის სიმალის მოხუცი: სატყერის სიგრძე უღვაშით, მტვერმოუდებელი ჩოხა-ახალუხითა, ელვარე ლეკურითა და ბუხუნა ხმით. ის ლამის ერთადერთი იყო ძველგვაროსანთა შორის, დიად ჟამთა პენი რომ შეინარჩუნა და აზარფეშობანას არ გადაჰყვა.

დიდ ენდრონიკეს თავისი აგურის სახლის სარდაფში ენდრონიკაანთ საგვარეულო საგანძურის მუხუმი გაემართა და მის ეზოში გემრიელი წვეულებები იმართებოდა. მერე ქვაბლიანები დაესივნენ ენდრონიკაანთ ოჯახს. მისი შვილები, ძმიშვილები და ბიძაშვილები კი ან გააქციეს და ან კიდევ ამოწყვიტეს და სულ ერთი მიზეზით: მაშხალოსანთა საგანძური პირშავთა ამბოხის მეორე დღესვე გაქრა, მინამ უყო პირი.

ქვაბლიანმა ის ლამაზი, ბანიანი სახლი დაანგრევინა, ეგებ კედლებში აქეთ სამალავებო და ენდრონიკეს საფლავიც კი მოთხარეს, მაგრამ ერთი ვერცხლის ჯვრის მეტი ვერაფერი იპოვნეს.

ქებნა-გამოტყვის ხალხი ძველ ოჯახებშიც კი დაძვრებოდა და დაეძებდა მაშხალოსანთა სიამაყის ნარჩენებს; მოვერცხლილ უნაგირებსა და თვალ-მარგალიტით დახუნძლულ ხანჯლებს, თასებსა და ფილებს, ყანებსა და დამბაჩებს.

სულ ბოლოს მზალო, ბასილევს სარდარის შვილიც დააპატიმრეს და იქვე უპოვნეს ბოლო, ალბერვილის სახლში. მერე ქვაბლიანელები ერთგვარად დაშოშინდნენ, რადგან მაშხალოსანთა გვარიდან გადარჩენილ ერთადერთ არსებას, თორმეტი წლის პატარა ენდროს ჯერ არაფერი მოეკითხებოდა.

პატარა ენდრო კი ცისფერთვალეა, ახმახი ბიჭი იყო. ერთი შეხედვით ცუდად გაშლილ ქოლგას მოგაგონებდათ. სიყმანვილიდანვე ჩარხების შემკეთებელ არტელში მუშაობდა და ფალავან ოქროხანის ქუჩაზე ცხოვრობდა ნახევრად-სარდაფში. უცოლშვილოდ დარჩენილი, მტვრიანი და ზეთის დაქებით სამოსაპირი ალებული, იაფი ღვინის და ხემსად

ბოლოკის ტრფიალი იყო. ძველ-თავადური ამბავ-მეობა ნაშლილიყო მის იერსა და ცეცხლს, მოცეცხულ ქვევებში, მაგრამ დაბნეულსა და ენაბრგვილს თათარიანს ნენიანში ჩამბალ პურივით გემრიელი და რბილი გული ჰქონოდა. ასე ამბობდნენ ხელოსნები.

— ეჰ, შენი ოჯახის ამბავი, ენდრო... — ნულებში გაჰყოფენ აბულასანმა, — რა გაძლება...

— დრომ წაიღო ყველაფერი, — პატარა ენდრომ ჯიბიდან ლამაზი ჩიბუხი ამოიღო, — ამას კი ვერ ვაჩენდი ადრე, დამიჭერდნენ ოხრები. პაპაჩემის პაპას ნაურთმეგვია რომელიღაცა ფაშისთვის ძველ დროში, — ასანთი მოიძია მოსულმა, — თუთუნიც რო ამ გაქანების გვექონდეს...

— ასე ადრე რამ შეგანუხა, ენდრო? — ჰკითხა აბულასანმა.

პატარა ენდრომ კვამლი აუშვა ჭერში და კბილნაკლული ღიმილით მიუგო:

— სამშობლოს სიხარულმა. იმხელა სინემამა მოწყობილი ხორასანას მოედანზე და იმნაირი მოწონნიკი იყიდება იაფად, რომ გაკვირდები კაცი. უხარია ხალხს და ხალხის სიხარული ხომ ბედნიერებაა. ამის კითხვა მინდოდა, ბატონო ილია, და ის ძველი დრო ხო აღარ მობრუნდება?

აბულასანს გაეცინა.

— არა, ენდრო, არა... ჯობია, პირდაპირ დავიხოცოთ.

— და იმაზე უარესი იქნება?

— რა გითხრა? — გუნება ნაუხდა ილიას,

— იმაზე უარესი რაღა იქნება?

— რა ვიცი. ეჭვია მაინც, მარა მოვედი... მე მარტო ეს ჩიბუხი კი არ დამრჩა. ორი დიდი ზანდუკია ჩემი ბინის იატაკქვეშ. იატაკი არც ეთქმის, ფიცარია მინაზე...

— რა?

— ბაბუაჩემ ენდრონიკეს მიეცა ცხონება, ჩვენი საგვარეულო განძი... ახლა მინდა, ვაჩუქო ამ ქვეყანას. ოცდაათი წელიწადი ისე იქნება, თვლი არ დამიკრავს და ამოვალაგე გუშინწინდამ...

აბულასანს ცრემლი მოადგა თვალეზე.

— რას ამბობ, ენდრო?... ესე იგი... ვიცოდი, სულ ვგრძნობდი, რომ ასე არ გაქრებოდა... შენ... შენთან ყოფილა... ეს... ეს... ენდრო...

— აბა, — ამოიხვნეშა პატარა ენდრომ, — ეს ამბები რომ დანყებულა, ბებიაჩემს შვიდეკეცი ფიცით გაუბარებია შვიდ მოყვარე ოჯახში და ჩვიდმეტის რო შევსრულდი, მაძლევდნენ ნაწილ-ნაწილ... ყველაზე მეტი მაკინტომ მთიების ოჯახში იყო. გაგეგონებთ მაკინტომ მთიები...

— როგორ არა... როგორ არა... რამხელა სიმამაცე... რამხელა ერთგულება, ენდრო, — ლულულუნებდა აბულასანი.

— და კიდევ პამპულ სოსიპატრესთან. სენეფორე შამიფარვანიანთან... აბა, სულ მომცეს. ისე გამეხარდა, რო ამდენი წელიწადის ნათემენმა იმ დღეს ერთ უცხოელს ვაჩუქე. იმან ქურთუკი მაჩუქა და ასე გავიფიცეთ. გახარებული ვიყავი და ამან გამაბედინა, ჩავიდე ჯიბეში და წავედი ჰაეროდროში. იქ შემეყარა ის უცხოელი. კაი ბიჭი იყო. მიხაროდა, რო ასე გავატარ-გამოვატარებ და არავინ დამიჭერს.

აბულასანი კი თითქოს აღარც უსმენდა პატარა ენდროს.

— ენდრო, — ამოღერდა ბოლოს, — შენი საგანძური უსაფრთხო ადგილას უნდა გადავიტანოთ და სამუზეუმო ადგილსაც გამოვძებნი. შენისთანა ბევრი არ ჰყავს შაითანბაზარს...

— ბევრი ყავს, ბატონო ილია. უამრავი. მე ერთი ლოთი კაცი ვარ. ბებიაჩემი მზალო რომ მიყავდათ, ერთი მიჭურჩულა მარტო, ერთხელ მაინც ისე მოიქეცი ცხოვრებაში, ბაბუაშემ რომ ეკადრებოდაო. რაც უნდა ქნაო, ის ერთი გადანონის, თუ ნამდვილი იქნაო. მგონი, გაეხარებოდა ეს ამბავი. ემანუილ არდაშირთან ვიყავი გუშინ და მომასწავლა თქვეთან.

აბულასანი კი კვლავ ფიქრს წავლო. მაშინ ფალოსთან ერთად იჯდა და ციხის ფოსტამ ამბავი მოიტანა, ალბერვილოში ენდრონიკანთ მეუღლე მზალო მოუყვანიათო. აბულასანს ახლაც ახსოვდა მაშინ წარმოდგენილი სამინელი სურათი: ერთი ბუნო მოხუცი ქალი, თანამცხედრე გოლიათისა, თეთრი თმითა და შავი პირბადით. დიდგვაროვნულად დანაოჭებული თხელი პირისახე ამ ბადის იქეთ, სახელოში შემალული ცხვირსახოცი და დიდი დაღისტა-

ნური ბეჭედი საჩვენებელ თითზე. გარშემო კი მებადრავენი, ადრე ქარგლებად რომ ბერდებოდნენ შაითანბაზრელ ხელოსნებთან.

მათ მოჰყავდათ და ციხე კი გუგუნებდა.

ეგებ ამხნევებდა კიდევ ეს გუგუნე მოხუც ქალბატონს, თუმცა ბასილევს სარდლის ქალიშვილს რა გამხნევება დასჭირდებოდა. ციხე თავისას ამბობდა, ენდრონიკანთ ქვრივი კი დუმდა, და თურმე ასე დუმდა ბოლომდე.

— ეს ამბავი რო მცოდნოდა, არაფრით ვიზამდი...

— რას? — გამოერკვა აბულასანი.

— არ მეგონა, თუ ის იყო. ცხონებული ბებიაჩემი კი მეუბნებოდა, ამის მცველები ვიყავით ჩვენო, მაგრამ ვინ უსმენდა. ბავშვის ამბავი ხო იცი, ჩილიკა ჯოხი ურჩევნია. ემანუილ არდაშირსაც რო ავუნერე და კიო, ეგ მიგიცია და გაბრიყვებულხარო. მომეწონა ის გაბურძნული კაცი და ვაჩუქე. რა ვიცოდი, ასეთი ამბავი თუ იყო...

— რა, ენდრო? — აბულასანი ვერ მიმხვდარიყო რას ნაღვლობდა სტუმარი.

— რა და, რო ვაჩუქე იმ უცხოელ კაცს, ერთი ძველი ფიალა მეგონა და ლალოსან-



გიშეროსანი ბარძიმი კი ყოფილა. მაშხალოსნები ვართ მაგის მცველები. ახლა, გუშინ მთავრობის კაცი გამოსულა, რაღაცა კოლოფი უპოვნიათ და უთქვია, ხომ-ღელი ვაჟკაცების განძი ეს ლალოსან-გიშეროსანი ბარძიმი და ვინც იპოვნის, ეს ქვეყანაც იმისაო. სახლში მქონდა ამდენ წელიწადს და იმნაირათ ჩაშავებული ამოვიღე, რო რა მეგონა... არ ვაჩუქებდი. არც ეს ამდენი ხალხი დაიდრებოდა ბორბლიანისკენ...

აბულასანმა ვერაფერი გაუგო ამ დაბურდულ წუხილს.

— ვინ ხალხი, პატარა ენდრო... ეგ ბარძიმი მართლა არ უნდა გაგემეტებინა, მაგრამ არც ვინმე დაგსჯის მაგის გამო. შენი იყო. რაც მოხდა, მოხდა, — უთხრა გულგანვრილებულმა.

— ჩემი კი იყო და კაცურ ლაპარაკში არც მენანება, მაგრამ ქვეყნისად გამოუცხადებიათ გუშინ და ეს ამდენი ხალხი მეცოდება, მაგის საძებრად რო წაწულან. ბავშვებიც კი გაურეკიათ და არი ერთი საგზობა. ახლა მივიდე და ვუთხრა, ასე მოხდათქო და ვინ დამიჯერებს?

— რა ხალხი? რომელი ბავშვები? — მაინც უზმობზე მოუწია თამბაქოს ნევემ აბულასანს.

— არ უნდა მოვსულიყავი ასე ადრე, მაგრამ შემანუხა ამ ამბავმა და რა ვქნა. ხალხი ჩემი ბარძიმის საძებნელად გავიდა გარეშე მიდამოში. ქალაქი ცარიელია. ერთი-ორი ჩვენნაირი თუ იქნება. ახლა ჯარი უნდა გაეგზავნათ ბალახიანის ბორცვებზე. უბალახოს ბორცვებამდე, თუ გეხსომებათ. მერე მაღლა, ვარ-ასფაგურის ქვაბები როა. რასაც ეძებენ, მე უცხოელს ვაჩუქე. ასე გამოვიდა. დავლიეთ ერთი-ორი ჰაეროდროში. ახლა, ჯარი რომ დაერიოს იმათ, ჩემი ბრალი გამოვა...

აბულასანი შლაპას გადასწვდა ან-გარიმშივეცმალა და წამოგდა.

— შენი ბრალი კი არა... — თქვა სწრაფად, — გამაგებინეთ, რა ხდება...

ისინი ერთად გამოვიდნენ ქუჩაზე და აბულასანმა პავლინონ მზიურის მოედნისკენ აიღო გეზი.

— შენ კომიტეტში ჩადი, პატარა ენდრო, — უთხრა ენდრონიკანთ ბიჭს, — ჩემი სახელით ელაპარაკე. მეც მალე მოვალ.

6.

კვირა დღე იყო, არცთუ თბილი და ხალისიანი.

ქუჩაზე მართლაც არავინ ჩანდა. სამაგიეროდ, პავლინონ მზიურის, ხორასან გედამბარელის ოდინდელ მოედანზე ხდებოდა რაღაც.

ეს დიდი ეკრანი წინა სალამოს ენახა აბულასანს, მაგრამ მოედანზე გამოდგმულ დახლებს პირველად ხედავდა.

ჰაერში სოსისის სურნელი ტრიალებდა. კობტა გოგო საგანგებოდ დახვრეტილ ფუნთუშებში ტენიდა ამ ცხელ სოსისებს და მდოგვში ავლებდა ფუნთუშიდანვე ამოჩრილი სოსისის მსუქანა თავებს.

ტკაც! და პირი გემრიელი, მწველი სითხით აგვსებოდა. ეს ჯადოსნობა მხოლოდ ერთი ქვაბი ღირდა, მაშინ, როცა პურს ცხრაას ქვაბლადაც ვერ იშოვნინდი.



სოსისის დახლის გვერდით სხვა დახლი იყო. ზედ მანამდე უნახავი მოყვანილობის ქილეტი დაეღაგებინათ.

ტკაც! ამოჰკრავდი ხუფს და გვარიანადაც გაიწუნებოდი იქედან ამოვარდნილი ქაფით. სამაგიეროდ, ქილაში ლუდი რჩებოდა.

სხვა დახლთან რაღაც უცნაურ ხაჭაპურებს აცხობდნენ, და ერთი ბიჭი ყვიროდა:

— პიცა! პიცა!

იმ სახლის გასწვრივ, რომელსაც ადრე ისპანის საქარავნოს ეძახდნენ, ასევე დახლების გრძელი რიგი ჩანდა. ნაირ-ნაირი ტანისამოსი, ათასი წვრილმანი, ფეხსაცმელი და ჩექმა, ბუშტები, საჭყვიტინოები, თამბაქო და პაპიროსი, სათრობი და სალალო: ყოველივე კი ისეთი იაფი, ისეთი იაფი და მაინც, ხალხი ხალვათად იყო.

— ფრანგული პაპიროსი გაქვს? — გამოცოცხლდა აბულასანი და ეკრანზე უხმოდ მიმდინარე ცეკვისკენ გაექცა თვალის. ტანგო იყო, კი, ნამდვილად.

— კი ბატონო, — ლურჯი კოლოფი დაანახა დახლიდარმა.

აბულასანმა კოლოფი აიღო და ჯიბისკენ გააქანა ხელი.

— არ მაკადრო, ბატონო. ერთი ქვაბი რაა, რო იმისთვის შაითანბაზრის სიამაყე შევანუხოთ? — თქვა ახალგაზრდა გამყიდველმა, — რაც შენ ინვალე და ახლა პაპიროსი მოგყიდოთ?

აბულასანმა დაირცხვინა, მაგრამ მაინც შეაგება პაპიროსის ღერი გამონვდილ ცეცხლს.

— ამნაირი ცხოვრება მოვიდა, ბატონო ილია, და იმ ხალხს რა განძი აუტყდა?

— ადამიანი ღორია, — თქვა მეორე გამყიდველმა.

— რაო? — ჩაეკითხა აბულასანი.

— რა, ბატონო და, ბარი და ნიჩაბი აღარ დარჩა ქალაქში. გულამდე გაიკრიფა ყველა ბალახიანის გორებზე. ტარსაიჭა

მდივანს გამოუცხადებია გუშინ, განძია მოსაძებნო. იმ პირშავის ნამდევნარი რომ გახლავს, ბოდიში მოითხოვია და თქვენს კომიტეტში, რაღაცა ფიალა უნდა ვიპოვოთო. ტარსაიჭა კი გამოუგდია ნათანს, მარა ხალხი დაძრულია და რაღას უზამ? გავბედნიერდებითო... საქმელ-სასმელი დეიყრება ხვალადან ამ ქალაქში. მეტი რა უნდათ... შენ არ ყოფილხარ იქ, ბატონო ილია?

— სტუმრები მყავდა და, როგორღაც... გვიანი იყო, — ნაიბურტყუნა აბულასანმა, — იმას დავჭირდი გუშინ. უცხოელები, ხო იცი...

— პოლკოვნიკი ამინი დაუძრავთ დილდევნე... გამოვირეკავ წინო...

— ფაიტენები თუა მაინც, რომ ნავიდე? — მიმოიხედა აბულასანმა.

— ყველაფერი იქაა, ფაიტონიც, დროიც და მთელი ამბავიც. რაც დავრჩით ავერ ვართ და ბებრებია სახლებში...

— ხალხი ღორია, — დაურთო მეორემ.

— ხეირი ნახეთ, — დახლს მოშორდა ნირნამხდარი აბულასანი და შირაზის ვარდის ქუჩისკენ გასწია, სადაც თავს იყრიდნენ ხოლმე მედროგებები.

სწორედ ამ ქუჩაზე გაემართა ქვაბლიანის მთავრობას ცხენით და ბორბლით გადაადგილების სამინისტრო.

მედროგებები არსად ჩანდნენ, ულამაზო, კბილებჩაფცქვნილი სახლის პარმაღზე კი ქოჩორაფოფრილი, ნაცნობი ჭაბუკი სცემდა ბოლთას.

— ფულიენ მამალო, — გაეხარდა აბულასანს.

— ხედავთ, რა ხდება? — მოაჯირს გადმოველო ჭაბუკი, — ხედავთ, რა ფანდი შემოაგდეს? სულ იმ წყეული ფარმაზონის ბრალია! არა, თუ ხედავთ ორგზის დამბლანკრავ უბედურ მოსახლეობას?! ჯერ ქვაბლიანი და ახლა დედალოს-ჰერცოგის ერთობა, იაფი მოწონიკით და ზღაპრებით ნაყიდი სამშობლო. დაგვადედეს ამ მართლა დედალოსებმა! დაგმეთ, რა... ახლა მაინც დაგმეთ!

— მე უკვე დავგმე, რაც არ მომეწონა და შენც იქ იყავი, — მშვიდად მიუგო აბულასანმა.

— და დღეს მოგწონთ? ნიჩაბომარჯვებული ქალაქი მოგწონთ?

— იქ ადრე პატიმრებს ათხრევიდნენ ორმოებს. საწყობი უნდა გაემართათ, — აბულასანმა სხვა ქვეყნის კარი თუ შეალო.

— საწყობები უბალახო ბორცვებქვეშაა, ესენი ბალახიანზე წასულან. რა ნიშნით, ვერ მოგახსენებთ... და თქვენ კვლავ მის გვერდით დგახართ. თქვენ, პურს რომ უზიდავდით მის ოჯახს და მადლობას ვერ ეღირსეთ...

აბულასანმა ნაძალადევი გაიცინა: — მადლობის ლოდინი სისულელეა. ისე იცოდე, სამომავლოდ...

მამალომ ფრჩხილი მოიკვინა ცერზე.

— რას ელაპარაკებოდით იმ ძაღლის-გაგდებულ ჰერცოგს? — ჰკითხა გამწარებული.

— ვის?

— ვის და გლოჩესტერია თუ ვინც. გაზეთში მაინც არ დაგენერათ. თან, თქვენივე რედაქტორობით...

— სისულელეებს ნუ ლაპარაკობ, — გაბრაზდა აბულასანი, — გაზეთისკენ არც კი გამიხედავს, იქ ახლა ბედნიერ ჯანგულია უფროსად. ეგ ჰერცოგი კიდევ ბოლოს ასი წლის წინაბი ვნახე. რამ გადაგრიათ და გაგაბოროტათ? უცხოელებს ვუამბობ ჩვენზე და ესაა... მეტი არც არაფერი ვიცი.

აბულასანს შინ მიბრუნება მოუწია. მოშხამული მიეგდებოდა თავის საწოლზე და თავში საშინელება დაუვლიდა დავლურს.

— ბიჭებს გაზეთი აქვთ, მოვლენ და გაჩვენებთ, — თქვა შემცბარმა მამალომ, — იქ წერია, რომ თქვენ და დედალოსი ესაუბრეთ მაგას...

აბულასანს არ უპასუხია.

— მე მეგონა... აი, ხომ ხედავთ. მაგათთვის კანონი არ დანერგია, ჭრიან და კერავენ. ავტომანქანა უჩუქნია დედალოსისთვის... ჩვენ ბალახიანზე მივდივართ, ეგებ ფორანი იშოვნონ ჩემებმა...

— მოვდივარ, — თქვა უცებ აბულასანმა.

კლენა

— უდაბნოში, იცი, როგორ სუნთქავენ?  
 — თვალები მილულა და შორს გაიხედა.  
 — როგორ? — ვკითხე და ლილები შე-  
 ვიხსენი.  
 — აი, ასე, — სამჯერ ღრმად ჩაისუნთქა  
 და ამოისუნთქა, — უნდა გამოიზოგო, შეი-  
 ძლება ფილტვები აგვესოს მტვრით.  
 — მტვერი ხარ და მტვრად უნდა იქცე...  
 უდაბნო როგორია, არ ვიცი, — ფილტვე-  
 ბი სასვე მქონდა, ახლა მისი ჯერი იყო ავსე-  
 ბის. მოსანევი გადავანოდე...  
 — ნავიდეო!  
 — ღმერთო, შენ მაპატიე, ღმერთო, შენ  
 დაგვიფარე, ჩვენ, ცოდვილნი, — თქვა და  
 კვამლი ამოუშვა...  
 დავბოლდით...  
 — წმინდა მინაზე მიქარვა ორმაგად  
 მძიმეა, — ვუთხარი და კიდევ ერთხელ  
 მოვქაჩე. მოსვლა ვიგრძენი. კარგად  
 ვიყავი. მიყვარდა.  
 — შენ ამის გარეშე შეგიძლია სადღაც  
 გადასვება. მოსანევი არ გჭირდება...  
 — ვინ იცის, — ვთქვი და წერა მომიწი-  
 და. შემეზარა. არასდროს ყოფილა ისე,  
 რომ ფიქრებს ნაწერით დავწვდი...  
 დაწვდი, როგორ ვიშოვე მოსანევი (რე-  
 ცეპტი გამომიწერა ექიმმა), როგორ ვაც-  
 დუნე ლუკა. ჰო, ასე, ერთ წინადადებად.  
 იმ დღითი იერუსალიმი მოვიარეთ,  
 ლოთშიც ვიყავით. პირქვე ემხოზოდა და  
 ლოცულობდა, მე ლოცვა არ ვიცოდი.  
 რაღაც ათეისტის მაგვარი ვარ. უფრო  
 სწორედ, ათეისტი არ ვარ, მაგრამ ათეისტს  
 მეძახიან, ჯერ ღმერთი ვერ ვიპოვე, ან ჯერ  
 ღმერთმა ვერ მიაოვა.  
 — სწმინდებს შეეხე, განიკურნები, —  
 მეუბნებოდა ის, — ეს წმინდა გიორგის  
 ჯაჭვია, ამით ანამეს.  
 ხელში ჯაჭვი მეჭირა, არ ვიცი, რამდე-  
 ნი საუკუნის. თუმცა როგორ არ ვიცი,  
 გამოთვლა ადვილია... რკინა დროს  
 უძლებს, ძვალი — ვერ. მე რომ რამე კარ-  
 გი დავწვდი, ჩემს სხეულზე მეტ ხანს გა-  
 ძლებს. შედეგად, რომელიც სავესებით შესა-  
 ძლებელია, შევქმნა, უფრო დიდხანს იცხ-  
 თვებოდა, ვიდრე — მე... თავს ვიკავებ, არ  
 გამეცინოს.  
 თბილისში მითხრეს, რომ ორსულად  
 ვარ. ჩემი ორსულობა შემთხვევითია,  
 დაუგეგმავი. ამან ჩვენი შეუღლება დააჩ-  
 ქარა...  
 ჯვარი იერუსალიმში დავინერეთ, ოთხი  
 დღის წინათ. თბილისში ახლა ცივა, სი-  
 ცივეს ვერ ვიტან. იქ, ჯვრისწერაზე ბევრი  
 ხალხი მოვიდოდა, არ მინდოდა ბევრი  
 „დუტის“ ქურთუკის ერთად დანახვა. კარ-  
 გია, რომ აქ ჩამოვედით. როცა გაიყო, რომ  
 ორსულად ვიყავი, ლოცვების კითხვა დაი-  
 ნყო. კითხულობს დღითი და საღამოს.  
 აქაურმა ექიმებმა მითხრეს, რომ მე  
 ფორმალური ორსული ვარ... არარეალუ-  
 რი. „ცრუ ორსულობა“ — ხდება ხოლმეო,  
 მუცელიც იზრდებაო, შეგრძნებებიც  
 იგივეაო, მაგრამო... კიდევ რაღაცები  
 მითხრეს... ლუკა ყურადღებით უსმენდა. ამ  
 ამბავს ველოდი, არ გამეკვირვებია.  
 — ცრუ ორსულობა ერთგვარი პათო-  
 ლოგიაა, მაგრამ არანაირად არ ნიშნავს,  
 რომ რეალური ორსულობა არ დადგება.  
 პირიქით, ეს იმას ნიშნავს, რომ ორგანიზმი  
 ზედმინერებით მზადაა ორსულობისთვის.  
 იმდენად მზად, რომ გაუნაყოფიერებლად  
 ორსულდება. ჩვენი გათვლებით, სადღაც  
 ერთ თვეში ყველაფერი ნორმებს  
 დაუბრუნდება. აუცილებლად დაორსულ-  
 დებით, ჯანმრთელი ახალგაზრდები  
 ხართ, ეს გამოკვლევებმა აჩვენა. ოველა-  
 ციას დაელოდეთ და შედეგად არ დააყ-  
 თვებოთ, — გვითხრა ებრაულ ქუდით დამ-  
 ვენებულმა ექიმმა და გზა დაგვილოცა.  
 — ფაქტიურად წმინდანი ვარ! —  
 ვთქვი, როცა შენობიდან გამოვედით. ხუმ-  
 რობა არ მოეწონა, პირველი გადაიწერა.  
 — ბეთლემში უნდა ნავიდეო, — თქვა  
 ბოლოს.  
 ბეთლემი არის დაბადება... საწყარო,  
 ვარსკვლავები მის მოსვლას ელოდნენ —  
 ასე წერია... მძლოვმა საზღვრამდე  
 მიგვიყვანა, იქ ცოტა ხანს შევჩერდით,  
 პალესტინაში სხვა მანქანით გადავედით.  
 მესაზღვრეს ებრაელი ვეგონე და პასპორ-  
 ტის ჩვენება მომთხოვა. ებრაელებს პალ-  
 ესტინაში ერჩიან, ამიტომ ერიდებიან მათ  
 იქ გადასვლას.  
 — ყველას სახეზე ცნობენ. როგორც  
 წესი, არ ერევათ, — თქვა ქრისტიანმა  
 მძლოვმა, რუსულად.  
 — როგორ? — გაუკვირდა ლუკას.  
 — მაგას რა უნდა. განვრთნილები არი-

ან, — უპასუხა და საზღვარს გავცდით, —  
 კაცს, რომელიც თავის აფეთქებას და მს-  
 გავს რამეებს აპირებს, სახეზე ეტყობა. ამ-  
 ქვეყნიური აღარაა, ცარიელი თვალები  
 აქვს. არც სიძულვილი, არც ბრაზი. სრუ-  
 ლი არარსებობა. სანამ თავს აიფეთქებენ,  
 უკვე არ არსებობენ...  
 — ისინი არ არსებობენ, მაგრამ ზარა-  
 ლი არსებობს... დახოცილი ადამიანები, —  
 ვთქვი მე.  
 — ისევ ტერაქტია იერუსალიმში, პალ-  
 ესტინაშიც არეულობაა, — ამბობს მძლო-  
 ვი და რადიოს უწევს, — პალესტინის  
 საზღვარს დაკეტავენ, დროულად თუ არ  
 გადმოვედით... უნდა იჩქაროთ!  
 — ჯობს, მანქანა მოვატრიალოთ, —  
 ამბობს ლუკა. ღელავს. წრიალებს.  
 — არა, არაფერი მოგვივა, ვნახოთ ბე-  
 თლემი!  
 ლუკას თვალები უბრწყინდება. ხელზე  
 მკოცნის, მერე თვალბრუნდება.  
 — ის კაცი მართალი იყო, — ვეუბნები  
 ბეთლემში.  
 — ვინ, ქრისტე? — პირველს იწერს და  
 რაღაცას ბუტბუტებს.  
 — მძლოვო... როცა თქვა, რომ თვით-  
 მკვლელ ტერორისტებს თვალბრუნებში სიცი-  
 რივლე აქვთ, მშვიდი სიცარიელე. იმათმა  
 იციან, რომ არ არსებობენ და ამიტომაც  
 არიან ასეთი მკაცრები და შუფვალები.  
 — ისინი უბრალოდ მომბირებულად  
 გაზრდილი, გაუნათლებელი ხალხია... სხვა  
 არაფერი, — ამბობს ლუკა. ცდება.



ბეთლემში ცოტა მლოცველია, ეტყობა  
 საფრთხის გამო. შიმშილის გრძობა მი-  
 ტანს და სადღაც შორიდან მოტანილი,  
 შეშაზე შემწვარი ბატკნის სურნელს  
 ვგრძნობ. ბატკანი არასდროს მიჭამია,  
 ახლა მინდება. ლუკა კელაპტრებს ყიდუ-  
 ლობს, ხატებს, სუვენირებს, მე გუნებაში  
 შეკელი ლარზე გადავყავს და ვანგარიშობ.  
 გიდი ტაძრის ისტორიას ყვება. ქრისტეს  
 დაბადებას, წინასწარმეტყველებებს. ამ-  
 ბობს, რომ პირველი ქრისტიანები სომეხ-  
 ბი იყვნენ, მე ბერძენი მეგონენ. ვკამათო-  
 ბთ... მეც ვცდები და გიდიც, პირველი  
 ქრისტიანები ებრაელები იყვნენ, ეს არც  
 მე მახსენდება და არც მას...  
 მჯერა, რომ ქრისტე წმინდა ჩასახვის  
 ნაყოფია, ამაში დაუჯერებელი არაფერია.  
 ვხვდები, რატომ არ ენახება ღმერთი ად-  
 ამიანებს, რატომ არავის უნახავს და მხ-  
 ოლოდ სმენიათ... აქ ვინც მოდის, ამ ცხ-  
 თვებში, ვინც უნდა იყოს და რაც — ყვე-  
 ლა კვდება, ამიტომაც გააკრეს ქრისტე  
 ჯვარზე... ქრისტეს ყველა ქვეყანაში  
 ჯვარზე გააკრავდნენ, მან კი ებრაელები  
 არჩია. აქ თუ ხარ, უნდა მოკვდე, სხვა გზა  
 არ არის, ამ წესს ყველა ემორჩილება.  
 — რაც აქამდე დანერგა, ყველა რე-  
 ლიგია ნაღველია, — ვამბობ არაბის დუ-  
 ქანში.  
 არაბი მუსლიმი, არაფანატიკოსი. ამ-  
 ბობს, რომ რცხენია იმის გამო, რასაც  
 მისი რელიგიის სახელით სწადიან. ლუკა  
 მაინც ეჭვის თვალთი უყურებს მას და მის  
 ჩადრიან ქალს. ვერ დუნდება, გემრიელად  
 ვერ ილუკმება. მე მჯერა მათი. მე მჯერა  
 მისი დღერთის — ალაჰის, მჯერა ოლიმ-  
 პოს ღმერთებისაც, კრიშნასიც, ბუდასიც,  
 ყველა ღმერთის, ვისიც კი სჯეროდა ად-  
 ამიანს. მჯერა, რომ ისინი იყვნენ და ვიცი,  
 რომ აღარ არიან. ჰო, ახლას არაფერს ვამ-  
 ბობ, იმიტომ, რომ უკვე ნათქვამია, ღმერ-  
 თი მოკვდა... აი, იმას გავს ეს ამბავი, ზუს-  
 ტად იმას — „იყო და არა იყო რა“, „მეფე  
 მოკვდა, გაუმარჯოს მეფეს“. ახალი ღმერ-  
 თი უნდა მოიგონოს კაცობრიობამ, ან ღმ-  
 ერთმა უნდა მოიგონოს ახალი ადამიანე-  
 ბი, სხვაგვარად გამორიცხულია, დავილ-

უბებით...  
 ღამის ათი საათია, საზღვარს ერთ საათ-  
 ში გახსნიან. კარგად ვარ. მიყვარს.  
 მეცოდება ყველა ცხოველი, რომელსაც  
 იმიტომ კლავენ, რომ ჩვენ მივირთვით, მა-  
 გრამ მაინც ყველა ეს შეცოდება,  
 როცა გემრიელად ვილუკმები. ასეა ალ-  
 ბათ ეს კეთილი არაბი, ეცოდება ყველა  
 ადამიანი, ვინც რაღაც იდეის თუ შეხედ-  
 ულების გამო კვდება, მაგრამ ეს ყვე-  
 ლაფერი ავინყდება, როგორც კი აცნო-  
 ბიერებს, რომ თვითონაა მხარე. თორიე-  
 ბი არარსებობის შესახებ ყველას მდგო-  
 მარეობას ამსუბუქებს — ჩემსას, ცხვირ-  
 სას, ხალხისას და არაბისას.  
 — ჭეშმარიტება მხოლოდ ერთია, —  
 ამბობს ლუკა.  
 მოწყენილი მეჩვენება. ლოყები აქვს  
 ანითლბული. თბილია. ისეთი თბილი,  
 როგორც ძილის წინ, როცა ძალიან ეძინე-  
 ბა.  
 — აბა, ამ კეთილ არაბს ჰკითხე... —  
 პასუხს ვუბრუნებ და მეტად აღარ ვაგრ-  
 ძლებთ საუბარს.  
 ლუკა კარგი ადამიანია. არ ვიცი, რა-  
 ტომ შევეყვარდი. მისი სიყვარული მამძ-  
 იმებს. მინდა, რომ „კარგი“ გავხდე, არ  
 ვილაპარაკო ისეთ რამეებზე, რაც მის  
 შეხედულებებს ეწინააღმდეგება. არ გა-  
 მომდის. ლუკას უნდა, რომ მორწმუნე  
 ვიყო, ასე უფრო მშვიდად იქნებოდა.  
 — დაილაღე? — მეკითხება და მიხ-  
 უტებს.  
 რაც უნდა ტკბილი იყოს ჩვენი ერთად  
 ყოფნის წამები, შეგრძნება, რომ ეს ყვე-  
 ლაფერი სიზმარია, არ მშორდება. ადამი-  
 ანობის აბსტრაქტული განცდა, აი, მიახ-  
 ლობით ესაა, რაც მჭირს. ლუკას სჯერა,  
 რომ რახან გრძობს, ესე იგი, არსებობს.  
 შეუძლებელია, არარსებობას გრძობდე,  
 ისევე, როგორც ვერ გრძობდი ამას და-  
 ბადებამდე. ვთანხმდებით, რომ არარსებო-  
 ბა იქ იწყება, სადაც მახსოვრობა ქრება.  
 სადაც უძრაობაა.  
 სხეული, რომელიც მზლუდავს, იმას  
 სულაც არ ამტკიცებს, რომ რაღაც უფრო  
 დიდი იმალება მის მიღმა. ეს მხოლოდ  
 მოლოდინია. ისევე ვიკარგებით, როგორც  
 მანამ, სანამ მოვიდოდით. მოვედით კი?!  
 ან, იქნებ რამე დაგვაავინყდა აქ მოსვლამ-  
 დე, იქნებ არ გვახსოვს? იქნებ ეს ყვე-  
 ლაფერი არარსებულს მეს ფიქრებია.  
 არარსებულს მე ვერ იფიქრებს, გამოდის,  
 რომ ვილაცის (რაღაცის) ფიქრში გავ-  
 ცოცხლდით... რახან ვილაცის, ამიტომაც  
 ვერ ვგრძნობ, ამიტომ არ მჯერა... გავ-  
 ცოცხლდით, აქ და ამ ადგილას, დროებით,  
 რომ ისევ მოვკვდეთ... ლუკა ხელზე მჩ-  
 ქმეტს...  
 თეთრად შემოსილი არაბი საზღვრამ-  
 დე გვაცილებს. ხელზე კრიალოსანი აქვს.  
 ქართულად ვეუბნები, მაჩუქე-მეთქი. ხვდე-  
 ბა. ხელიდან იხსნის და მჩუქნის. „ალაჰ აკ-  
 ბარ“ — ამბობს ის. საზღვარი იხსნება. პალ-  
 ესტინიდან გავდივართ. თელავის სანა-  
 პიროზე ვსეირნობთ, თავს დაცულად  
 ვგრძნობთ, თვალს გვადევნებენ, რომ  
 არავინ შეგვაწუხოს. ზღვა თბილია და  
 მარლიანი. ზედმეტად მარლიანი. წყალში  
 თვალბრუნება ვახელ და შენვება. სასტუმროს  
 გადასახვევამდე მთელი გზა ვტირი და ვი-  
 ცინი ერთდროულად. ლუკა წყალს ყიდუ-  
 ლობს, სახეს ვიბან და ახლა მხოლოდ ვი-  
 ცინი.  
 — მე არ ვარსებობ და არც ჩემი სხეუ-  
 ლი არსებობს, — ვამბობ დილით, ლოგინ-  
 ში... ეგვიპტეში წასვლამდე ერთი დღით  
 ადრე. ლუკა მკოცნის.  
 — ამას ხომ გრძნობ? ეს ხომ არსებობს,  
 — ხელს საჯდომზე მკიდებს. მუცელზე

მეფერება. იქ სიცარიელეა.  
 — ჩემი სხეული ახლახანს სულ სხვა  
 რამეს გრძნობდა. ცოტა ხნის წინ... — ვამ-  
 ბობ და ვდუნდები.  
 — როდის?  
 — როცა მეძინა. სიზმარში სულ სხვა  
 მიყვარდა. სხვა სახლშიცხოვრობდი... გა-  
 რეთ ქარი იყო და სარეცხს ვერ ამრობდ-  
 ნენ. დიდი მუცელი მქონდა...  
 — გექნება...  
 — ბული იდგა... იმდენი ვხეხე ჯამები,  
 ხელები მტკივა. მუნჯი ვიყავი და მათი  
 საუბარი არ მქმნოდა...  
 — ეგ მხოლოდ სიზმარია, — ლოგ-  
 ინიდან დგება, დაბურულ ფარდებს კიდე-  
 ში წევს, მზის შუქს უშვებს.  
 — სიზმარი, რომელსაც ჩემი სხეული  
 გრძობს იმაზე უკეთ, ვიდრე ცხადს...  
 აბაზანაში შედის, ონკანს ალბის და  
 ჩემს სიზმარს წყალს უყვება. მერე ფუნჯს  
 ილებს და საპონს აქაფებს.  
 ყველა პირობა მაქვს, რომ კარგად  
 ვიყო, ასეცაა...  
 ერთხელ მესიზმრა, რომ სხეულში არ  
 ვიყავი და ზემოდან ვუყურებდი ჩემს თავს.  
 ლუკამ თქვა, რომ ეს კარგია. ადასტურებს  
 იმას, რომ სული გვაქვს და ვარსებობთ. მე  
 პირიქით მენიშნა. როცა შენს თავს ზე-  
 მოდან, ძალიან ზემოდან დაყურებ, ხვდე-  
 ბი, რომ არ არსებობ... ის ვილაც, რომელ-  
 ცი ზევიდან დაყურებს, გგონია, რომ შენ  
 ხარ, მაგრამ ტყუილია. იმ ვილაცას არც  
 გრძნობა აქვს, არც შიში, არც არაფერი.  
 ქვევით მდგარ სხეულს ეშინია და ამიტომ  
 ბრუნდება... იმის თვალში ქვევით მდგომი  
 შენ ისეთივე საგანი ხარ, როგორც კენჭი.  
 ოკეანის ნაპირზე მტოკავი და ოკეანეში  
 დასაკარგად განწირული. როცა თვითმ-  
 ფრინავე ვზივარ, მეც მსგავსი განცდა  
 მაქვს. კენჭის. სურულიზმის... ბორტამ-  
 ცილებელი გვატყობინებს, რომ ტურბო-  
 ლენტურ ზონაში შევდივართ, თვითმფრი-  
 ნავი კარგა ხანს ჯაფჯაყებს, ლუკა ვისკის  
 სვამს. ხელს მიჭერს. მე არ მემშინია სიკვდი-  
 ლის. ჰო, როცა მღვიძავს, სიკვდილის ნაკ-  
 ლებად მემშინია, განსაკუთრებით კი ჰაერ-  
 ში. იქ ყველაფერი ვივინყებ და ვდუნდები.  
 მაგრამ არის წამები, ან შეიძლება წუთები,  
 საათებიც, როცა თავბრუს ვინყვევლი,  
 ოფლში ვცურავ და ცახცახით ვიღვიძებ.  
 ეს მაშინ ხდება, როცა მძინავს, მძინავს და  
 სიზმარი კი არ მესიზმრება, სადღაც შორს,  
 ღრმად და სიბნელებში, ხმა მეუბნება, რომ  
 მოვკვდები, გავქრები, არაფრად ვიქცევი,  
 იმიტომ, რომ არაფერი ვარ და არაფერში  
 ნავალ... მე კიდევ იქ, იმ სიღრმეზე და იმ  
 სიშორეზე, არ მახსოვს, ვინ ვარ, ვისი ვარ,  
 და მხოლოდ ის ვიცი, რომ სიკვდილი არ  
 შემიძლია, სიკვდილს ვერ გადავიტანი! მა-  
 შინ ხმა ისევე იგივეს მპასუხობს, რომ მე  
 არავინ ვარ და არაფერი, ამიტომაც  
 მოვკვდები... მერე ნელ-ნელა იწყება  
 გაღვიძება და წამის მერამდენედში არ  
 ვიცი, მაგრამ მახსენდება, სახელი, გვარი,  
 ქმარი... შეიძლება ამ ხმამ ჩამავიწყა და ამ-  
 იტომ, შეიძლება სიკვდილის შემშინია და  
 ამიტომ, მაგრამ ალბათ მხოლოდ ეს არაა  
 მიზეზი იმისა, რომ ვიგრძნო ჩემი არარსე-  
 ბობა...  
 ჭიქას ვისვრი და ვლენავ, სახეს ვიბატ-  
 ავ და ვიფერები, მიყვარს და ვკოცნი, ეს  
 ყველაფერი ისევე ხდება, როგორც სიზ-  
 მარში. და თუ ორი არსებობაა აქ და სიზ-  
 მარში... და კიდევ მილიონ ადგილას, თანახ-  
 მა ვარ, ოღონდ კი იმ ხმას სიბნელებში რა  
 მოვუხერხო, არ ვიცი. ის ხმა ყველაზე ნაღ-  
 დია და მართალი. ყოველთვის არის ადგ-  
 ილი, სადაც ყველაფერი გავინყდება და  
 როცა ეს ხდება, სწორედ მაშინ იწყება სრუ-  
 ლი არარსებობა.  
 თვითმფრინავი მშვიდობით ეშვება.  
 შარმელ შეიხში ცხელა.  
 სამი დღე მხოლოდ სანაპიროზე ვნევიარ,  
 ზღვას ვუყურებ. ლუკა საჭმელს იქვე  
 უკვეთავს. საღამოობით ბევრს ვსეირნობთ.  
 მე ბაზარში სიარული მომწონს. აქაური  
 ფული შეკვლეუ კარგია, ადვილად ვან-  
 გარიშობ. სამ ხალიჩას ვყიდვლობ, ხალი-  
 ჩებს სასტუმროში ვფენ, ლუკა მეუბნება,  
 რომ ჯობს, შევიწახო, იმიტომ, რომ შეი-  
 ძლება გაფუჭდეს. ახლა მთავარია, უდაბ-  
 ნო ვნახო. ლუკა ტურს უკვეთავს. ჩვენი-  
 მომრის აივნიდანაც ჩანს უდაბნო, მაგრამ  
 მე ახლოდან მინდა. აქ, ამ ხრიოკში, ხე-  
 ლოვნურად მოყვანილი მცენარეები  
 უფრო ლამაზად მეჩვენება, მაგრამ  
 ოქროსფერთან შედარებით მწვანე ფერი  
 არაფერია.  
 სადღაც ნავიკითხე, რომ საჰარა  
 ყოველთვის უდაბნო არ იყო. ვარაუდობენ,

რომ იქ დიდი ცივილიზაციის კვალია, რომელიც გაქრა და მისი გაქრობის შემდეგ ნალკოტი უდაბნოდ იქცა... ჩემი გაქრობის შემდეგ მინდა, რომ ლუკას ფიქრებით ვიფიქრო და ლუკას ფიქრები ვწერო. ლუკა ყველაზე ცოცხალი ადამიანია, ვისაც ვიცნობ. სწამს არსებობის. ეგებ ერთ დღეს მისმა რწმენამ გადამარჩინოს. მინდა, რომ ღრმა ძილშიც მასსოვდეს... მაგრამ მგონია, რომ სიყვარულის ჩემ თავთან ასეთი აღიარება ცუდის მანიშნებელია. ალბათ ჩვენი სიყვარულიც მალე დამთავრდება, იმიტომ, რომ აქ ასეთი წესია... წესს ყველა და ყველაფერი ემორჩილება — ის, რაც მშვენიერია, წარმავალია, კვდება.

\*\*\*

ის დრო იყო მზე მოედნის მარცხენა ნახევრიდან მაგრად უტევდა. მარტი მთავრდება. მწარედ აჭერდა. უდაბნოს შუაღველს ასატანია თუ თავზე არაფატი გახურავს, პირი ავიკრავს და აქლემზე ზიხარ... ქარი ჩამდგარია, მთები ჩანს და ლემის მჭამელი ჩიტები თავზე არ დაგტრიალებენ...

აქლემებზე შესვლას ის და მისი ახლადმოყვანილი ცოლი. ელენეს უნდოდა. მისთვის სულერთი იყო. გიდა თქვა, ვისაც გინდათ, ბედუინები აქვე, ახლო-მახლო გაგასეირნებთო. სულ ოცი წუთითო. წუნუნის გარეშე შეეძლო იმის კეთება, რასაც ელენე თხოვდა. აქლემზე დაჯდა. გაბრაზებულ აქლემს ფურთხება სჩვევია. ლუკა არ იმდროულად. იქაურები ფეხით მიყვებოდნენ, ქარავნის წინამძღოლს ხელში თოკი ეჭირა და საითაც ის წავიდოდა, აქლემებიც იქით მიიწვეოდნენ. ტურისტები დაღლილები იყვნენ, ბევრი ეარათ და ბევრიც ენახათ. გახურებულ ქვიშაზე ფეხი არ დაედეგათ, მაგრამ გრძობდნენ, რა ცხელიც იყო. ძილი ერეოდათ, ისე ერეოდათ, რომ წინააღმდეგობის თავი არ ჰქონდათ გაჯიუტებულ ცხოველებთან, რომელთაც მთის წვერზე თუ კიდევე უფრო შორს რაღაც შეენიშნათ და საპირისპირო მხარეს წასვლას ლამობდნენ. ქარავნის თავკაცმა წაუშლერა ხმამაღლა თუ წაუყვირა, აქლემები დანებდნენ. გეზი აღარ შეუცვლიათ.

სიცხე თენთავდა და აბრუებდა, მაგრამ თვალი მაინც იმას ხედავდა, რასაც ხედავდა. მირაჟი იყო, სიზმარი, თუ რეალობა, ამას არ დაგიდევდნენ, სხვანაირი იყო, აქამდე უნახავი და ამიტომაც ღირდა. არა, უცხოოდ თავს სულაც არ გრძობდნენ, პირიქით, მხოლოდ იქ შეეძლოთ... ცა იყო მონმენდილი და უღრუბლო, ამიტომაც ეძებდნენ ზღვას, უფრო სწორად ზღვას კი არა წყალს. ბევრ და ცივ წყალს, არამარტო იმას.

ელენე ქარავნის ბოლო აქლემზე მარჯვდევდა, წინ ლუკას აქლემი მიდიოდა... ლუკას ეჩვენებოდა, რომ ელენე არ დაღლილიყო. ლუკას ეჩვენებოდა, რომ ელენე იქ სხვა დროსაც იყო. ლუკა ელენეზე ბევრს ფიქრობდა და ამიტომ ბევრი რამ ეჩვენებოდა... ლუკას არ უყვარდა ელენესთან დამშვიდობება. განშორება. როცა მატარებლით მიდიოდა, კუპემდე არ აყვებოდა, ბაქანზეც არ მიაცილებდა. ხელს უშლიდა იმის ცოდნა, სად იჯდა ელენე, რომელ ბაქანზე უნდა დალოდებოდა მატარებელს. ის, რასაც ლუკას თვალს იმასსოვრებდა, შფოთის წყარო ხდებოდა. ახლა ცოლი და ქმარი ერქვათ, შეეძლო, აღარ ედარდა, თვალწინ ჰყავდა. ხედავდა.

— ლუკა, გადამიღე სურათი, ნახე, ხელები გაშლილი მაქვს!

ლუკამ მიტრიალება სცადა, მაგრამ მოეჩვენა, რომ აქლემი მის ჩამოგდებას შეეცადა და აღარ განძრუვდა.

— ელენე, არ გადმოვარდე! — მიამახა და უფრო მაგრად ჩასჭადა ხელები უნაგირს...

მათ გარდა იქ კიდევ ჩვიდმეტი ტურისტი იყო, არავის არაფერი მოსვლია ერთის გარდა. ყველა დაბრუნდა, ელენე — ვერ...

გაუჩინარებით, გაურკვეველობით შენუხდნენ. მოფარებულში დასხდნენ, ეძებეს და ვერ იპოვნეს. ქარი ამოვარდა და ამიტომ სხვა გზა არ იყო, უნდა დალოდებოდნენ გამოდარებას. ერთმა ეგვიპტელმა თითი დაისველა, ქარი ორმოც წუთში გადაივიდოდა, ასე თქვა.

სადილის დრო მოახლოვებულიყო, სუფრა გაემალა. ცხრილის ხორცი ფალაშიაში გაახვიეს და ისე მიირთვეს. შიმშილის მოკვლამ დარდებიც შეამსუბუქა. სული

მოითქვეს. ყვებოდნენ, ვინ და სად დაინახა ბოლოს, სავარაუდოდ როდის გაუჩინარდა. ყვებოდნენ რუსულად, ინგლისურად, სერბულად, ფრანგულად, იტალიურად. ჰო, შენუხდნენ. ტურისტებისთვის თავგადასავალი იყო, რომანტიკულად მოსაყალი ამბავი, ბედუინებისთვის თავსატეხივარი, ხათაბალა... ლუკა ჯერ ვერ ხვდებოდა, რა იყო.

— ჩვენ რომ ტურისტი დავკარგოთ, თავებს დავგაჭრიან, აქ უდაბნოს კანონებია. კანონი მკაცრია... — თქვა თეთრკაბაში შემოსილმა კაცმა დამტვრეული რუსულით. მერე არაბულად დაამატა რაღაც. დაკარგული აქლემის პატრონს თავი ფეხებში ჩაერგო და ჩაქინდრულ თავზე ხელს ირტყამდა გამეტებით. არავინ მისულა და შეუჩერებია, ალაჰ აკბარ — მხოლოდ ამას გაიძახოდნენ.

ერთმანეთისგან ვერ არჩევდა, შავები იყვნენ და თეთრი ემოსათ, ჰგავდნენ...

როცა თქვეს, ზუსტად იმ დროს ჩადგა ქარი, არ ჩანდა ქალი... მზე იმაზე მწარედ აჭერდა, ვიდრე დილით. იქ წვიმა არ მოვიდოდა. „წყალი“-ო, ქართულად თქვა და ჩრდილში გადაგორდა. მივარდნენ, სახეზე აპკურეს, წამოსვეს, მერე რაღაც დააღვივინეს. ის რაღაც, ჰაშიმგარეული ჩაი იყო...

ერთ საათს რომ არ გამოჩნდა და ბედუინებმაც ვერ იპოვნეს, ტურისტები აღარ ალოდინეს, ჯერ ბაგებსა და



კვადროებზე, იქიდან კი მინიაგოტობუსში გადასახეს და სასტუმროებში ჩამოარიგეს თვლით. ლუკა გვიან ღამით დაბრუნდა, მას მერე, რაც აფრიკის კონტინენტის ქვიშით ფილტვები დაიტენა და გზად ალბინოს ვეფხვსაც გადაეყარა... იწვა მშვიდად და წარბანული გაჰყურებდა ქარავანს. აქლემებს მხეცის დარდი არ ჰქონდათ, ბევრნი იყვნენ და იარაღიანი პატრონებიც გვერდით ჰყავდათ. ვეფხვი შორს იყო და საალერსოდ გამზადებულ კატას ჰგავდა.

— ალბინოსი ვეფხვი კარგის ნიშანია, ქალი ცოცხალია, — თქვა ქარავნის წინამძღოლმა და აყიჟინდნენ. აზრს ვერ გაუგებდი. ვეფხვი უდაბნოში სიცოცხლის ნიშანი კი არა, საფრთხისა უფრო იყო. ლუკას აღარაფრის თავი ჰქონდა, ეს ის დრო იყო, მესამე უშედეგო ძებნის მერე ხელები რომ ჩამოეყარა და ისე წარკვეთოდა სასო, მშვირი ვეფხვიც არ შეჭამდა.

— უნდა ვიპოვნოთ, — თქვა ლუკამ, როცა ტურისტები გაისტუმრეს. ქართულად თქვა მაგრამ იმთავაც გაიგეს. ვინ იცის, იმ დღეს მერამდენედ მოასხდნენ აქლემებს ყიჟინით. მოყვნენ წრეებს კლდეების ირგვლივ. მზეს უკან დაეხია. ის აქლემი, რომელზეც ელენე იჯდა, დაუხმარებლად დაბრუნებულიყო. აქლემს რომ ენა ჰქონოდა, რამეს მაინც იტყვოდა. რომ არ ჰქონდა, ამიტომაც მივარდა ლუკა ცხოველს და აქვითინდა. აქლემი რაღაცას ლეჭდა საღეჭი რეზინით, ბედუინმა ხელით ანიშნა და ცხოველი დაჯდა. ქალი არ ჩანდა, ჩანთა კი იქ ეკიდა, სადაც თავიდან. ლუკამ ჩანთა გახსნა და ნივთებს დააკვირდა, თითქოს იქ იყო პასუხი. ბლოკნოტი, კალამი და ნყალი, თეთრი წინდა და თვალის ნვეთები. ლუკამ იცოდა, რომ ელენე სულ რაღაცას წერდა ბლოკნოტში. ახლა შეეძლო ნახვა. არ გადაუშლია.

ბედუინმა აქლემს ყური დაადო, ერთ ხანს რაღაცას უსმინა, მერე კი ჯერ არაბულად თუ ეგვიპტულად თქვა, ბოლოს კი რუსულადაც დაამატა:

— ნარბენი არაა, ქარიშხალს მოფარე-

ბულში შეხვდა, ახალი ნაჭამია და დასვენება უნდა.

— საათის სავალზე სოფელია, იქ წავიდეთ, ქვიშა კვალს არ ინახავს, აქლემს მივყვით, — თქვა სხვამ. ქვიშა არა მარტო ნაფეხურს, კონტურებსაც შლიდა. ცოტა ქარიც საკმარისი იყო, მტვერივით აბრდვლილდებოდა. სად მთავრდებოდა ცა და სად იწყებოდა კლდე, ვერ გაარჩევდი...

— აქ ახლომახლო სოფლები იქნება, ან დასახლება. იქ უნდა წავიდეთ. ეგებ ვინმესთანაა, — თქვა ლუკამ ინგლისურად. მიხვდნენ, რომ ერთსა და იმავეს ამბობდნენ და გზას გაუყვნენ. ღრმად ჩაისუნთქა, ეჩვენებოდა, რომ ფილტვები მტვრით ავსებოდა. ელენეს ჰოვნის წინათგრძობა არ ჰქონდა, მაგრამ ელენე რომ ცოცხალი იყო, ამისა სჯეროდა.

სოფელი შორს იყო თუ ახლოს, ვერ გაიგო. საფეთქლები ხმაურობდნენ. სიცხისაგან გახურებული თავი რომ დაეამებინა, უფრო მაგრად მოიჭირა არაფატი. გულისცემა ჩადგა, დაღუშდა. გალავანთან გაჩერდნენ, შეგვნიშნავს და თვითონ გამოვა მამასახლისი... ასეც მოხდა. თეთრებში შემოსილი შავი კაცი გამოვიდა, მიესალმა, შეიპატკია. მხოლოდ სამნი შევიდნენ, ლუკა, დაკარგული აქლემის პატრონი და გიდი. ქალები არსად ჩანდნენ, არც ბავშვები. მოფარებულში დასხდნენ და ცოტა

ხანს ისაუბრეს ლუკასათვის გაუგებარ ენაზე.

— აქლემი მარტო იყო, რაშიდმა დაინახა და მოიყვანა, ნიშანზე ვიცანით, დილეგში შევიყვანეთ, წყალი დავალევიეთ. ქარმა რომ გადაიარა, რაშიდი გამოყვა და თქვენი ქვიშებისკენ უკვე თამამად მიუშვა, ადგილები ეცნო. ქალი არ გვინახავს, არც არავინ შეგვინიშნავს გზაზე, მხოლოდ სისხამზე ჩაიარა მაჰმუდის ქარავანმა და სხვას არავის ჩაუვლიაო, უთარგმნეს.

მაჰმუდი შეიხი იყო და სავაჭრო საქონელი გადაჰქონდა მის ხალხს. მაჰმუდის სხებებზე მუხლებზე დაეცნენ და ლოცვას მოჰყვნენ. შეიძლება მაჰმუდი არაფერი მუშაობდა და ლოცვის ჟამი დამდგარიყო. ბოლოს ერთმანეთს გამოემშვიდობნენ და დაიშალნენ.

— ქალის არაფერი იცინა. თუ რამეს გაიგებენ, გვეტყვიან. მოტაცებული არაა, ვერავინ გაბედავდა, მაგზავრი გაეტაცა. ტურისტი. უნდა დაგვბრუნდეთ. აზრი აღარ აქვს. ქალი ქვიშამ ჩაყლაპა, — თქვა ნაპოვნი აქლემის პატრონმა და თავი ჩაქინდრა.

— სოფლები აღარაა, იქით კიდეა, დასასრული. ამაზე მეტს ჩვენ ვეღარ გადავალთ. მოგვკლავენ, — თქვა გიდა ლუკას გასაგონად და გალავნიდან გამოვიდნენ.

— მე წავალ, — თქვა ლუკამ. ხვდებოდა, რომ დახმარების ყველა გზა ნაცადი იყო და უკან იხევდნენ. ბედს ეგუებოდნენ. იმ ადგილის იქით, საპარას სიღრმეში ვინც შევიდოდა, უკან ვერ გამოვიდოდა.

— ნადი, შენი ქალი ხვალამდე თუ არ გამოჩნდა, მერე ვეღარ იპოვი. მალე დაბნელდება, — თქვა მთავარმა გიდა და აქლემი მიატრიალა. ის აქლემი რომ მიტრიალდა, ლუკას აქლემიც ასევე მოიქცა...

— ამან ქალი დაკარგა, მე კი თავს მომაჭრიან, — ნაპოვნი აქლემის პატრონმა მწარედ ამოიხვნეშა.

აქლემის შემოფარებების დარდი აღარ ჰქონდა, წინ გადაწეულიყო და მკვდარივით ეკიდა. დროდარო თვალს გაახელდა,

როგორც მძინარი. ამინდი ისევ აშლილიყო და სიბნელისკენ ეჭირა პირი. ქვიშა შავად ბრიალებდა, აქლემი მშვიდად მიაბიჯებდა. ელენემ ბაზარზე სამი ხალიჩა იყიდა, ზუსტად იმ ფერებში, ახლა აქლემზე რომ შემოეგდოთ. დაღლილი და დამსკდარი ტურებით შალის უხემ ნაქსოვს სიმწრისგან ლოლნიდა... რომ თქვეს, ვეფხვიო, ცალი თვალთ გახვდა. ნეტავ, ესლა მეცემოდეს, დამგლეჯდესო, გაიფიქრა და ძილი მოუნდა.

სხვა

უდაბნოს სახე არ აქვს, არის ვრცელი და უმიწო. უწვიმო და უწყლო. მხოლოდ კლდეები და ქარი, ისეთივეა როგორც დასაბამიდან. წარსულის ექო, ჩარჩენილობის განცდა, უძრაობა და მზის ძლიერება...

ის დრო იყო, მზე რომ თავზე ადგა და თვალს ჭრიდა. თავბრუ დაეხვა თუ სხივი შეეპარა სხეულში... თვალში დახუჭა და უნაგირს ხელები გაუშვა. ამ დროს გასძახა ლუკას, მომხედო...

თვალი რომ გაახილა, ვერაფერს ხედავდა სინათლის გარდა. წინ გადაიხარა. აქლემისთვის ნიშანი იყო, დაჯდა. ფეხებში იგრძნო უდაბნოს ცხელი ქვიშა და ტერფების სიმძიმე. ისევე ვერაფერს ხედავდა, მაგრამ იცოდა, რომ უდაბნოში არც არაფერია, წინ რომ შეგეჩხოს. არ იცოდა, სად მიდიოდა და რა ბედი ეწეოდა, უბრალოდ იცოდა, რომ უნდა წასულიყო...

არ ახსოვდა, რამდენი ხანი გავიდა, რას გრძობდა, ვინ იყო. ძალაგამოცლილმა, თვალი მოკრა თეთრ საშოსს. მისკენ მოდიოდა. იმან, ვის სახესაც ვერ ხედავდა, წყალი დააღვივინა. ისიც გაიფიქრა, ეს ყველაფერი მეჩვენებო, მაგრამ როგორც სიზმარში, აქაც ისევე იგრძნო წყურვილის მოკვლა. სვამდა, ძლებოდა, კიდევ ითხოვდა... იმან ჩადრი დააფარა. მოდუნებულ სხეულს აღარაფრის თავი ჰქონდა... იმან ხელში აიყვანა და აქლემზე გადააწვინა... მხოლოდ თვალებით გრძობდა შემოუსვრელ მზეს. სხივებმა დალაღეს და გადააბერეს. სიზმარში ძილს გავდა. სიზმარში ძილს და იქ კიდევ სიზმარს და ასე დაუსრულებლად... იმან გზაში ბევრი იმდერა. იმის სიმღერა მოეწონა, დაიმასხვორა.

თვალი რომ გაახილა, ან ვითომ გაახილა, სხვაგან იყო და არ იცოდა. წამოდგომა მოუნდა. გაუჭირდა. ის კაცი მივიდა და მიეხმარა... თეთრად შემოსილ კაცს სათნო სახე ჰქონდა და ახლაგაზრდა იყო. მისი ტოლი. თუმცა თავისი ასაკი არ ახსოვდა. ეშინოდა, დაბერებული არ ვიყო. ჩრდილი დაინახა თავისი და ჩრდილს მუცელი ჰქონდა, ხელები დაიო, არ ინძრეოდა, მაგრამ იცოდა, რომ იქ იყო.

სახლს პატარა სარკმლები ჰქონდა და სარეცხი ძნელად შრებოდა. პირუტყვი იყო და ბევრი აქლემიც. ის მუწჯი იყო და იქაურების ლაპარაკიც არ ესმოდა, არც უნდოდა. ჩადრს დაიხურავდა, გარეთ გავიდოდა და სეირნობდა. იქ ქარი ქვიშას უბერავდა და გაშლილ თმას მარხავდა. თმა ყველა ქალს გრძელი ჰქონდა, რომ უფრო ღრმად ჩაეფლათ თვალბში საშუადაოდ აღბეჭდილი მზის ძლიერება. რასაც ქვიშა ფლავს, მზერა ინახავს, მზერას კი დამარხულ თმებს ჩაატანენ, რომ ერთხელაც იქნას, გაღვივდეს, აღმოცენდეს... ხედ თუ არა კაქტუსად მაინც.

ერთი უკვირდა — ახალშობილის არსებობა...

არ ახსოვდა, თვითონ როგორ დაიბადა, ან რას ფიქრობდა, როცა ერთი ბუნო იყო. არ ახსოვდა თავისივე არსებობა მუცლადყოფნისას, ან სამ წლამდე. სიზმარივით იყო, ნელ-ნელა გამოერკვა. გამოდიოდა, რომ ის, რაც მას არ ახსოვდა, სხვებს ახსოვდა, სხვები ხედავდნენ... სხვებმა, ისევე, როგორც თვითონ ახლა, იცოდნენ, რომ შვილი დაიბადა... ის არსებობდა, ჯერ ძალიან პატარა, მაგრამ არსებობდა, მიუხედავად იმისა, რომ არაფერი ახსოვდა — მხოლოდ ტიროდა ან ეძინა...

ესიზმრა, რომ სულ სხვა იყო და სხვაგან ცხოვრობდა. ანდა პირიქით, ის, რაც იმ წამს ხდებოდა, სიზმარი იყო... და მისი ეს ორი სიზმარი თუ ცხოვრება სულაც არ აქარვებდა ეჭვებს... ამას მხოლოდ ბოლოს მიხვდა, როცა მისი სხეული ზევიდან, ძალიან ზევიდან დაინახა, ისე ზევიდან, რომ უკან დაბრუნება აღარ გამოვიდოდა.

ის, ვინც ზევიდან იყურებოდა, ვერაფერს ხედავდა მთების გარდა...

დიდ ქალაქში შეიძლება შეხვდეთ ადამიანებს, რომელთაც არ გაიცნობ და მათი სახე მაინც სამუდამოდ დაგამახსოვრდება. ბრუნდები ან დაგვიანებული მიდინარედაქციისა და ესა თუ ის ნაცნობი სახე გხვდება სხვა სახეების უთვალავ გროვაში. ეს ხდება იქვე, ორბელიანის მოედანზე ან ალექსანდრეს ბაღში, მშრალ ხიდზე ან ჯგუფად დამდგარ მაკლერებს შორის. ისიც ასე მხვდებოდა და მერე იკარგებოდა, ან იქნებ მე ვიკარგებოდი, მე აღარ ვჩნდებოდი იმ ადგილებში. უნივერსიტეტიდან გვახსოვდა ერთმანეთი.

ცხოვრებას აქვს თავისი მერიდიანები, თავისი გრძედები და განედები და შეიძლება ორი ადამიანის გზა მათი დამთხვევის ადგილას გადაიკვეთოს. ვორონცოვის მიდამოებამდე ჩვენი გზა უნივერსიტეტის ბაღში ისე გადაიკვეთა, რომ არ დავახლოვებულვართ. ის შეიძლება მაშინ ვერც კი მამჩნივდა. უფროსკურსელი იყო და თავის ამფსონებთან ერთად იჯდა ქვის დაბალ ფილაზე, რომელიც ბაღში შესასვლელს გასდევდა. იქ მეც ხშირად ვიდექი ჩემს თანაკურსელებთან და სხვა მეგობრებთან ერთად. ვიდექით და სიგარეტს ვენვოდით, ზოგჯერ ლექციის დამთავრებას ველოდებოდით, უმეტესად კი უაზროდ ვიცდიდით, ვიცოდით, მალე საღამო მოანევდა და სადმე ერთად ჩავსხდებოდით.

ჭაფჭაფადის პროსპექტზე, უნივერსიტეტთან ხალხმრავალი დინება მიხსნაფოდა, ერთ ტოტს ვარაზისხევისკენ ავდებდა, მეორე კი გზას კვეთდა და ისევ პროსპექტს მიუყვებოდა. ვიდექით, ვიდექით და ვიდექით — ასე გადიოდა სიჭაბუკე, ჩვენ ვერ ვგრძობდით, რომ გადიოდა. ის კი იჯდა და იჯდა დაბალი ქვის ფილაზე პირველი კორპუსისკენ პირმიქციული ამფსონების წრეში. ტანდაბალი იყო, სრული, ჩახსმული, ღონიერი, ნელა მოძრაობდა. ნაცნობს რომ დაინახავდა, გაიცინებდა და ხელს გაუნვდიდა, მერე კი მის მხარდამხარ დინჯად განაგრძობდა გზას. ვაჟკაცური და უტეხი ხასიათი გამოსჭვივოდა მის გამოხედვაში, სახე კეთილი ჰქონდა, თვალბა — ცისფერი. სხვა რიტმით ედინებოდა მაშინ ცხოვრება.

ერთხელ უნივერსიტეტის ბაღში ჩამომსდართ ერთმა თანაკურსელმა თავმომწონედ განგვიცხადა — პოეტები თუ გაინტერესებთ, თქვენ არ გეცოდინებთ, ახლა ყველაზე ძლიერი მხსუთეკურსელი შერმადინ ქალდანიაო. შერმადინი არაერთხელ შემინიშნავს გახმაურებულ საჯარო ლექციებზე, პოეზიის საღამოებზე, სამკითხველოშიც ხშირად მომიკრავს მისთვის თვალში. ის თვითონ იყო პოეზიის საღამოების მთავარი გმირი და თავისი მცემელთა აუდიტორია მის გარშემო ბრუნავდა, მაგრამ ისიც ვიცი, რომ ამის გამო შერმადინს თავბრუ არასდროს დახვევია.

შერმადინ ქალდანი — უცნაურად ჟღერდა ეს სახელი და გვარი, არქაული ელფერი გადაჰკრავდა, არ შეიძლებოდა, მაგვიწყებოდა. მეც დამამახსოვრდა. ეს იყო და ეს. ჩვენი გზები უფრო მჭიდროდ მოგვიანებით გადაიკვეთა. ერთ ჩემს მეგობარს კი სავსებით შემთხვევით მოუწია მისი გაცნობა. უნივერსიტეტის ბაღში თავშეყრილები ჩვეულებისამებრ „ივერიის“ სახინკლისაკენ გაემუშვნენ. იქ კი, რასაც მათი გაფხავებული ჯიბე გასწვდა, — ლუდი, „ჩებურეკი“, არაყი — ის იკმარეს და ვინრო მაგიდას გარშემო შემოუდგნენ. სუფრა რომ მოათავეს, ისევ უკან, უნივერსიტეტის ბაღისკენ გამოსწიეს (ესეც ჩვეულება იყო). მოღრმული დღე იდგა, ჟინჯულავდა, აქა-იქ ქოლგებიც ეჭირათ პროსპექტზე ქალებს. ბაღში ძეხორციელი არ ჭაჭანებდა. კორპუსის შესასვლელისკენ აღმართზე ასწრაფებულ ლექტორებს თავზე გახეთი ნაფარებინათ. ბაღის ბოლოში საიდანლაც უცხო სხეულივით შემოიჭრა მთვრალეების ხროვა, შემოიჭრა და თანდათან მოედო მთელ ბაღს.

უნივერსიტეტის ბაღში ჩამოდგებოდა ხოლმე უგემური, თარსი დღეები, იშვიათად, მაგრამ მაინც ჩამოდგებოდა. ბაღი ცარიელდებოდა, წვიმდა, დასველებულ სკამებს არავინ ეკარებოდა, თუმცა არც მანამდე ჩანდა ვინმე იქ ჩამომდგომი. სხვა დღეებში თუ ტევა არ იყო, ახლა, გეგონებოდა, პირი შეკრესო, ერთ სტუდენტსაც კი ვერ მოჰკრავდი თვალს. ასეთ დროს მეც ვერ ვჩერდებოდი ბაღში და ვერც ბაღის სიახლოვეს ვძლებდი. კორპუსში ავიდიოდი და იქაც არავინ მხვდებოდა ყველაზე უც-

ნობი და უფერული ლექტორის გარდა, რომელიც ჩამობნელებული დერეფნის ბოლოში გაკრთებოდა და სწრაფად გაუჩინარდებოდა.

და სწორედ ერთ ასეთ დღეს, როგორც იმ ჩემმა მეგობარმა მომიყვია, უკვე ნასვამები და სასტუმრო „ივერიის“ სახინკლიდან ბაღში მიბრუნებულები (როგორც უკვე ვთქვით, ასეთი ჩვეულება თუ წესი არსებობდა) უცხო სხეულივით შემოჭრილი მთვრალეების იმ ხროვას გადაეყარნენ. შერმადინიც იმ დღეს გაიცნო და სხვა ორ ბიჭთან ერთად ბაღში მობრუნებულებს რაღაც უმნიშვნელო ნალაპარაკება მოუვიდათ გადამთვრალ უცნობებთან, აქეთ-იქით გაიფანტნენ და გაიშალნენ ბაღის სიღრმეში. ვინ ვის ელაპარაკებოდა, ძნელი გასარჩევი იყო. ჩემმა მეგობარმა შერიდან მოჰკრა თვალი მკვეთრ მოძრაობებს, მერე ისიც შენიშნა, როგორ მოიცვალა შერმადინის ირგვლივ რამდენიმე კაცი. ეს თვითონ შერმადინი სხვებზე შებოროტივით ადამიანებს. მერე სხვებიც იმ ადგილისკენ გაიქცნენ და მეგობარმაც მათ მიაშურა. აქ უკვე სხვანაირად ჩაიხლართა კვანძი. შერმადინი ისევ ფეხზე იდგა, ჩემი მეგობარი კი ნაიქცა და მერე ძლივლივობით წამოდგა. ხროვა გაიფანტა. შუა ბაღში, ვარაზისხევისკენ ჩამავალ კიბეებთან, ერთი ცხვირგატეხილი მოჩუბარი ნაძვის ტოტს ჩამოეკიდა და ჩამოტეხა...

**ანდრო ბუაჩიძე**

**მოსხეტიალე ქარაპანი**

**შერმადინ ქალდანის ხსოვნას**

მერე შერმადინი იჯდა ბაღში, ნანვიმარ სველ სკამზე და იცინოდა. სიცილიც ისეთი იცოდა, გულიანი, მთელი სახე გაებადრებოდა ხოლმე, მთელი არსებით იცინოდა, მთელი სხეულით. ამ სიცილში ჩანდა, რომ მისთვის ესეც ერთი ჩვეულებრივი უნივერსიტეტული დღე იყო, ისეთივე ჩვეულებრივი და არაჩვეულებრივი, როგორც სხვა დღეები...

ერთი ფრანგი მწერალი ამბობს, ახალგაზრდობა სიმთვრალეაო. და მართლაც ასეა. მთვრალეები ვიყავით და ჩვენი ზარბოზის გზებზე დავეხეტებოდით. ამ გზებს კი სად აღარ მივყავდით. უნივერსიტეტის ბაღი მოჯადოებული წრე იყო. ამიტომაც ამ წრიდან გასვლა გვიჭირდა და, თუ გავიდოდით ქალაქის რომელიმე უბანში, მერე ისევ ბაღში ვბრუნდებოდით. ბაღის მხრიდან მდინარე ვერეს ნაპირას გვიყვარდა ჩასვლა. შორიდან ვოლიერში გამომწყვდეული დასიცხული ლომის ბუხუნი ისმოდა.

ერთხელ, მახსოვს, ლუდის დასალევად ჩვენს საყვარელ ადგილს — ზოოპარკის წინ გაშლილ მაგიდებს — მივაშურეთ. ეს საზაფხულო ლუდხანა თუ სადგომი რკინის მაღალი ღობით პირდაპირ ზოოპარკს ებჯინებოდა. ვსვამდით ლუდს, რადგან ჯერ არ იყო დაღამებული. ჩვენი ქაოსში მოხეტიალე ქარაპანი აჭიანურებდა შინ ნასვლას, მუდმივად გილსამყოფელში დაბრუნებას და ამ დროს შემოვიდა ლუდხანაში შერმადინი. მარტო შემოვიდა. ჩემი თანამეინახევი იცნობდნენ მას და, რა თქმა უნდა, მოიპატიჟეს სუფრასთან. იჯდა და ხმადაბლა საუბრობდა, სხვა არაფერი მახსოვს. ის ჩვენზე უფროსი იყო, მაგრამ ჩვენსავით მოხეტიალე ქარაპანს იყო აღვევებულნი, რომელიც საბოლოოდ მაინც უნივერსიტეტში უნდა დაბრუნებულიყო. და ასე შევიყარნით. არ ვიცნობდით-მეთქი ერთმანეთს, ვერ ვიტყვი, მართალი არ იქნება. უბრალოდ, ერთმანეთი საგანგებოდ არასოდეს გავვიცვინა. იმ დღეს კი, როგორც ჩანს, შემამჩნია და უფრო კარგად დავამახსოვრდი. ვისხედი და ვისხედი, ველოდით და ველოდით. რას ველოდით? იმ ფაფარაყრილი, აქაფებული ნიაღვრის ჩავლას, რომელსაც სიჭაბუკედ მოიხსენიებენ. ის კი არც ფეხს იჩქარებდა და არც ავკიანებდა, იმ რეჟიმით მივინებოდა, რომელიც ყველასათვის შეუმჩნეველია. მერე ვილაცამ დაიძახა, ვოლიერიდან დათვი გამოსულაო და ჩუმი ჩოჩქოლი ატყდა. ჩვენთვის ეს ამბავი იმნამსვე უაზრო, ნაპირებგადამლახველი, ჩვენი მოხეტიალე ქარაპანის ბოჰემური ცხოვრების გაგრძელებად იქცა. მაგიდები რკინის მესერს მივადგით, ზედ შევდექით და ლო-

ბის მიღმა ვიყურებოდით. შერმადინიც ჩვენთან იყო. ღობის მიღმა უზარმაზარი დათვი უაზროდ იზლაზნებოდა. დათვის წინ პოლიციელი იდგა, ერთ ხელში რატომლაც რძის ბოთლი ეჭირა, მეორეში კი იარაღი. პოლიციელი შორიასლის იდგა და დათვს თვალბეჭდით ჩასცქეროდა. ცოტა ხანში სახანძრო მანქანაც გამოჩნდა, დათვმა ზოოპარკის სიღრმისკენ გასწია, მიდიოდა და მეხანძრეები უკან მიჰყვებოდნენ...

მერე თანდათან მოსალამოვდა. ვარაზისხევი სინათლეები აინთო. სწრაფად დაღამდა. სავეს მთვრალი განათებული დამე იყო. ჩვენ ისევ ღია ცისქვეშ, მაგიდასთან ვისხედით. საუბარს აზრი აღარ ჰქონდა და არც უნდა ჰქონოდა. ერთ-ერთ მაგიდასთან უგონოდ მთვრალეები ისხდნენ და გაუთავებლად, უმისამართოდ იგინებოდნენ. ჩვენ კი ერთმანეთს ლაპარაკს არ ვაცლიდით და იყო არა საუბარი, არამედ კაკაფონია. და იყო მანამდე, ვიდრე არ ჩაყრუვდა გარშემო ყველაფერი და გვიანი ღამის საათმა არ მოანია...

მას აქეთ ოცდაათ წელზე მეტი გავიდა. მე ხიდის ქუჩაზე ლიტერატურული ჟურნალის რედაქციაში დავინყე მუშაობა. უკვე ჩველი იყო შიმშილობის, უსინათლობის, ომებისა და სხვა ათასნაირი გაჭირვების თუ უბედურების წლები. ამ წლებმა ძირფესვიანად შეცვალა ადამიანები და ნარუშლეული დალი დაახვა ყველას.



რედაქციაში მესამე სართულზე მიწვედა ასვლა. მაღალი შენობის სადარბაზოში შესვლისთანვე მძაფრი და უსიამოვნო სუნი გეცემოდა. ეზოში გამავალი ფანჯრის რაფებზე ლუდის დაცლილი ბოთლები ეწყო. როგორც ჩანს, ზაფხულში დასიცხული მგზავრები სადარბაზოს სივრცის აფარებდნენ თავს, აქვე ცლიდნენ ბოთლებს და რაფებზე აწყობდნენ. მესამე სართულის დერეფანში რომ შეხვიდოდი, ერთბაშად მდარე კერძების ოხშივარი აგინავდა თვალს. აქ დევნილები ცხოვრობდნენ. უზარმაზარი ელექტროკვანძი ზუზუნებდა და ნაპერწკლებს ყრიდა. ბნელ დერეფანში ათასნაირი ძველმანი ეყარა. სანამ რედაქციის კარამდე მიაღწევდი, ჯოჯოხეთის ცხრავე გარსი უნდა გაგველო...

და აი, აქ შეხვდი ოცდაათი წლის შემდეგ შერმადინს, უფრო ზუსტად, რედაქციაში, რომელიც ამ დერეფნის ბოლოს ერთ მომცრო ოთახში იყო შეჭყედილი.

კაცი მართლაც დროსა და სივრცეში ცხოვრობს. მისი ცხოვრება მიკროუპოქებისგან შედგება. გარკვეულ დროს რომელიც წერტილში წვიალეს და ფუს-ფუსებს, ფიქრობს და ირჯება. საკვირველი ის არის, რომ სამყაროს ეპიცენტრად იქაურობა მიაჩნია. იქვე იყრიან თავს მისი ნაცნობ-მეგობრები და ამ თავყრილობებს და ადგილ-სამყოფელს ადამიანთა წარმოდგენაში ერთგვარი შეუვალობა ატყვია, მაგრამ გაივლის დრო და ჟამთა

სრბოლა ისე წაიღებს ამ შეყოვნებულ თუ შეჩერებულ ადგილს, როგორც ზღვის ტალღები კბილანებავით დაწალიკებულ რიფებს.

აკი ჩემი და შერმადინის გზები თავდაპირველად უნივერსიტეტის ბაღში გადაიკვეთა და ის გარემო თუ ოდესმე მაინც გაქრებოდა, ძნელი წარმოსადგენი იყო, მაგრამ დრომ მახსოვრობაშიც კი გარიყა ეს ძველი ნავსაყუდელი და უფრო მკაცრი რეალობა ამოზიდა. წლების მერე დროის და სივრცის სხვა წერტილში მოვიყარეთ თავი. აქ ჭაობისფერი ჭარბობდა, გარემო კი შლამით იყო სავსე. ეს შლამი ოთხმოცდაათიან წლებს მოჰყვია. რედაქციის ბნელ დერეფანში უზარმაზარი კატა დაიზლაზნებოდა, კატა ყველა ოთახში, დევნილების ყველა საცხოვრებელ ბინაში აღწევდა, როგორც ჩანს, კერძების მძაფრი სუნი აღიზიანებდა და იზიდავდა. ზოგჯერ მე და შერმადინი სადარბაზოშივე შევეჩვენებოდით ერთმანეთს, ბნელ დერეფანში ერთად მივიკვლევდით გზას, მერე კი რედაქციაში ვისხედით და ვსაუბრობდით. ვსაუბრობდით და ვსაუბრობდით, მაგრამ ხშირად ვდუმდით კიდეც, რადგან უთქმელად და უენოდ ვუვებდით ერთმანეთს. სასაუბრო თუ სალაპარაკო თითქოს ბევრი არაფერი გვექონდა, გამზადებული მასალები სწრაფად მიდიოდა სტამბაში. სიჭაბუკე უკვე კარგახნის ჩავლილი იყო. წარსულს უკვე აღარც კი ვისხენებდით. უბრალოდ, ჩვენს საუბარს და, საერთოდ, ურთიერთობას სტუდენტობის წლები გასდევდა ფონად.

პოეტის პოზა და მანერულობა უცხო იყო შერმადინისთვის. არც რედაქციების კარი აუტალახებია და არც წიგნის გამოცემაზე უზრუნია. მოგვიანებით მეგობრებმა გამოუცხადეს ერთადერთი ნიგინი ისე, რომ თვითონ ედნავადაც არ გარჯილა. ლექსებს მხოლოდ მაშინ წერდა, როცა შთაგონება ეწვეოდა. საამისოდ კი არავითარ ძალდატანებას არ იჩენდა, რადგან პოეზია მისთვის საკრალური რამ იყო. თვითონ უნდა მოსულიყო ლირიკული მუზა — ქალღმერთი ევტერიკი, თვითონ უნდა დაეებერტყა მის ნინამე კურთხეული კალთები.

შერმადინი ყოველდღიური დამქანცველი ცხოვრებით ცხოვრობდა, ლექსებს კი მაშინ წერდა, როცა რაღაც განათებოდა მის არსებაში. ეს წუთები ალბათ ყველაზე ძვირად უღირდა. უეცრად მოსულ განათებას პატარა ლექსში ატეხდა. ამ ლექსში ყოველი სიტყვა ჟღერდა და უცნაურ ხმას გამოსცემდა. ერთხელ ერთი ასეთი ლექსი ნაიკითხა ხმადაბლა და უბრალოდ, თითქოს საკუთარ თავს ესაუბრებოდა. და ასეც იყო: მართლა საკუთარ თავს ესაუბრებოდა, ოღონდ მე ვიყავი ყოველივე ამის შემთხვევითი მონაწილე:

*მამულის ღამის მთველად  
კლდენი დამრჩალან ფრიალო.  
მონყენით დგანან კომკები,  
ჩარდახნი ქარნი ქრიანო,  
არც საით მოვა სტუმარი,  
არც მასპინძელი ხმინარობს...  
დაბერებულან ლომები,  
გზა-შარას მელნი დიანო.  
„ვია, დედასა მტრისასა,  
თავენი ყანასა მკიანო“.*

\*\*\*

ახლა ეს ახლო წარსული, გუშინდელი დღეც მოგონებდა იქცა — ცხელი ზაფხული იყო, რედაქციის ბნელი დერეფანი გამოვიარეთ და გარეთ გამოვედით. ქალაქში უკვე ინთებოდა სინათლეები. ხიდი გადავჭყერით და ზედ ვორონცოვის მოედნის პირას ბარში ღია ცისქვეშ ჩამოვსხედით. მაშინ კიდევ ერთხელ მივხვდი, რომ ჩვენი ურთიერთობა მართლაც რაღაცნაირი ჩუმი ნაცნობობა იყო, რომლის მიღმაც განვლილი დრო იგრძნობოდა. შეიძლებოდა რაიმე უბრალო წვრილმანი გამეხსენებინა და დროც იმნამსვე შეირხეოდა. ვთქვით, ვინმეს თუ ვისხენებდით, ისიც ვიცოდით, რომ ეს ადამიანი ავბედითი წლების მიღმა იყო გარიყული, ქალაქში აღარ ჩანდა. ნაუცბათევად წამოსულ მოგონებებს დროის მკაფიო დალი დასტყობოდა.

მე შერმადინს ის შორეული დღე გავახსენე, როცა ნავიანევი მგზავრით ზოოპარკის მიღმა ლუდხანაში შემოვიდა. გაუჭირდა გახსენება. მერე ისიც გავახსენე, ვოლიერიდან დათვი რომ გამოძვრა და შევაატყე, მის სახეს ღიმილმა გადაუარა.

ამის პასუხად იყო, რომ მითხრა, ჩვენ ერთ მოხეტიალე ქარავანს ვიყავით ადევნებული, ჰო, ერთ ქარავანს ვიყავით ადევნებული. მართლა ასე იყო და იმ ქარავანს ორი მგზავრიდა შემორჩენოდა. ამიტომაც ასე ვისხედით და ვისხედით. სიჭაბუკე, როგორც უკვე ვთქვი, ჩავლილი იყო, ის საღამო კი თითქოს უძრავი სიღრმიდან ჟონავდა. ირგვლივ გამჭვირვალე ბინდი ლიცლიცებდა და გარშემო უცნაური მყუდროება იყო განფენილი. ქალაქის ფუსფუსი ვერ არღვევდა ამ მყუდროებას. ჩვენ სიხლოვეს რამდენიმე ძველმა ნაცნობმა ჩაიარა. ზოგი მათგანი მცირე ხნით შემოგვიერთდა კიდევ და მერე დაგვშორდა. დიდხანს ვისხედით. ლუდს ვწრუპავდით. მერე მოულოდნელად განვიმდა. წვიმამ ვორონცოვის მთელი სივრცე მოიცვა. გამჭვირვალედ ცრიდა და მალე გადაიღო. სულ ოდნავ დავევლდით, მაგრამ ფეხი არ მოგვიცვლია. კაფე-ბარში ღია ცისქვეშ ვისხედით და მთელი არსებით ვგრძნობდით, როგორ ირეკლავდა სველი ქვაფენილები საღამოს სინათლეს.

უშანგი გავიხსენეთ, ჩვენი ძველი მეგობარი. უშოს ვეძახდით. უშო მეტწილად უნივერსიტეტის ბაღში იდგა, ცალი ხელი ჯიბეში ჰქონდა ჩაყოფილი და კეთილად ილიმებოდა. თიანელი იყო, რამდენჯერმე მიატოვა სწავლა და ნავიდა უნივერსიტეტიდან, მაგრამ ბაღს არ მოშორებია, გამუდმებით ბაღში იდგა, „პრიმას“ ეწეოდა და თავისებურად, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ანდრე ჟიდის „ყალბი ფულის მჭრელებზე“ და უილიამ ბლეიკის „ვეფხვზე“ საუბრობდა.

და უეცრად წარმომიდგა, როგორ მოჰყვებოდა უშო ჭაჭაყაძის პროსპექტზე მოხეტიალე ქარავანს. ძალი ყეფდა და ჩვენი ქარავანი კი მიდიოდა. წვიმდა და ქარავანი მიიზღაზნებოდა. თოვდა და ქარავანი მაინც თავისას არ იშლიდა. იყვნენ მუდმივი და გზადაგზა შემომატებული თუ ადევნებული მექარავნები. უშო მუდმივი მექარავნი იყო. სადაც უნდა წავსულიყავით, რომელიმე მოხეტიალე მექარავნის მანსარდაში თუ ელბაქიდის დაღმართის რომელიღაც დუქანში, უშო ყველგან თან გვახლდა.

- სხვა კაცი იყო, — თქვა შერმადინმა.
- ადრე ნავიდა, — გამოვეპასუხე მე.

წვიმამ გადაიღო. წვიმის შემდეგ დიდხანს აღარ გვისაუბრია. მე და შერმადინი მოედანზევე დაგვშორდით ერთმანეთს. ერთხელაც გაგზედე მას, ჩვეული, დინჯი ნაბიჯით მიაბიჯებდა. ოდნავ გადალილი ჩანდა. ვინრო ქუჩა გაიარა და თვალს მიეფარა. მე კი დიდხანს ვიდექი და ვფიქრობდი — რაზე ვფიქრობდი, მიჭირს თქმა. მიუხედავად იმისა, რომ გვიანი იყო, არ ავჩქარებულვარ, რადგან ვიცოდი, რომ აღარ მეჩქარებოდა. უეცრად გონება გამინათდა, ჩემს ცხოვრებაში რაღაც დამთავრდა, დამთავრდა ის, რაც აქამდე ინერციით მოედინებოდა და რასაც თითქოს დამთავრება არ ეწერა. ის, რაც მუდმივი განახლების ნიშნით არის აღბეჭდილი, შეიძლება ისეთი სიძლიერით ვეღარ განახლდეს, როგორც აქამდე ახლდებოდა და ამას ქვეშევსებულად იგრძნობ. თითქოს სასიცოცხლო ენერჯია უკუიქცევა და წარსულის მოგონებად გარდაისახება. უკვე განვლილი ცხოვრება სხვა მნიშვნელობას იძენს და შენც არსად გეჩქარება.

ახლა, როცა შერმადინი აღარ არის ჩემ გვერდით და მასთან უსიტყვო ურთიერთობაც სადღაც გაქრა, ასე ვფიქრობ — ჩვენ მართლაც ერთ ქარავანს ვიყავით ადევნებული და ამ ქარავანს დიდხანს მივყვებოდით...

\*\*\*

შარშან თბილისში ნიაღვარი რომ მოვარდა, ნიაღვარი კი არა, წარღვნა იყო, წყნეთის თავზე ახალდაბიდან დაიძრა, მდინარე ვერეს შეუერთდა და ადიდებული ქალაქში შემოიჭრა, ადამიანები იმსხვერპლა და გარიყა, სახლები წაიღო, უამრავი ხე-ტყე ჩამოიზიდა. ამ წარღვნამ ჩვენი სიჭაბუკისდროინდელი ადგილებიც ნახვეტა — ვერეს ნაპირები და ზოპარკის მიდამოები, ცხოველები გაფანტა ქალაქში, ბევრი მათგანი კი შლამში ჩაიძირა.

ჩვენც ასე გავირიყეთ. დროის სრბოლა შეუმჩნეველია, მაგრამ ისიც წარღვნასავითაა. ამ წარღვნამ გაგვრიყა და დაგვაშორა ერთმანეთს, დინება წაიღო წლების სიღრმიდან დაძრული ჩვენი მშვენიერი და სევდიანი მოხეტიალე ქარავანი.



**დაბალ ღობესაც ვეღარ ავწვდი**

უეცრად, უეცრად ისე ავტყდი, სადაფის ლილივით ისე ავწყდი, რაღაცა ისეთს გადავანწყდი, ეზოში წყალივით ისე დავწყდი, ხმას ველარავის ველარ ვანვდი ბლის ტოტებივით ისე დავტყდი, დაბალ ღობესაც ვეღარ ავწვდი, ისე დავენარცხე და დავემარცხდი... ყინვისგან ალმური ისე ამდის, რისხვა ზეციდან ისე დამდის, ნაწყნედები, უკვე თუ არ ნაწყნედი, სამგლე მსხვერპლივით ისე ავტყედი!

**პროკლამაცია**

როგორ მომბეზრდით ყველანი, ეგ თქვენი ყალბი ლელვანი! ჩამომინგრით კერანი, ქვებით, თავში რომ ვიხლი... მაგ თქვენი უშო ღრუნანით, გულს დამაჩნით კბენანი, როგორც ქალაღზე მელანი — იღვრება ჩემი სისხლი!

როგორ გიშველოთ კეთროვნებს, პირშავიანთა თეთრ მონებს, ტყუილ-უბრალოდ ვეომე სიტყვების წყება-წყებას... ათასჯერ გაგიმეორებთ, — ჩემში ნუ ხედავთ ვერ მომრევს, რადგან „დიდკაცთა“ ქვემოზე, ყველა მორჩილად წვება!

„დიდკაცთა“ ნამცეც-კაცობას ვერ შველის მარჯვედ ანცობა, ბოთლზე მორგება საცობად შამპანურ-არაყ-ლუდის... ენაზე კვერის დაცხობა, ოქროზე ოქროს დანყოფა, თავზე ნამუსის დამხობა უნამუსობის ქუდით!

სადამდე თქვენი დაშვება? ცრემლისგან თვალი არ შრება, პირფერთა ამ თავაშვებას გული თქვენგან შორს მიჰყავს... ეგ თქვენი შეპარაპაშება, რა ურცხვად მეთამაშება, ქრისტეც ამაოდ დაშვრება, რადგან არავინ გიყვართ!

**ზღარბის პოლიუმი**

ეკლებზე აისხა სხვისი ბრწყინვალეობა, სხვისი სიყვარული, სხვისი თავგანწირვა, სხვისი ორმოები წამოიცვა და სხვისი სიტყვებით ამოავსო... მერე გადაღება ცისფერი ლურჯად, მზისფერი — ყვითლად და მოპარულ-გადაკეთებული ფერებით პოდიუმზე დადგა... ეკლებზე აირეკლა სხვისი იერსახე, სხვისი კუთვნილი მქუხარე ტაში, სხვისი ნიჭი და სულგრძელობა... ახლა კი დადის ასე გაბლენძილი და ეკლებზე ასხმული დიდებით ორ კურდღელს იჭერს: თან ეკლებს მალავს, თან სხვისი მზითვითა და პატარძლური „უმანკოებით“ ქორნილებს იხდის!

**შეღებილი სისხლის ანემია**

ნაირ-ნაირი ჯგუფის დონორები შენთვის სისხლს იმეტებენ...

თუ ნებით არ გაიღებენ, ისე უსრიალდები ძარღვებში, თავადაც ვერ ხვდებიან საიდან გაუჩნდათ ანემია, რომელსაც ექიმები ვერ შველიან! შენი სისხლი კი „გააზნაურებულ მდაბიოთა“ ჯგუფს ეკუთვნის, — არისტოკრატთაგან გამოძალულს, საკუთარ ძარღვებში ცისფრად რომ ლებავ! მაგრამ შენი ჯგუფის დონორებს ანემია არ ემართებათ, რადგან შენი ე.წ. „არისტოკრატული“ პირფერობა მათთვის ისე მშობლიურია, როგორც საკუთარი მდაბიურობა! თუმცა, სადღა არისტოკრატია ან „სუფთა სისხლის“, ან „ეგრეთ ნოდებული?“ იჩხვლიტე თითზე — ჯერ შეღებილ სისხლს დაინახავ, მერე — ნითელი დროშების ფრიალს!

**პოეზია**

იგი არის ბედნიერი, როცა უბედურია, როცა მასზე სეირნობენ, და რომ, სულ ემდურიან! როცა სული ეკანრება ბლაგვიანი ნემსებით, სწორედ მაშინ ეწერება სისხლიანი ლექსები!

**ოთახი**

დილით ისე ვახელ თვალებს, თითქოს ვალებ ფანჯრებს, და შემოდის დილის ნაცვლად სასიკვდილო ორგია... ვებრძვი დილას და ყურს ვადებ უსიცოცხლო მაჯებს, დილა ზენარს ცივად მაფენს და ოთახი — მორგია...

**სცენები წარსულიდან**

უეცრად ცხვირიდან ნაწნავები გამოეზარდა, პირიდან ბაფთები გამოუცვივდა და ნაწნავებს ჩაენწა! თვალები ლენინ-სტალინის სურათებად გადაიქცნენ, მკერდიდან პიონერულმა წითელმა ყელსახვევმა სისხლად იფეთქა... თმაში „ჯაყოს ხიზნებმა“ ოსურ-რუსულ ჰანგებზე დაიწყეს ცეკვა! ყურებიდან იღია ჭაჭაყაძის მკვლევები გამოცვივდნენ ყვირილით: ჩვენ მოვკალით იღია, მაგრამ ვერ გვიპოვით! ჩვენ ჯერაც ცოცხლები ვართ და მუდამ ვიცოცხლებთ! ჩვენ თქვენში ვართ და თქვენ — ჩვენში! ჩვენ მოკვდავები ვართ, მაგრამ უკვდავნი!

იქ, სულშივე გაჰქრა

კიდევ ერთი მწვერვალი  
იბადება, ვხედავ;  
ძალა, აღუწერელი,  
უცხო ქარებს ხვეტავს.

კიდევ ერთხელ დროებითს  
მარადისი ებმის,  
ვამხელ მძაფრ სიტკობებით  
ფიქრს, კვდომასთან შებმის.

ქარი, რაიც სტრიქონთა  
დაიღვარა ლაშქრად,  
მხოლოდ სულში იყო და  
იქ, სულშივე გაჰქრა.

ვინ დაბადა? რა ძალამ?  
რა ფუნჯებმა ჰხატეს?  
რა არხებმა დაცალა?  
ან რა ზღვები დატევეს?

უპასუხო კითხვანი  
მიგროვდება, ვამჩნევ,  
აღარ ვამბობ: „მითხარი!“,  
აღარ ვითხოვ: „მამცნე!“.

აღარ ვამბობ, რადგანაც  
არ სცალია ზეცას,  
ხოლო ქარი ამდგარა,  
ქარი ბალახს ჰკეცავს.

სიღრმეები იღება,  
ლავა წვიმებს იშრობს,  
უნდა ეს თარიღები  
სადმე აღინიშნოს!

კიდევ ერთი მწვერვალი  
იბადება, ვხედავ,  
ძალა აღუწერელი  
ქარებს სადღაც ხვეტავს...

ბელოღიანი

მოგონებები ჩნდება და კრთება, ნელა მოინევეს,  
მწკრივად მიეგმის,  
მილიონობით დაქნულ ფრთებად  
ჩემსკენ ილტვიან მელოდიები.  
ახლოვდებიან ყოველი მხრიდან,  
ასხვაფერებენ ნაცნობ რელიეფს,  
არც ზურგს შეაქცევს ჩემი ფიქრი და  
არც რამე საფარს მოიშველიებს!  
მოგონებანი — მიძინებული სულის  
სამყაროს მძაფრი შერხევა,  
მოგონებანი — გარსად ებურვის ჩემს არსებობას,  
როგორც ხერხემალს;  
ჩემსკენ იქარის ხშირი ალყებით,  
ზემოთ ევლება ყველა თამასებს,  
მოდის პირდაპირ და, ვით ტალღები,  
ურიცხვ ნაფოტებს მოათამაშებს.

შალვა საბაშვილი

მაგრამ რამდენი გზად იკარგება!  
მაგრამ რამდენი გზად იწრება!  
სადღაც, ჩემგან შორს,  
უკვალოდ ჰქრება მიმკრთალებული ჭეშმარიტება.  
რას მახსენებენ? ნეტავი რისი  
არდავიწყების სურთ ჩაგონება?  
რა არის არსთა შორი სანყისი,  
რაიც ჩემს წარსულს შეჰკრავს კონებად?  
რა ხმა — დუდუკის? სტივის? დაირის?  
თუ — სალამური რასაც ჰყვებოდა?  
რა დამავინყდა მე იმნაირი, რაიც არ უნდა დამვიწყებოდა?  
და შეცხუნებით თრთიან გრძნებანი,  
წარსულის ჩრდილებს ეტოლებიან,  
და მოფარფატე მოგონებანი ირგვლივ  
თოვლებად მეთოვლებიან.  
დაუსაბამო მხარეთა ნისლი  
მონატრებული ფერით მეზურვის  
და მახსენდება თანდათან,  
ისევ თითქოსდა რაღაც მივიწყებული.  
იჩქარეთ, ფიქრნო, იჩქარეთ, ხმებო,  
მუდამ ერთმანეთს მწკრივად მიეხით,  
აივსოს სული და შთაგონება შემოჯარული მელოდიებით;  
მოდით, მოგროვდით, მოაწყდით ზვავად  
გაბატონებულს ირგვლივ რელიეფს,  
ფიქრი არც შიშით საითმე წავა და  
არც საფარებს მოიშველიებს...

ალარ მეგონა

მე არ მეგონა, საქართველოს კვლავ ვინმე ჰყავდა,  
მე არ მეგონა, საქართველოს კვლავ რამე სურდა,  
მიტოვებული სივრცეები და ქროლვა ყვავთა  
განწირულებას უსასრულოს გზავნიდა სულთან.

გადათელილი საზომები, ორპირ აბრებად  
გადაქცეული ფასადები ასეულობით,  
ირგვლივ ყველაფრის აღრევა და გათანაბრება,  
უფასურობა ყოველგვარი ფასეულობის;

თითქოს ყველაზე უმაღლესიც გაუფასურდა,  
იყო წყურვილი, მაგრამ არა, რომ ჩამეკონა...  
მე არ მეგონა, საქართველოს კვლავ რამე სურდა,  
კვლავ ვინმე ჰყავდა საქართველოს — ალარ მეგონა...

იმის სანაცვლოდ

იმის სანაცვლოდ, რაც მე წამართვი,  
ქროლვავ დროისა, რა უნდა მიზლო?  
ო, შენი სწორად სცან მისამართი,  
ამოვარდნილო უეცრად ზიზლო!

იმის მაგიერ, რასაც მე ველი,  
რას მომცემთ, სწრაფვა უარყო რათა?  
არა — დარჩება წაურთმეველი  
ნება ძებნისა შორეულ გზათა.

კომმარტ, რომელთაც დასჭრეს გულები,  
თუ რამ დალენავს — მხოლოდ ურნალი.  
არა, სხვა გზები არ მეგულება  
სენთა ურიცხვთა განსაკურნალი!

ცა — დალაშქრული

მიყვარს მხარენი — ჩემი საფერი,  
ლაყვარდებში მაქვს წმინდა საფარი,  
ბრწყინავს ძონები, ელავს ფირუზი,  
კრთის იავუნდი, ინვის საფირი.

მოგონებაში — უცხო სახელი,  
ხსოვნაში — ვნება, კლდეზე სახალი,  
შორ მომავალში — სიმალღებები:  
შაფიქრ-საგრძობი, სამზერ-სახილი.

საუკუნობით — ქარი ნაბერი,  
ველი, ათასგზის ნახნავ-ნაბარი,  
ცა — დალაშქრული, დამარცხებული,  
დანაძლევი და გადანაბირი...

სიზმართა კარიჭასთან

წუხელის, როს თრთოდა სიზმართა ხომლი და  
ფიქრები გაუყვინენ შორ გზებზე ბორიას,  
აღმოვჩნდი იმნაირ მხარეში, რომლიდან  
ცხადი და სიზმარი თანაბრად შორია.

საგნები ბრწყინავდნენ. ყოველი მათგანი  
აგებდა სასწაულს ჯადოსნურ სულთქმათა,  
და ვიყავ უცხო და სხვაგვარი, რადგანაც  
ცხადი და სიზმარი თანაბრად სუნთქავდა.

მატკობდნენ ჰანგნი და ყვავილნიც ხარობდნენ,  
შევტრფოდი მშვენებებს, წარმტაცად აშოლტილთ,  
და თუმც ჯერ ვერ მიველ სიზმრის სამყარომდე,  
ვგრძნობდი — სიცხადესაც საკმაოდ დავშორდი.

ო, ასე შეგრძნება სად გადამიხარეს?  
ამდენი ბურუსი რაგვარად დაგროვდა?  
სიზმარი ბადებდა უთვალავ სიხარულს,  
მაგრამ მათ მეტ ნაწილს სიცხადე აქრობდა.

შენც, სახეე ნატიფო, მარადულ განძივით  
ურიცხვნი დღენი რომ ნატვრებით გმოსავდნენ,  
ვგრძნობ, ჩემსკენ გამოვლე ურიცხვი მანძილი,  
მაგრამ ამდენივე დაგაკლდა მოსვლამდე.

წამი დამლამები და წამი მთენები  
განგებამ რატომღაც ამ ველეს არიდა,  
ტალღათა მწკრივნი და ლურჯ შუქთა ფენები  
ჩემსკენ მოილტვოდნენ ორივე მხარიდან.

და სული თუმცაღა ნეტარად მინებდა  
ჟამს, ავსილს უთვალავ წამიერ ქმნილებით,  
ვერც ერთი ნაპირი ვერ მაგრძნობინებდა  
იმას, რაც მწყუროდა, სრულ ძალმოსილებით.

მახსოვს კი: თავს მადგა ვარსკვლავთა ხომლი და  
ნავი მისცემოდა ნებიერ ბორიას,  
და ვიყავ იმნაირ მხარეში, რომლიდან  
ცხადიც და სიზმარიც თანაბრად შორია.

ის იგივე მხარაა

ცაო, რისი შეგიძლია ხარება?  
მოსძალავით ღრუბლებს თეთრი ჭაღარანი,  
რომ მიყვარდა, ეს იგივე მხარეა,  
მაგრამ მასში ბევრი რამე აღარ არი.

ახლაც ბევრი დაატყვევა მთვარემო,  
სალამოჟამს ფერებს დაღვრის მზეც ლილიანს,  
იგივეა, იგივეა გარემო,  
მაგრამ მასში ბევრი რამე შეცვლილია.

თუმც იშლება მზე უთვალავ ფერებად,  
ვგრძნობ, ბევრ მხატვარს ჟამმა ფუნჯი გაუხუნა,  
მოსწყენია მრავალს ყოფიერება  
და კარები სამუდამოდ გაუხურავს.

ქარო, დიდხანს და ჯიუტად გვიბერე,  
ყოველივე არაერთხელ ნაუღლია,  
საგნებსაც კი დასტყობიან სიბერე  
და მოგზაურს ბილიკები დაუღლია.

აქ მრავალმა ქარიშხლებმა იკივლეს,  
ბევრი მოხდა — შუბლთა უხვად დამლარავი,  
რომ მიყვარდა, ეს მხარეა იგივე,  
მაგრამ მასში ბევრი რამე აღარ არი...



„ჩემი კანონი — სიტყვის კონანი შევკონე, როგორც საუკუნენი“  
დათო მალრადე

უსაზღვროდ ბედნიერი ვარ, რომ მაქვს პატივი, ქართველი პოეტის, დათო მალრადის პოეტური კრებული წარმოგიდგინოთ. ამთავითვე ვიტყვი, რომ ვისაუბრებ არა, როგორც გამომცემელი ამ წიგნისა, ანდა ავტორის ან უკვე მეგობარი, არამედ, როგორც პოეზიის მკვლევარი — ადამიანი, რომელმაც ორმოცდაათი წელი შეაღწია პოეზიის შესწავლას, ოცი წელია ხელმძღვანელობს ლიტერატურულ ჟურნალ „ატელიერ“-ს და ავტორია ხუთტომეულისა, სახელწოდებით „მეოცე საუკუნის იტალიური პოეზია“. და, როგორც იტალიური და უცხოური პოეზიის დაუღალავი მკითხველი, თავს ვალდებულად მივიჩნევ, კიდევ ერთხელ დავადასტურო, რომ დიდი ხანია, არ ნამიკითხავს ისეთი ღრმა, ისეთი ყოვლისმომცველი, ისეთი მძაფრი შთაბეჭდილების აღმძვრელი პოეზია, როგორც ამ კრებულშია წარმოდგენილი. და ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ჩემი გამომცემელი წიგნი მოგაწონოთ, არამედ იმიტომ, რომ სრულიად დარწმუნებული ვარ ჩემი ნათქვამის სიმართლეში, რაც იტალიურმა კრიტიკამ კარგა ხანია დაადასტურა. ამიტომაც დავწერე ადრე და ახლაც გავიმეორებ: „ყოველგვარი მორიდების გარეშე შემძლია წარვადგინო დათო მალრადე, როგორც თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული პოეტი, რომელსაც, ჰაიდგერის სიტყვებს თუ გავიმეორებთ, ხელთ უპყრია ფარანი, რათა გაუნათოს გზასავალი არა მხოლოდ ქართველ ხალხს, არამედ მთელ კაცობრიობას“.

დათო მალრადის ლექსების პირველივე სტრიქონებიდან მკითხველი უმაღლესი შეიგრძნობს ნამდვილი პოეზიის სუნთქვას, იმგვარ შთაგონებას პოეტისა, რომელსაც მთელი ეპოქის „სულის ასახვა“ განსაკუთრებულად ხელეწიფება. და ეს სწორედ მაშინ, როცა მეოცე საუკუნის გაუთავებელმა ექსპერიმენტებმა ძალა გამოაცალა პოეზიას, სიტყვა სინამდვილისგან განძარცვა და უარყო პოეზიის ჭეშმარიტი მონოდება, რომლის არსიც ადამიანთან ადამიანზე საუბარია.

დათო მალრადის შემოქმედებაზე საუბარს მთელი ერთი წიგნი დასჭირდებოდა, მაგრამ ამჯერად, მსურს ის თავდაპირველი ემოცია გაგიზიაროთ, მისი ლექსების აღმოჩენამ რომ გამოიწვია ჩემში და მადლიერების ისეთი გრძნობა, ისეთი ამაღლებული განცდა აღმძირა, რომ გადავწყვიტე, თავად დამეწერა ამ წიგნის — „ექოსა“ — და ადრე გამოცემული პოემის — „ჯაკომო პონტის“ — წინასიტყვაობები; დიახ, ამდენად დიდი იყო მის შემოქმედებით გამოწვეული აღტაცება. თუმცა მანაც შემოვიფარგლები რამდენიმე მინიმუმით და მკითხველს შევთავაზებ თავად ჩაუღრმავდეს ამ ავტორის ლექსებს.

რა არის დათო მალრადის „გამოცხადების“ დედაბერი?

უწინარეს ყოვლისა, მზაობა ეპოქალური მოვლენების სწორად შეფასებისა სწორედ იმ მომენტში, როცა გლობალიზაციის ფენომენით გატანჯულ ჩვენს პლანეტაზე კაცობრიობის ჰორიზონტი ფართოვდება; უნარი იმისა, რომ გასდოს ხიდი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, უწინამძღვროს განსხვავებული კულტურის მქონე ხალხებს, სინათლე მოჰფინოს იტალიურ პოეზიას, იტალიელ ერს, რომლის მიზართაც განსაკუთრებული სიყვარულითაა გამსჭვალული, კლასიკური და ქრისტიანული კულტურის მემკვიდრედ და აღორძინების აკვნად რომ მიიჩნევა და რომელმაც ადამიანს ევროპული და შემდეგ მსოფლიო Weltanschauung-ის ცენტრში მიუჩინა ადგილი, ფართოდ გაუხსნა რა კარი გეოგრაფიულ, სამეცნიერო, ტექნოლოგიურ და ხელოვნების აღმოჩენებს:

„შენ, იტალია, ხელთა გაქვს საშვი, მშვენიერების უკვდავ ფორმული... მორბის ქუჩაში ფეხშეული ბავშვი და თითზე ძაფით მზე აქვს მობმული.“  
როგორ კითხულობს დათო მალრადე თანამედროვეობას?

როგორც დანტე: იგი ეძიებს ანაგოგიურ საზრისს (ანაგოგიური — ბერძნ. სულის აღმყვანებელი გამოუთქმელ სიმადლებებამდე), ანუ ისტორიულ და მეტაფიზი-

ორიულ პერსპექტივაში განხილული მოვლენების საბოლოო განმარტებას, როგორც წარსულისაგან შობილი ანმეოს შედეგს, იმ ანმეოსი, რომელსაც ძალუძს დასახოს მომავალი იმ განზომილებაში, რომელიც ჩვეულებრივ ყოფითობას გაცდებდა და უზენაეს სიმაღლეებში დაივანებდა.

ჰუმანური და მოქალაქეობრივი შეგნებით ასე ძალუძდა განმსჭვალული პოეზია თავისთავად ქმნის შთაბეჭდილებას, რომ პოეტი საკუთარ თავში გრძნობს „მისიას“ — წარუძღვეს ხალხს, იყოს მისი სინდისი, შეახსენოს მას დიდი იდეალები. და ამ მისიას იგი მთელი პასუხისმგებლობით ეკიდება, როგორც პირად და ჭეშმარიტად მორალურ მოვალეობას. თუმცა მისი ცხოვრების ეს კრედიო და წესი მხოლოდ სახელს და დიდებას როდი განუზღაბდა, მართლობისთვის, გარიყულობისთვის წირავს იმ ინდივიდუალს მიერ, ვინც ამ „ბნელების საკანის საუკუნეში“ ბნელ ინტრიგებს

ჯულიანო ლადოლფი

# „ერთფეროვნებას დაპარაქვი მტერი“

INFORMATORE. BORGOMANERO 22.01.16

## La cultura georgiana celebrata a Roma da una casa editrice borgomanerese

L'incontro alla Sala Paolina di Castel Sant'Angelo

L'orizzonte della casa editrice borgomanerese "Giuliano Ladolfi" va ben oltre quello nazionale, come dimostra la presentazione a Roma, lunedì 21 dicembre, nella Sala Paolina di Castel Sant'Angelo, dove il titolare ha illustrato la raccolta di poesie *Eco* di Dato Magradze, autore delle parole dell'Inno nazionale georgiano, già Ministro della Cultura, più volte parlamentare e candidato al Premio Nobel.

Il legame tra il poeta e le edizioni è stato intessuto da Nunu Geladze, da anni residente a Borgomanero. eiorna-

uno dei più importanti poeti contemporanei, anzi il più importante che egli conosca, colui che tiene in mano la lanterna per illuminare il cammino non solo del popolo georgiano, ma di tutto il mondo.

Nel leggere i suoi versi il lettore avverte immediatamente il respiro della grande poesia, di quell'ispirazione che da Omero a oggi ha riempito la mente di ben pochi autori, i quali hanno saputo "rivelare" lo "spirito" di un'intera epoca. E questo avviene proprio nel momento in cui la poesia esce

due mondi che non possono più ignorarsi ed escludersi. È, quindi, intervenuto Giulio Greco, anch'egli titolare della casa editrice e studioso di poesia. Egli ha posto in luce il carattere di *humanitas*, proprio dello scrittore: «Questi valori sono presenti nella persona di Dato Magradze, come testimonia la sua biografia come personaggio pubblico e personaggio privato e come posso testimoniare grazie all'amicizia di cui sempre mi ha sempre beneficiato. In lui vediamo rappresentati i grandi

„რაც შეეხება ჯვრიან ევროპას, ხან თითებშუა წყალოვით გარბის, „დელა გრაციას“ უძღვნის სერობას, ხან და ვინჩის კოდს დაეძებს სარფით“. ასეთ დროს პოეტს ეკისრება ტრადიციების გამოხმობა:

„და ძველი კარის ახალ შელებას ელის სამყარო ღრმა და ხნიერი, როგორც ლაზარე ხელის შეხებას — ახალ სიცოცხლეს ძველი იერით“.

პოეტის მიერ დასახული პერსპექტივა განახლებული ქრისტიანული ჰუმანიზმია („მე, მოქალაქე ჯაკომო პონტი, კოზიმოსა და ლორენცოს მოდგმა“), რომლის ცენტრშიც იგულისხმება ჰუმანისტური და რელიგიური ფასეულობანი ( იესოს კულტურა... „თქვენ დამნაშავეს ეძიებთ ჩემში, მე — ადამიანს დამნაშავეში“). დამეთანხმებით, რომ საოცარ თანხმობებს აქვს ადგილი პაპი ფრანცისკის მიერ წლევეანდელი წლის მონყალების წლად გამოცხადებასთან.

ბისა, ქართველი პოეტი მოგვიწოდებს, რომ საჭიროა კვლავ გადაეჭდოს ერთმანეთს სიტყვა და რეალობა, როგორც აუცილებელი ელემენტი ჭეშმარიტების ძიებისთვის, როგორც მიზანი, რომელსაც ადამიანი ვერასოდეს მიაღწევს, რადგან მხოლოდ ღმერთშია ჭეშმარიტება, თუმცა უპირობოდ უნდა დაადგეს ჭეშმარიტებისკენ სავალ გზას. „თქვენ პირუტყვეული ცხოვრებისთვის არ გაჩენილხართ, — ცოდნა გეკუთვნისთ მოიპოვოთ და სათნოებ“ (დანტე ალიგიერი, XVI სიმღერა. მთარგმნელები: კონსტანტინე გამსახურდია, კონსტანტინე კოჭინაძე, ტფილისი, სახელგამი, 1933. წ.გ.); დანტეს სწავლებით, სწორედ ეს უნდა იყოს ადამიანის უპირველესი მიზანი, ამავეს მოგვიწოდებს დღეს დათო მალრადე და სწორედ ეს განასხვავებს მას ოპონენტებისგან, სოფიზმებით ყველაფრის ჭეშმარიტ მნიშვნელობას რომ ამახინჯებენ.

რაში სდებენ ბრალს პოეტს? მან გაბედა და ისევ ბედავს დაუპირისპირდეს დღეს გამეფებულ მენტალიტეტს, რომელსაც სურს დაამახინჯოს ადამიანის პიროვნული თავისუფლების არსი და მომხმარებლად აქციოს; ადამიანთა ურთიერთობის ერთადერთ სტრუქტურულ მოდელად „ბაზრის“ ლოგიკა დააწესოს. პოეტი ბრძოლას უცხადებს სწორედ ინდივიდის იმგვარ დეგრადაციას, მოგების საგნად რომ ითვლება, როგორც საქონელი. პოეტი ლაღადებს ხელოვნების, პოეზიის, ოცნების, ყველა იმ სიკეთის ფასეულობაზე, რისი დანახვა და ყიდვა არ შეიძლება, თავისუფლებაზე, რომლის შეფასებაც შეუძლებელია, ვინაიდან ადამიანური ღირსების შიგნით არის ჩაკერული. პოეტს თავს ესხმიან, რადგან მას ადიდებს საქართველოს, სამშობლოს, რომელსაც უძღვნის, იშვიათ შინაგან თრთოლვას, ამ სტრიქონებში გადმოცემულს:

„ჩემო ქვეყანავ, რაც ხარ, ეგეც რომ ვერ ყოფილიყავ, არ გავს შემცველელი, მე მიყვარს ის, რაც ალბათ შეგედლო, მე მიყვარს ის, რაც შენ ვერ შეძელი“.

იდეალისტები საქმისნებმა, ვაჭრებმა და ოპორტუნისტებმა შეცვალეს. და სწორედ პოლიტიკოსების მხრიდან ხედავს იგი ლალატს იმ იდეალებისადმი, რომლისთვისაც იბრძოდა:

„...მოვა, რომ შენი სული დაპებლოს, გაგაცნობს კანონს, მოყრის ჯალათებს, მოვა სამშობლო,

როგორც სამსხვერპლო, შემოგხვევს მკლავებს

და გილალატებს“.

პოეტი არც იმ სასულიერო პირებს ერიდება, ვინც რეალურ ცხოვრებაში იესო ქრისტეს მცნებებს განუდგა:

„...რომ როცა ქრისტე მეორედ მოვა, რწმენა დახვდება ყველგან და არსად; დახვდება ღიბზე ჯვარი და ჯვარცმა, როგორც ოლარზე ბოზბაშის წვეთი. სალონში კლიმატკონტროლის განცდა,

უკან ნომერით BER001“.

დათო მალრადე თავისი ქვეყნის კულტურის ღირსეული მემკვიდრეა და ასევე თამამად შეიძლება, მივაკუთვნოთ მთელ კაცობრიობას.

თუ ჭეშმარიტი ხელოვნების დანიშნულება ადამიანისა და სამყაროს ორიგინალური ხედვაა, თუ ჭეშმარიტი ხელოვნების დანიშნულება ეგზისტენციალურ შეკითხვებზე პასუხია, თუ ჭეშმარიტი ხელოვნება ცხოვრებასთან უწყვეტი ბრძოლაა, ამ შემთხვევაში საქმე ნამდვილ ხელოვნებასთან, ნამდვილ პოეზიასთან გვაქვს და დათო მალრადე ქმნის იმგვარ პოეზიას, რომელიც, უპირველესად, ადამიანზე ორიენტირებული, მის პრობლემებზე, მის სისუსტესა და სიღიადეზე, მის ნაკლსა და ღირსებაზე, მუდმივ ბრძოლაზე კეთილსა და ბოროტს შორის, სამართლიანობისადმი წყურვილსა და mysterium iniquitatis (ბოროტების საიდუმლოს) შორის, სასწარმკვეთასა და იმედს შორის.

„ეს არის ჩვენი ეპოქის წილი, ეპოქალური შეგრძნება „ახლის“, რომ დაბრუნდება უძლები შვილი და ცარიელი დახვდება სახლი“.

და ეს ყოველი ქართველ პოეტს ადამიანის, როგორც „მომხმარებლის“ დეგრადაციის წინააღმდეგ და ამ ადამიანის გაკეთილშობილებისთვის მეტბრძოლთა რიგებში აყენებს.

გაზეთი „ინფორმატორი“. 22.01.2016  
თარგმანი ნუნუ გელაძე

მძმსნივე იქიყო — გმირის საუკეთესო და ყველაზე გულადი მეგობარი. ხომალდის ქიმზე მდგარი ოდისევსი სწორედ იმ წუთს შემობრუნდა, როცა სცილამ ჰაერში აიტაცა ისინი, როცა ანკესზე ნამოგებული თევზებივით აფართხალდნენ და განწირული ხმით გაჰყვიროდნენ მის სახელს. გადარჩენილებს ისლა დარჩენოდათ, შორიდან უმწოდ ეყურებინათ, როგორ სანსლავდა უბედურებს სცილა თავისი გამოკვებულის შესასვლელთან. „სცილას ხახაში გაჩრილი ჩემი საცოდავი თანამგზავრები განწირული ხმით უკანასკნელად მეძახდნენ სახელს და შველას მთხოვდნენ“ და ოდისევსი დასძინს, — ეს ყველაზე შემზარავი და სევდიანი სანახაობა იყო, რაც ოდისემ მენახა „ზღვის ზურგზე“ მოხეტიალესო. დაჯერება შეიძლება; ჰომეროსის სიტყვაძუნწობა (და მოგვიანებით ჩასმული ძალიან პოეტური შედარება) დამაჯერებელს ხდის ამ ამბავს.

როცა საფრთხემ ჩაიარა, ოდისევსი, თავისიანებთან ერთად, ღამის გასათევად სიცილიის ნაპირზე გადავიდა და როგორც ჰომეროსი ამბობს, „ოსტატურად“ მოიმზადეს ვახშამიო. „ოდისეას“ მეთორმეტე თავი ამ სიტყვებით მთავრდება: „როცა დავნაყრდით, სცილასგან მოტაცებული ჩვენი სვეუბედური ამხანაგები გაგვახსენდა და ცხარე ცრემლით ავტირდით. ასე თვალცრემლიანებს მიგვეძინა ქვიშაინ ნაპირზე“.

სიმართლე, სრული სიმართლე და არაფერი გარდა სიმართლისა — რა იშვიათად ვხვდებით მას ძველ ლიტერატურაში. უფრო ხშირად ის სანახევროდ გვიმხელს სიმართლეს. სხვათა შორის, ყველა კარგი ნიგნი გვანვდის გარკვეულ სიმართლეს და ასე რომ არ იყოს, არც იქნებოდა კარგი ნიგნი. მაგრამ სრული სიმართლისა რა მოგახსენოთ. ნარსულის დიდ შემოქმედთა შორის წარმოდგენილად ცოტაა მართლისმთქმელი. ჰომეროსი — „ოდისეას“ ავტორი — ერთ-ერთი იმათგანია.

„რომელ სიმართლეზე ლაპარაკობთ?“ — იკითხავთ თქვენ, — „მაგალითად, ორჯერ ორი რომ ოთხია? დედოფალი ვიქტორია ტახტზე 1837 წელს რომ ავიდა? თუ სინათლის სიჩქარე 187,000 მილს რომ უდრის წამში?“ არა, რა თქმა უნდა, ეს არ არის ლიტერატურული სიმართლე. „სიმართლე“, რომელზეც ვსაუბრობ, სხვა არაფერია, თუ არა მისაღები ალბათობა. როდესაც ლიტერატურულ ნაწარმოებში აღწერილი რაიმე განცდა მეტად ახლოა ჩვენს პირად განცდასთან, ან ჩვენს, ასე ვთქვათ, პოტენციურ განცდასთან, რომელიც, ჩვენი აზრით (ნაცნობი ფაქტებიდან მეტ-ნაკლები სიზუსტით გაკეთებული დასკვნის შედეგად), შესაძლოა, ჩვენც გვქონოდა — უთუოდ ვიტყვით: „ეს მართალი ნაწარმოებია“. მაგრამ, არც ასე იოლადაა საქმე. ფსიქოლოგიის სახელმძღვანელოში ჩანერილი ნებისმიერი შემთხვევა, მეცნიერული თვალსაზრისით, სიმართლეა, რამდენადაც ეს არის ფაქტების ზუსტი აღწერა და მასაც შეუძლია შეძრას მკითხველი, იმდენად ნაცნობად და მისაღებად შეიძლება მოეჩვენოს ის, ანუ მსგავსად მისი პირადი, რეალური თუ პოტენციური განცდას. მაგრამ ფსიქოლოგიის სახელმძღვანელო მხატვრული ნაწარმოები არ არის — ყოველ შემთხვევაში, მხატვრულობა მისი შემთხვევითი და მეორეხარისხოვანი თვისებაა. მხოლოდ მოჩვენებითი დამთხვევა მწერლის მიერ აღწერილი და მკითხველის მიერ გახსენებული ან წარმოსახული განცდას, სრულიადაც არ არის საკმარისი მხატვრული ნაწარმოები „სიმართლე“ მივიჩნიოთ. კარგი ხელოვნება რაღაც ზესიმართლეს მოიცავს — რისი გადმოცემაც მას სურს, გაცილებით ნაცნობია, გაცილებით სარწმუნო და დამაჯერებელი, ვიდრე თავად ფაქტი და ეს ბუნებრივი მოვლენაა. მწერალი მახვილი თვალითა და შთაგონების უნართაა დაჯილდოებული, მას შეუძლია ბრწყინვალე სახეები შექმნას, თუგინდ, მოვლენები და მოვლენებში მონაწილე ადამიანები არაფრით გამოირჩეოდნენ. გამოცდილებით მხოლოდ ის სწავლობს, ვისაც სწავლა უნდა, ასეთი კი არც ისე ბევრია, როგორც მისის მიკობერის<sup>2</sup> მამის საყვარელი ანდაზა გვეუბნება. ხელოვანს განსაკუთრებული ნიჭი აქვს სწავლისა და სწავლებისა. ის ამა თუ იმ შემთხვევიდან სხვებზე მეტს იღებს და რასაც იღებს, შეუძლია, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ძალით გადმოსცეს და მკითხველის გონებაში წარუ-


# ოლდოს ჰაქსლი ტრაგედია და სრული სიმართლე



შლელი შთაბეჭდილება დატოვოს. აი, ყველაზე ორდინარული რეაქცია კარგ ლიტერატურულ ნაწარმოებზე: „მეც სწორედ ასე ვგრძნობდი და ვფიქრობდი, ოღონდ გუნებაშიც კი ვერ გამოვთქვამდი“.

ახლა უკვე შეგვიძლია ავხსნათ, თუ რას ვგულისხმობთ, როცა ვამბობთ — ჰომეროსი რასაც მოგვითხრობს, სრული სიმართლეა. ვგულისხმობთ, რომ შთაბეჭდილება, რომელსაც ის აღწერს, ზუსტად ემთხვევა ჩვენს რეალურ ან პოტენციურ განცდას და ემთხვევა არა რომელიმე ცალკეულ სექტორში, არამედ თან სდევს მთელ ჩვენს სულიერ და ფიზიკურ ყოფიერებას. ამასთან ერთად, ჰომეროსი ადამიანის განცდას აღწერს გულში ჩამწვდომი მხატვრული ხერხებით, რაც მას კიდევ უფრო მეტად ახლობელსა და დამაჯერებელს ხდის.

ამას ვეძახით სიმართლის თქმას ლიტერატურაში. ჰომეროსი, ვიმეორებ, სრულ სიმართლეს მოგვითხრობს. წარმოიდგი-



ნეთ ერთი, ნებისმიერი სხვა დიდი პოეტი როგორ დაასრულებდა ოდისევსის ხომალდზე სცილას თავდასხმის ამბავს. ექვსი კაცი, არ დაგავიწყდეთ, მეგობრების თვალწინ მოიტაცეს და შესანსლეს. ნებისმიერ სხვა პოემაში, „ოდისეას“ გარდა, რას იზამდნენ ცოცხლად დარჩენილები ისინი, რა თქმა უნდა, იქვითინებდნენ. ქვითინით ჰომეროსმაც კი აქვითინა, მაგრამ, განა მანამდე ვახშამს მოიმზადებდნენ, და თანაც „ოსტატურად“? ვითომ, დალევდნენ და კარგად დასაჯერებდნენ? და მერე, ტირილით გულს რომ იჯერებდნენ, უფრო სწორედ შუა ტირილში, ვითომ მშვიდ ძილს მიეცემოდნენ? არა, სავარაუდოდ, ისინი არაფერს ამდაგვარს არ გააკეთებდნენ, მხოლოდ და მხოლოდ იტირებდნენ, დაიჩვილებდნენ საკუთარ ბედუკულმართობაზე და საცოდავი მეგობრების ხევედრზე, და პოემის ეს ნაწყვეტი მათი ცრემლებით დასრულდებოდა.

მაგრამ ჰომეროსმა სრული სიმართლის მოყოლა ამჯობინა. მან კარგად იცის, რომ რაოდენ დიდიც უნდა იყოს დანაკარგის სიმწარე, ადამიანმა უნდა ჭამოს; იცის, რომ შიმშილის გრძნობა ნუხილისას აღემატება და შიმშილის დაკმაყოფილებების შემდეგ შეიძლება, იტირო კიდევ. ჰომეროსმა ისიც იცის, რომ ხელმარჯვე ადამიანი ყველაფერს ოსტატურად აკეთებს და როცა რამეს აკეთებს, კმაყოფილების გრძნობა ეუფლება, გინდაც ცოტა ხნით ადრე მათი მეგობრები შეესანსლათ და

გინდაც საქმე უბრალოდ ვახშმის მომზადება იყოს. ჰომეროსმა იცის, რომ როცა მძღარი ხარ (და მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როცა მძღარი ხარ) შეგიძლია, თავს დარდის უფლება მისცი, და ნავახშმევს ნუნუნს შეიძლება ფუფუნებაც კი უწოდო. და ბოლოს, ჰომეროსმა იცის — მაშინ, როცა შიმშილი უძღვის წინ სევდას, აუტანელ დაღლილობას ტკბილი ძილი მოსდევს ხოლმე, მძიმე დანაკარგი რომ დაგვავიწყოს. მოკლედ, ჰომეროსმა უარი განაცხადა ტრაგიკულად განეხილა ეს თემა. მან სიმართლის მოყოლა ამჯობინა.

კიდევ ერთი მწერალი, რომელიც სიმართლის თხრობას ირჩევს, ფილდინგი<sup>3</sup> გახლავთ. „ტომ ჯონსი“, ესქილეს დროიდან დღევანდლამდე, ევროპაში დაწერილი ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვან ნაწარმოებთაგანია, რომელიც „ოდისეას“ შეიძლება მივამსგავსოთ, რადგან ის არასდროს არის ტრაგიკული — არასდროს, როგორ მტკივნეულ და საშინელ, რაც უნდა სულისშემძვრელად ლამაზ ამბებზე მოგვითხრობდეს. იმიტომ, რომ ასეთი ამბები რეალურად ხდება; ჰომეროსის არ იყოს, ფილდინგისთვისაც ნებისმიერი ფაქტი დასაშვებია, ის არაფერს ერიდება. და სწორედ იმიტომ, რომ ეს მწერლები არაფერს ერიდებიან, მათი ნიგნები არ არის ტრაგიკული. ამბებში, რომელთა მოყოლას ეს მწერლები არ უფრთხიან, არის რაღაც შეუსაბამობები, რეალურ ცხოვრებაში სიტუაციისა და გმირის განცხრობის შერბილება რომ შეუძლიათ, ტრაგიკოსი მწერლები კი ქიმიური სისუფთავის შენარჩუნებას ითხოვენ. მაგალითად შეიძლება სოფი ვესტერნის, საოცრად მომხიბვლელი და თითქმის სრულქმნილი ახალგაზრდა ქალის შემთხვევა ავიღოთ. ფილდინგი არ მალავს თავის აღტაცებას მის მიმართ (როგორც ამბობენ, სოფი მისი პირველი და მეტად საყვარელი ცოლის პროტოტიპია). მაგრამ აღტაცების მიუხედავად, ფილდინგი უარს ამბობს ის მეტისმეტად წმინდა არსებად გამოიყვანოს, რომელსაც ტრაგიკულ სამყაროში ტანჯვის გარდა სხვა დანიშნულება არ აქვს. სასტუმროს მეპატრონე დაღლილ სოფის ცხენიდან გადმოსვლაში რომ მიეხმარა — განა აუცილებელი იყო, დაცემულიყო? არც ერთ სხვა ტრაგედიაში მას არ (უფრო სწორად, ვერ) მოიყვლება ქვეშ ქალის სიმძიმე. იმიტომ, რომ, უპირველეს ყოვლისა, ტრაგიკულ კონტექსტში წონა საერთოდ უადგილოა; ქალი პერსონაჟი ყოველთვის გრაგვიტაციის კანონზე მალდა დგას. მაგარი ყველაფერი ამით როდი დამთავრდა; კარგი იქნება, მკითხველმა გაიხსენოს, რა მოჰყვა დაგვარდას. სასტუმროს მეპატრონე ზურგზე გადაყირავდა და სოფიც ზედ გადაიხშო — მართალია, სოფი თავდაყირა გადმოვარდა ცხენიდან, მაგრამ არ დაშავებულა, ბალიშად მისი მუცელი დახვდა. როცა თავდაყირა ვარდები, ფხეები შესაბამისად აშვერილი გაქვს; ეს იყო ქალის ყველაზე მომხიბლავი ღირსებების ნამიერი ჩვენება; სასტუმროს შესასვლელში მდგარმა ხეპრებმა პირი დააღეს და გულიანად გადაიხარხარეს; საწყალი სოფი კი, როცა წამოაყენეს, უხერხულობისგან და სიმორცხვისგან აჭარხლებუ-

ლიყო. არაფერია დაუჯერებელი ამ ამბავში, ერთი კი აღსანიშნავია, მას ლიტერატურული სიმართლის დალი ადევს. სიმართლე სიმართლედ, მაგრამ ასეთი რამ არასოდეს შეიძლება შემთხვევად ტრაგედის გმირს. არ დაუშვებდნენ, ასე მომხდარიყო. ფილდინგმა უარი განაცხადა ტრაგედიის ვეტო დაედო ამ შემთხვევისთვის; მან სცადა, არაფერი დაემალა — არც უადგილო აბსურდულობის შემოჭრა სასიყვარულო ამბებში თუ უბედურებაში, არც ბედნიერების არანაკლებ უაზრო და სევდიანი შეწყვეტა. ფილდინგს არ სურდა, ყოფილიყო ტრაგიკოსი. და, მართლაც, სოფის მომხიბვლელი უკანალის წამიერმა, მარგალიტისებურმა გაუღვებამ საბოლოოდ დააფრთხო და განდევნა ტრაგედიის მუზა „ტომ ჯონსიდან“, ისევე, როგორც ოცდახუთი საუკუნის წინ დააფრთხო და განდევნა ის „ოდისეადან“ გულგატეხილი კაცების ნახვამ, რომელთაც ჯერ კარგად ივახშმეს და მერე თვალცრემლიანებმა მიიძინეს ზღვის სანაპიროზე.

„ლიტერატურული კრიტიკის პრინციპებში“ ბატონი ი. ა. რიჩარდსი<sup>4</sup> ამტკიცებს, რომ კარგი ტრაგედია იტანს ირონიას და აბსურდს — მას შეუძლია შთანთქოს ყველაფერი და მაინც ტრაგედიად დარჩეს. მისი აზრით, არატრაგიკულის და ანტი-ტრაგიკულის შთანთქმის უნარი ჭეშმარიტი ტრაგედიის საზომადაც კი შეიძლება მივიჩნიოთ. ასე თუ მივუდევთ, ყველა ბერძნული, ყველა ფრანგული და ელისაბედის ეპოქის ტრაგედიების უმეტესობა არასრულფასოვანი ყოფილა. მხოლოდ შექსპირის რამდენიმე რჩეული პიესა თუ გაუძლებს ასეთ გამოცდას. ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობს ბატონი რიჩარდსი. დაუჯეროთ? მე პირადად, ეჭვი მეპარება. შექსპირის ტრაგედიები მართლაც რომ დაძარღვეულია ირონიით და ხშირად შემამოფოთებელი ცინიზმითაც; მაგრამ ცინიზმი ყოველთვის გმირის გადმობრუნებული იდეალიზმია, ირონია კი ჰეროიკული რომანტიზმის ფორტოგრაფიული ნეგატივი. ტროილოსის ხასიათში თეთრი შავით რომ შეეცვალოთ, შავი კი თეთრით, თესტილეს მივიღებთ. იაგო ოტელოს და დეზდემონას მეორე მხარეა. ოფელიას სითვთვე შეუძლებს ირონიის ნეგატივია, თავისივე გიჟური სიმღერების გულუბრყვილო ბილწსიტყვაობა; ისევე როგორც, შემოილი ლირის ცინიზმი კორდელიას შავი ლანდის რეპროდუქციაა. ლანდის ან სხვა რამის ფოტოგრაფიული ნეგატივი, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, შეუსაბამო იყოს მასთან. შექსპირის ირონია და ცინიზმი მის ტრაგიკულ სამყაროს კი არ აფართოვებს, არამედ აღრმავებს და პირიქით რომ იყოს, როგორც, ვთქვათ, ჰომეროსის შეუსაბამობებმა გააფართოვა „ოდისეას“ სამყარო — მაშინ ალბათ შექსპირის ტრაგიკული სამყარო ავტომატურად შეწყვეტდა არსებობას. მაგალითად, შეგვიძლია, დამწხვრებელი მაკდაფის ვახშმის სცენა ავიღოთ — როცა ვხვდავთ, თუ როგორ იბრუნება მისი მელანქოლია ვისკის დოზასთან ერთად, მოკლული ცოლი და შვილები რომ ახსენდება, შემდეგ კი, ჯერ კიდევ ცრემლით თვალდანამულს, როგორ ჩაეძინება. შეიძლება ითქვას, რომ ავტორი ცხოვრებისეული ამბისთვის საკმარის სიმართლეს მოგვითხრობს; ოღონდ ტრაგედიისთვის არ გამოდგება. ამგვარი სცენის ჩართვა მთელ პიესას შეცვლიდა; „ოდისეას“ სტილით თუ განვიხილოთ „მაკბეტს“, ის უკვე აღარ იქნება ტრაგედია. ან გნებავთ, დეზდემონას შემთხვევა ავიღოთ. იაგოს დაუნდობელი ცინიკური რეპლიკები დეზდემონას მიმართ ტრაგედიისთვის შეუსაბამო არანაირად არ არის. იაგოს რეპლიკები დეზდემონას ნამდვილი ბუნებისა და გრძნობების ნეგატივს წარმოგვიჩვენს, რაც დამახასიათებელია ტრაგედიის მსხვერპლი ქალის პერსონაჟისთვის. ისე, კვიპროსის სანაპიროზე დეზდემონას ფეხი რომ ნაბორძიკებოდა და დაცემულიყო, როგორც არანაკლებ მომხიბვლელი სოფი დაეცა, და მეთექვსმეტე საუკუნის არაჩვეულებრივი საცვლები გამოეჩინა, ეს უკვე ჩვენთვის ნაცნობი „ოტლო“ აღარ იქნებოდა. იაგო შეიძლება, პატარა ცინიკოსების ოჯახი აღზარდოს, შეუძლია, გააორმაგოს და გაასამამავოს თავისი სიბოროტე და არაადამიანურობა; „ოტელო“ მაინც „ოტელოდ“ დარჩება. ოღონდ, ოდნავი ფილდინგისეული უადგილობა მას დალუპავდა — დალუპავდა, როგორც

# საუკუნო სირუმა მხოლოდ

ტრაგედია, თორემ ისე რა დაუდგებოდა ნინ, სხვა რომელიმე ჟანრის შესანიშნავი დრამა ყოფილიყო. საქმე ისაა, რომ ტრაგედია და რასაც მე „სრულ სიმართლეს“ ვუწოდებ, ტრაგედიასთან შეუთავსებელია; სადაც ერთია, იქ მეორის ადგილი არ არის. არსებობს რაღაც გამონაკლისები, რომელსაც საუკეთესო, თუნდაც შექსპირის ტრაგედიაც კი ვერ შეითავსებს.

იმისათვის, რომ ტრაგედია შექმნას, ხელოვანმა მთელი კაცობრიობის გამოცდილებიდან ერთი ელემენტი უნდა გამოაცალკევოს და ის თავის განსაკუთრებულ მასალად გამოიყენოს. ტრაგედია სრული სიმართლისგან ცალკე დგას, მისგან არის გამოხდელი, თუ შეიძლება ასე ითქვას, როგორც ცოცხალი ყვავილიდან იღებენ ესენციას. ტრაგედია ქიმიურად სუფთაა. აქედან გამომდინარე, ის სწრაფად და ძლიერად მოქმედებს ჩვენს გრძობებზე. ყველა ქიმიურად სუფთა ხელოვნებას შესწევს ძალა, ჩვენზე იმოქმედოს სწრაფად და შთაბეჭდვად. ამიტომ, ქიმიურად სუფთა პორნოგრაფიას (იმ იშვიათ შემთხვევაში, როდესაც „გადმოცემის“ უნარით დაჯილდოებული ადამიანის მიერ არის დამაჯერებლად დაწერილი) სწრაფად მოქმედი ემოციური ნარკოტიკის ძალა აქვს, „სრულ სიმართლეს“ ბევრად ძლიერი, შეიძლება (ბევრისთვის) თავად ხელშესახებ რეალობაზე უფრო ძლიერიც. სწორედ ქიმიური სისუფთავის გამოა, ტრაგედიას კათარზისის ეფექტი რომ აქვს. ის ხვეწს და ანესრიგებს ჩვენს ემოციურ ცხოვრებას, თანაც ამას ერთი ხელის მოსმით და დიდი ძალისხმევით აკეთებს. როდესაც საქმე ტრაგედიასთან გვაქვს, ჩვენი არსების შემადგენელი ნაწილები, შეიძლება მხოლოდ წამოიყვანოს, ერთმანეთს სცილდება რაღაც მოწესრიგებული და ლამაზი ნიმუშის შესაქმნელად, როგორც რკინის ჩამონაქლიბი დაეწყობა ხოლმე მაგნიტის ზემოქმედებით. მიუხედავად ინდივიდუალური ვარიანტებისა, ნიმუში, ძირითადად, უცვლელია. ტრაგედიის კითხვისას, ან მოსმენისას ჩვენში იღვიძებს გრძობა, რომ „მოლხენაც და ტანჯვაც, სიყვარულიც და დაუმორჩილებლობაც ჩვენი მეგობრები არიან“.

და რომ, ჰეროიკული რწმენით, ჩვენც შეგვიძლია ტანჯვის ჟამს დაუმორჩილებლები ვიყოთ, ტანჯვის ჟამს შეგვიძლია, გვიყვარდეს და იქნებ, ამ დროს, მოლხენაც გვესწავლა. აი, რატომ არის ძვირფასი ტრაგედია, აი, ამგვარი გრძობების გაღვიძების ძალა რომ შესწევს. მაშ, „სრული სიმართლის“ ფასი რაღა ყოფილა? რას აკეთებს ისეთს, რომ ღირდეს ამაზე დაფიქრება? მოდი, ერთად გავარკვიოთ.

მხატვრული „სრული სიმართლე“ სცდება ტრაგედიის საზღვრებს და გვიჩვენებს, შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ ქარაგმულად, თუ რა ხდებოდა ტრაგიკული ამბის დაწყებამდე, რა მოხდებოდა, როდესაც ის დასრულდება და რა ხდება იმავდროულად ყველგან (და ეს „ყველგან“ შეიძლება, მოიცავდეს გმირების სულის ყველა კუნჭულს და სხეულის ყველა ნაწილს, ვინც შეიძლება უშუალოდ არც არიან ტრაგედიის მონაწილენი). ტრაგედია იმ თვალსაზრისით მდინარის თვითნებურად იზოლირებული მორევია, დიდებულად და შეუპოვრად რომ მიედინება მის გარშემო. მხატვრული სიმართლისთვის მდინარე ისევე მისაღებია, როგორც მორევი. ის სრულიად განსხვავდება ტრაგედიისგან, თუმცა, გარდა სხვა შემადგენელი ნაწილებისა, ტრაგედიის ყველა ელემენტსაც შეიცავს (სხვადასხვა კონტექსტში ჩასმული „ერთი და იგივე ამბავი“ კარგავს თავის უტყუარობას და სხვა განვითარებას პოულობს). მხატვრულ „სიმართლეში“ ტანჯვა, სიყვარული და დაუმორჩილებლობა შეიძლება ისევე რეალური, ალმაფრთოვანებული და მნიშვნელოვანი იყოს, როგორც ტრაგედიაში. გამოდის, რომ სცილას მსხვერპლი ისევე იტანჯება, როგორც „ფედრაში“ ურჩხულის გადასასნული იპოლიტი; ტომ ჯონსის ენით გამოუთქმელი ტკივილი, როცა ფიქრობს, რომ სოფი დაკარგა და რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ მისი ბრალია, ცოტათი თუ ჩამოუვარდება ოტელოს განცდას დეზდემონას მოკვლის შემდეგ (ფაქტი, რომ ფილინგის „გადმოცემის“ სიძლიერე ვერ უტოლდება შექსპირისას, შემთხვევითია). ალალმართალ მწერალს ყველა ტკივილი თუ მოურიდებლობა სულ სხვა, უფრო ფართო კონტექსტში გადააქვს, რათა აღარ იყოს ტრაგედი-

ისთვის დამახასიათებელი ტკივილი და მოურიდებლობა, და აქედან გამომდინარე, ალალმართალი წიგნი სულ სხვა ეფექტს ახდენს ჩვენზე. განწყობა, როცა მართალ წიგნს ვკითხულობთ, არასოდეს არის ჰეროიკული აღფრთოვანება; განწყობა უფრო შემგუებლურია (ისე, შეგუება შეიძლება იყოს ჰეროიკული). ვინაიდან ის არ არის ქიმიურად სუფთა, მხატვრული „სიმართლე“ ისე სწრაფად და ძლიერად არ მოქმედებს ჩვენზე, როგორც ტრაგედია, ან რომელიმე სხვა ქიმიურად წმინდა ხელოვნება. მაგრამ, მჯერა, რომ მისი ეფექტი ბევრად ხანგრძლივია. ის აღფრთოვანება, ტრაგედიის კითხვისას ან მოსმენისას რომ გვეუფლება, დროებითი თრობაა. ჩვენი არსება უძლურია, დიდხანს შეინარჩუნოს ტრაგედიით თავსმოხვეული ხასიათი, მაგნიტს მოაცილებს თუ არა, ჩამონაქლიბი ისევე ისე უნესრიგოდ დაიყრება. სამაგიეროდ, ის უბრალო და მისაღები ნიმუში, რომელსაც მართალი ლიტერატურა ქმნის, თუმცა შეიძლება არც ისე ლამაზი ჩანდეს (და სწორედ ამ მიზეზით), ბევრად გამძლეა. ტრაგედიის კათარზისი მძაფრი და აპოკალიფტური; მართალი ხელოვნებისა კი — მარადიული.

ბოლო დროს, ლიტერატურა უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს თვალსაზრისით ოკეანეში მიმოფანტული შეუსაბამობების, მოვლენებისა და მოსაზრებების „სიმართლეს“. სულ ერთია, რომელი კუთხით შეხედავს მათ მწერალი. მათთვის, ვისაც ტრაგედიის შექმნა სურს, სულ უფრო ძნელდება პირობითი საზღვრების დადგენა და ვინც თანამედროვეობის მოთხოვნებს ითვალისწინებს, თითქმის შეუძლებელი ხდება. ეს კი სულაც არ ნიშნავს იმას, რომ თანამედროვე მწერალი მხოლოდ ნატურალისტური სტილით უნდა შემოიფარგლოს. შეიძლება, გრძობდეს, მწერალი „სრულ სიმართლეს“ რომ ჰყვება, მიუხედავად იმისა, თუ ყველა თვალსაჩინო საგნის აღწერით არ იტყობს თავს. წიგნი შეიძლება, წმინდა ფანტაზიის ენაზე დაიწეროს, და მაინც, თავისი შინაარსით სრულ სიმართლეს მოგვითხრობდეს. თანამედროვე ლიტერატურის ვერც ერთ მნიშვნელოვან ნაწარმობს წმინდა ტრაგედიას ვერ დაარქმევითქმის ყველა თანამედროვე მწერალი „სრული სიმართლის“ დადგენას ამჯობინებს. როგორც უნდა განსხვავდებოდნენ ისინი სტილით, ეთიკის ნორმებით, ფილოსოფიით და მისწრაფებით, თანამედროვე მწერლებს „სრული სიმართლე“ აინტერესებთ. პრუსტი, ლოურენსი, ჟიდი, კაფკა, ჰემინგუეი — ეს ის ხუთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ერთმანეთისგან წარმოუდგენლად განსხვავებული თანამედროვე მწერალია, რომელთაც ერთი რამ აქვთ საერთო: არც ერთ მათგანს წმინდა ტრაგედია არ დაუწერია, მათ უფრო „სიმართლე“ ადარდებთ.

სწორედ დაგვიქრებულვარ, რომ ტრაგედია, როგორც ხელოვნების ფორმა, არ უნდა იყოს განწირული. თუნდაც მარტო ის ფაქტი, რომ წარსულის შედგენები ჯერ კიდევ გვაღელვებენ და მიუხედავად დახვეწილი გემოვნებისა, შეიძლება თანამედროვე ცუდმა ტრაგედიამაც კი აგვალღვოს, ეჭვი მიჩნდება, რომ ქიმიურად სუფთა ხელოვნების ხანა არ დასრულდება. ჩემი აზრით, ტრაგედიას ამჟამად ცუდი დღე უდგას, თანაც ჩვენი საუკუნის ყველა მნიშვნელოვანი მწერალი ახლად ან ხელახლა აღმოჩენილი „სიმართლის“ ძიებით არის დაკავებული და ის უყურადღებოდ დატოვებს. მაგრამ, არაფერი გვაძლევს იმის საბაბს, ვიფიქროთ, რომ სულ ასე გაგრძელდება. ტრაგედია ასე ადვილი დასათმობი როდია. ბოლოს და ბოლოს, არც მიზეზი გაგვანჩნია იმის დასაშვებად, რომ ამ ორი სახის ლიტერატურამ — ქიმიურად წმინდამ და ქიმიურად მღვრიემ, რომელთაგან ერთი „სრულ სიმართლეს“ მოგვითხრობს, მეორე კი „ნაწილობრივ სიმართლეს“ — ერთდროულად არ უნდა იარსებონ თავ-თავიანთ დამოუკიდებელ სივრცეში. ადამიანის სულს ხომ ორივე სჭირდება.

სუსთმა შეგრძნებით დაწყებული და სილამაზის ინტუიტიური აღქმით დამთავრებული, იქნება ეს სიამოვნება თუ ტკივილი, სიყვარული თუ მისტიური ექსტაზი, ყველაფერი, რაც კი ადამიანის სულისთვის მნიშვნელოვანია, შეიძლება მხოლოდ განიცადო, მაგრამ ვერ გამოხატო. დანარჩენი, ყველგან და ყოველთვის, საუკუნო სირუმა მხოლოდ.

სირუმის შემდეგ, გამოუთქმელის გამოცდილებად, მასთან ყველაზე ახლოს მუსიკა თუ მივა (ისიც ხომ აღსანიშნავია, სირუმე კარგი მუსიკის განუყოფელი ნაწილი რომ არის. ბეთჰოვენთან და მოცარტთან შედარებით, ვაგნერის მუსიკის უწყვეტი დინება ღარიბია სირუმით და, ალბათ, ამიტომაცაა მისი მუსიკა ნაკლებად მნიშვნელოვანი. ცოტას „ამბობს“, ვინაიდან გაუთავებლად ლაპარაკობს).

შეიძლება სხვა ფორმით, ყოფიერების სხვა სიბრტყეზე, მუსიკა ადამიანის ყველაზე ფასეულ და ყველაზე ძნელად გაუმოსათქმელ განცდას უტოლდება და ამ უცნაური ანალოგიის წყალობით მსმენელში შეუძლია, ხან აჩრდილი გამოიხმოს ძველი განცდა, ხანაც მთელი სიცხადით გააღვიძოს იგივე განცდა — ეს უკვე აღქმის საკითხია; აჩრდილი მკრთალია, რეალობა კი მწველი და მახლობელი. მუსიკა რას გამოიხმობს, შემთხვევითობაზე ან განცებაზეა დამოკიდებული. გულისთქმა ხომ არც ერთ კანონს არ ემორჩილება. მუსიკის კიდევ ერთი დამახასიათებელი თვისებაა (რასაც გარკვეულწილად ხელოვნების სხვა დარგებშიც იზიარებს), გააღვიძოს სრულყოფილი განცდა მთელი სიცხადით (რამდენად სრულყოფილი იქნება განცდა, თითოეული მსმენელის აღქმის უნარზეა დამოკიდებული), როგორი მიკრომომენტები, ბუნდოვანი და აბნეულიც უნდა იყოს თავდაპირველი განცდა. მაღლიერების გრძობა გვიჩნდება ხელოვნების მიმართ, ეს განსაკუთრებით მუსიკოსებს ეხება, ისინი ხომ „გარკვევით გამოთქვამენ იმას, რასაც ჩვენ ვგრძობთ, მაგრამ ვერასოდეს ვახერხებდით გამოგებას“. როდესაც ექსპრესიულ მუსიკას უსმენ, რა თქმა უნდა, იგივე განცდა არ გეუფლება, რაც ხელოვანს (ამის იმედი არც უნდა გვქონდეს, „განა ეკლიდან ყურძენს კრეფენ?“), სამაგიეროდ განვიცდით იშვიათ გრძობას, რისი უნარიც ბუნებამ მოგვანიჭა — უკეთესს და ბევრად სრულყოფილ გრძობას, ვიდრე მუსიკის მოსმენამდე გვქონია.

მუსიკას რომ გამოუთქმელი გრძობის გამოხატვა შეუძლია, ეს ყველაზე დიდმა სიტყვის ოსტატებმა აღიარეს. კაცმა, რომელმაც „ოტელი“ და „ზამთრის ზღაპარი“ დაწერა, შეძლო, სიტყვით გამოეთქვა ყველაფერი ის, რისთვისაც სიტყვები არსებობს. და მიუხედავად ამისა (აქ უნდა მოგახსენოთ, რომ ძალიან საინტერესო ესეც ავტორის, ბატონი უილსონ ნაითის-

გან ვარ დავალბებელი), როდესაც საქმე მისტიურ ემოციას, ან ინტუიციას ეხებოდა, შექსპირი ყოველთვის მუსიკას იშველიებდა — უკეთ რომ „წარმოეჩინა“. საკუთარი უსაზღვროდ მწირი თეატრალური გამოცდილება მარწმუნებს — თუკი მუსიკას კარგად შეარჩევდა, ნამდვილად მიალენვედა მიზანს.

ჩემი რომანის — „კონტრაპუნქტის“ — მიხედვით დადგმული პიესის უკანასკნელ აქტში შესრულებული ბეთჰოვენის ლა-მინორული კვარტეტი ამ დრამას პირდაპირ შეეწვია. არც პიესაა ჩემი და არც მუსიკა. ასე რომ, თამამად შემოძლია ვთქვა, სპექტაკლის მსვლელობისას შესრულებული Heilige Dankgesang<sup>1</sup>, ჩემი აზრით, სხვა თუ არაფერი, გამოგნებელი იყო.

„საკმარისი დრო და სივრცე რომ გვექონოდა...“<sup>2</sup> მაგრამ, ეს სწორედ ის არის, რისი მოცემაც თეატრს არ შეუძლია. შემოკლებული პიესიდან აუცილებელი გახდა, გამოუტოვებინათ, რაც კი „კონტრაპუნქტში“ იგულისხმებოდა და მინიშნებული იყო, ის, რაც ჩემს რომანში „პუნქტების“ სიმკაცრეს არბილებდა, ან, ყოველ შემთხვევაში, მინდოდა, რომ შეერბილებინა. ზოგადად, პიესა უცნაურად მძიმე და უხეში გამოვიდა. მოუთოკავი სისასტიკის სამყაროში მოულოდნელად შემოჭრილი Heiliger Dankgesang რაღაც ზებუნებრივ ხილვას ჰგავდა. თითქოს ღმერთი, არამქვეყნიურად ლამაზი, მართლაც ჩვენ თვალწინ დაეშვა მიწაზე, ერთდროულად შიშაც რომ გვგვრიდა და გვაიმედებდა კიდევ და ისეთი უცნაური სიმშვიდით იყო გარემოცული, რაც ყველანაირ გაგებას აღემატება.

„წიგნი იობისა“ ჩემი რომანი რომ ყოფილიყო, ბატონი ქემფელ დიქსონი კი, ვისაც მისი ადაპტირებული ვერსია ეკუთვნის, „მაკეტის“ ავტორი — მიუხედავად ჩვენი შესაძლებლობებისა, ძალიანაც რომ მოგვენდომებინა, ყოვლად წარმოუდგენელი რამ იქნებოდა სიტყვით ან დრამატული მოქმედებით გადმოგვეცა ის, რაც სულ რაღაც სამი თუ ოთხი წუთის განმავლობაში ვიოლინომ ნათელი გახადა დახვეწილი მსმენელისთვის.

როდესაც ენით გამოუთქმელის გამოთქმა დასჭირდა, შექსპირმა კალამი გადადო და მუსიკას მიმართა. რა ვქნათ, მუსიკამაც თუ გვიღალატა? იმედად ხომ ყოველთვის რჩება სირუმე. რადგან ყოველთვის, ყოველთვის და ყველგან საუკუნო სირუმეა მხოლოდ.

<sup>1</sup> ჰამლეტის უკანასკნელი სიტყვები (შექსპირი, „ჰამლეტი“, აქტი V, სცენა II).

<sup>2</sup> მათე, 7:16.

<sup>3</sup> უილსონ ნაითი (1897-1985) — ინგლისელი შექსპიროლოგი.

<sup>4</sup> ნაწყვეტი ბეთჰოვენის ლა მინორული კვარტეტიდან.

<sup>5</sup> ციტატა ინგლისელი პოეტის ენდრიუ მარველის (1621-1678) ლექსიდან „მორცხვი საყვარლისადმი“.

თარგმანი თაკო ჭილაკაძე



<sup>1</sup> ჰომეროსის „ოდისეა“ (ძველბერძნულიდან თარგმნეს ზურაბ კიკნაძემ და თამაზ ჩხენკელმა; 1986).

<sup>2</sup> მისის მიკრობი — ჩარლზ დიკენსის რომანის — „დევიდ კოპერფილდის“ — პერსონაჟი.

<sup>3</sup> ჰენრი ფილდინგი (1707-1754) — ინგლისელი მწერალი, რომანისტი.

<sup>4</sup> ი. ა. რინარდსი (1893-1979) — ინგლისელი კრიტიკოსი.

რბ ალქრბს ადამიანს ავტობიოგრაფიული რომანის დასაწერად? ამ კითხვას (რიტორიკა რომ გამოვიტყუოთ), ცხადია, ბევრი და არაერთმნიშვნელოვანი პასუხი აქვს. მსგავსი ჟანრის ლიტერატურა ფსიქოლოგებს ადამიანური სამყაროს ახალი კვლევების უბიძგებს, ლიტერატურათმცოდნეებს — დამატებითი თეზისებისკენ ამა თუ იმ ჰუმანიტარულ-ფილოლოგიურ საკითხში, „ჩვეულებრივ“ მკითხველებს (ხანდახან ზუსტად ეს მკითხველები არიან ხოლმე ყველაზე პირუთვნელი და ჭეშმარიტი შემფასებლები) გამორჩეულად უყვართ და სიამოვნებით კითხულობენ, რადგან ამგვარი წიგნები ლიტერატურულ ვენებებს ქარის სისწრაფით შლის, ისინი ხომ დიდ შემოქმედთა ცხოვრებას ჩვეულებრივი მოკვდავის ბიოგრაფიასაგან განსხვავდა, ადამიანს კი ფარულად არაფერი ისე არ ახარებს, როგორც იმის წარმოდგენა, რომ ის „დიდნი“ თურმე ერთი შენაირი ყოფილა — შენაირი სისუსტეებით, მოთხოვნებითა და უნარებით და, ვინ იცის, იქნებ სადღაც, რომელიმე სიმართლის სამფლობელოში შენ უფრო მეტად ხარ ადამიანი, ვიდრე ის, უფრო მეტად გმირი და მეტად მაგალითი...

მაგრამ ამჯერად ჩემ (თქვენ) წინაშეა წიგნი, ავტობიოგრაფიული რომანი, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილ აქცენტებს ერთად ითავსებს, რადგან ამ წიგნის ავტორი თვითონაა თავისი მონათხრობის ფსიქოლოგიც, ლიტერატორიც და მკითხველიც. ეს წიგნი ბადებს განცდას, რომ ის სწორედ იმიტომ დაიწერა, რომ ავტორს შეძლებოდა, უკეთ შეეხედა საკუთარი (და, ზოგადად) ცხოვრებისათვის; რათა თავად გაცეცხვებოდა კითხვებზე, რაც ცხოვრებაში დაუგროვდა. ამ უკანასკნელს კი თავი არ დაუზოგავს და ავტორისთვის რთული კითხვები არასდროს დაუკლია.

მანანა ამირეჯიბი ვსაუბრობ, ჭაბუა ამირეჯიბის უფროს ქალიშვილზე, რომელმაც სულ ახლახანს გამოსცა ავტობიოგრაფიული რომანი „მე და ჩემი წილი მამა“ (გამომცემლობა „არტანუჯი“). როგორც თავად ამბობს, ეს წიგნი მთელი ცხოვრება იწერებოდა. ერთი შეხედვით, თითქოს სადაო არაა, როცა განგებამ ჭაბუა ამირეჯიბის შვილობილ გარგუნი, მოსაყოლიც და გასახსენებელიც ბევრი რომ გქონდეს, შესაბამისად, ამ ყველაფრის სურვილი და ძალა აღსასრულდებად, მაგრამ ამ წიგნის შემთხვევაში საქმე კიდევ უფრო შორს მიდის, ეს არაა მხოლოდ დიდი მამის შვილის (მიუხედავად იმისა, რომ სათაურში სწორედ ეს აღნიშნა — „მე და ჩემი წილი მამა“) მონათხრობი, ეს სრულიად დამოუკიდებელი, ცხოვრებისგან ნატანჯი, მაგრამ საშინლად ძლიერი, მგრძობიარე ადამიანის მონაყოლი ამბავია ცხოვრებაზე, და როგორც წიგნის რედაქტორი ლევან ბრეგვაძე წინათქმავში შენიშნავს, ამ ტექსტის მთავარი პერსონაჟი სწორედ ცხოვრებაა და არა ვინმე კონკრეტული, ცხოვრება, რომელიც გთავაზობს თუნდაც ამ ყველაზე მნიშვნელოვან მოცემულობას — იყო დიდი მამის შვილი და ამან მთლიანად განსაზღვროს შენი წილი დრო სამყაროში. ამიტომ დაკვირვების, გახსენების, შეფასების „ღირსია“ თავად ცხოვრება, ისაა მთავარი არგუმენტიც და მოტივაცია, ის გადაშლილი წიგნია, რომლის წაკითხვის ინტერპრეტაციაც შენი მწერლური (შემოქმედებითი) ნიჭის საქმეა.

იმვითად ნამიკითხავს ასეთი გულახდილი, ღონიერი შეგრძნებებითა და სუბიექტური სიმართლებებით (და არა ჭეშმარიტებებით) საგსე ავტობიოგრაფიული რომანი. „შვილის“ ნაამბობი წიგნებიც მინახავს, ბოლოს პიკასოს ქალიშვილის, მარინა პიკასოს მოგონებები წავიკითხე (ყურნალ „ლიტერატურულ პალიტრაში“ იბეჭდებოდა, ვიდრე დაიხურებოდა), იქაც სულის შეხუთვამდე მძაფრი იყო მამისა და შვილის (მამის და ქალიშვილის — აქ სქესს ხშირად აქვს ხოლმე თავისებური აზრი, და

ამის დაკონკრეტება მნიშვნელოვანია) ურთიერთობა, ფარული თუ ღია კონფლიქტი, თავყვანისციემის ხარისხი და ზიზღი ამავდროულად, ეს მართლა გულისშემძვრელი ტექსტი იყო, და როცა მანანა ამირეჯიბის რომანის კითხვა დაიწყო, უნებურად პიკასოს ქალიშვილის მონათხრობის გემო ვიგრძენი პირში, მაგრამ მსგავსი არაფერი დამთხვეულა — არც შეგრძნებაში და არც დამოკიდებულებაში. მანანა ამირეჯიბის წიგნში, უამრავი წვალენამებით გამოვლილი ცხოვრების მიუხედავად, მაინც საოცარი სილაღეა, იუმორია, ბევრი ჰაერია და გულწრფელობის ისეთი ხარისხი, რომ საკუთარ შეცდომებზე თუ სისუსტეებზე ტკივილით მოსაუბრე უნებურად თავის თანამგრძობელად გხდის მკითხველს. აქ დაძლეულია ერთგვარი „დიდი მამის შვილობის“ კომპლექსიც, ანუ მის ჩრდილში ყოფნის, ყოველივეს მისგან

### წინო სადღობელაშვილი

## „იქნებ დაარქვას სახელი“


განპირობების და ასე შემდეგ, რადგან ამაზეც ცხოვრებამ იზრუნა თავიდანვე: მანანამ მამა მხოლოდ 13 წლისამ ნახა პირველად, და ამ სიხარულმა გადაფარა ყველა დანარჩენი ტკივილი და გაჭირვება, რაც მანამდეც და მას მერეც ერგო. ეს მარადიული სიხარული აღმოჩნდა — მამის აღმოჩენის სიხარული. თან, თურმე, იმ დღეს თბილისში ისე თოვდა!..

მანანა ამირეჯიბს არც იმის კომპლექსი აღმოაჩნდა, მამაზე უსაზღვრო აღტაცებით არ ისაუბროს, შეაფასოს და თქვას ასეთი რამეც: „მწერლებიდან პირველად გიღვინებ ვაყენებ ჭაბუა ამირეჯიბს და ოდნავადაც არ ვგრძნობ თავს უხერხულად“. მანვე ამგვარად გამიჯნა თავის ცხოვრებაში მემკვიდრეობით რგუნებული ლიტერატურა, ჭაბუა ამირეჯიბის ორი მთავარი პერსონაჟი — „დათა თუთაშია ჩემთვის ნაოცნებარი სატროფოა, ხოლო გორა მბორგალი — ოცნებახდენილი მამა“.

მიუხედავად იმისა, რომ მამასთან მუდმივი თანამყოფობის ბედნიერება მას არც ბავშვობაში და არც მერე ჰქონია (ფიზიკურ თანამყოფობას ვგულისხმობთ, ცხადია), წიგნში მაინც მძლავრად და გადამდებად იკითხება საოცარი შინაგანი სიახლოვე მამა-შვილს შორის, ღრმა სულიერი ნათესაობა, კონფლიქტიც, რომელიც სამართლიანობის განცდისგან იზადება და მშობელსა და შვილს დაუნერული კანონებით ალაგვინებს ხოლმე ურთიერთობას — უსაზღვრო მონივნება და სრულიად გაცნობიერება იმისა, თუ ვინაა შენი ოჯახი, რა გერგო განგებისგან, რას დაგათმობინებს და რას მოგიტანს ეს უცნაური მოცემულობა. ამ რომანში ამირეჯიბების საგაცაა მოთხრობილი, ამ გვარში და ოჯახში დაბადებული განუმეორებელი, ულამაზესი ქალებით, მეამბოხე კაცებით, ტკივილიანი ბედისწერით... ამ ოჯახის მეგობრებით, ახლობლებით, ნათესავებით, რომლებიც წლების განმავლობაში ქმნიდნენ უხილავ ტილოს ცხოვრების უთვალავი ფერით, მათზე დაკვირვება, მათი საქციელის, სულიერების, სისუსტისა თუ ძლიერების შეფასება და „ნაკითხვა“ კი, როგორც ჩანს, ბავშვობიდან უსაყვარლესი საქმე იყო მანანა ამირეჯიბისთვის. რომანში ის ხშირად ახსენებს რვეულებს, ბლოკნოტებს, მუყაოს საქალაღდეებს, სადაც უამრავ, ყოველდღიურ, ყოველწამიერ ჩანაწერებს ინახავს, თუკი ვინმე განსაკუთრებით მიიქცევს მის ყურადღებას, მაგნიტოფონსაც კი რთავს და დაჟინებული თხონის შემდეგ ამ სუბიექტის მონოლოგებსაც იწერს... ასე შეიქმნა წიგნი „მე და ჩემი წილი მამა“.

ტიპაჟები ვახსენეთ, ვინც მანანა ამირეჯიბის ყურადღება გამორჩეულად დაიმსახურა და, არ შემოიძლია, არ გამოვიყო ერთი მათგანი, რომელიც თავად ავტორ-

მაც განსაკუთრებულად დახატა, უფრო სწორად, არც რაიმე მოაკლო და არც დაამატა, სწორედ მაგნიტოფონზე ჩანერილი მისი მონოლოგი ჩართო წიგნში უცვლელად (საერთოდაც, ამ პორტრეტით დააბოლოვა) და, ვფიქრობ, ამით ერთი უსანიტერესოესი სახე შექმნა ამით ჩენი ბედკრული საქართველოსი. ეს ტიპაჟი გახლავთ ფულიკო (არ ვიცი, მართლა ასე ჰქვია თუ არა, შესაძლოა, მანანა ამირეჯიბმა შეარქვა ასე, რადგან სხვაგანაც არაერთხელ შეხვდებით მისგან უცნაურად მონათლულ პერსონაჟებს — რეალურად ამიანებს): აფხაზეთიდან დევნილი, გასათხოვარი ახალგაზრდა ქალი, რომელიც პრეზიდენტის დაპირებას აღუშფოთებია — ვაიდა, მართლა დავბრუნდეთ აფხაზეთში და, „მე ეხლა იქ დამბრუნებელი ვარ? ბაზრობაზე სამი ადგილი მაქვს გაქირავებული, ორ ჯიხურს ქალაქის ცენ-



ტრში ვამუშავებ... ახლახან ბინაც ვიყიდე, ვის დავეუტოვო ჩემი ევროემონტიანი ბინა? ჩემი კოხტა „პორშე“ სწორედ რომ თბილისს უხდება. სასწრაფოდ უნდა გავთხოვდე!“ ჰოდა, იწყებს თავის მზითვის ლექსად ჩამოთვლას!.. მოკლედ, დავით კლდიაშვილიც არ დაინუნებდა ამ ქალს და ამ ამბავს ერთი კარგი ტრაგიკული კომედიის შესაქმნელად...

ამ წიგნში ნაცნობი და უცნობი თბილისია დახატული, ნაცნობი და უცნობი საქართველო, თავისი გმირებით, ნამებული ხალხით, ამბოხებებით და კონფორმიზმით, და ამ ყოველივეს თხრობას განუმეორებელ ხიბლს ავტორის პოზიცია სძენს, მისი დამოკიდებულება ყველასთან და ყველაფერთან მიმართებაში — უკომპრომიზო და პირუთვნელი, ყველა დაბრკოლებიდან და შეზღუდვისგან თავისუფალი. ზოგადად, თავისუფლების ეს განცდა რომანის ყველა დეტალში იკითხება, რადგან ეს ავტორის ცხოვრების წესია, მთავარი სულიერი მდგომარეობაა. მანანა ამირეჯიბი არც საკუთარი შეცდომების, სისუსტეების აღიარებისგან იხვევს უკან, პირიქით, თითქოს განგებ ხაზგასმით საუბრობს ამაზე, და მამის შეგონებასაც იშველიებს: იცხოვრე ისე, როგორც გინდა, რომ იცხოვრო, ოღონდ არასდროს ინანო მერე. თუმცა, სინანულიც იგრძნობა, მიუხედავად იმისა, რომ ეს არაა ამ რომანის მთავარი მოტივაცია, იგრძნობა სწორედ იმაში, რომ ეს გულწრფელი, სიყვარულით და ტკივილით ნაწერი წიგნი ბოლოს ერთ ნათელ განცდას გიტოვებს — ეს წიგნი-აღსარებაა. აღსარების დროს კი შინაგანი ხმა ცრემლითაა განბანილი და განწმენდილი. „ღამის სიჩუმეში დავიტიროთ ჩვენი სილაჩრე“ — ნაუკითხავს


ერთხელ მანანა ამირეჯიბს პაულო კოელოსთან და მიუხედავად ამ მწერლის მართ მისი არც თუ ისე დიდი სიმპათიისა, სამუდამოდ ჩაუნიშნავს, ცხოვრების წესადაც კი. რამხელა ძალა უნდა ამ სიჩუმის გაძლებას, ამ მარტობას!

უამრავი პერსონაჟის და ამბის მიუხედავად, წიგნის მთავარი კონფლიქტი მაინც მამა-შვილის ურთიერთობაა და ეს ბუნებრივია. მხოლოდ, ეს კონფლიქტი ცუდად არავინ გაიგოს, მე მას ვგულისხმობ დრამის წესიდან გამომდინარე, მთავარ მოტივაციად, და ეს სულაც არ ნიშნავს ყოველთვის ჩხუბსა და ორთაბრძოლას, არამედ მთავარ გამომწვევას ცხოვრებისგან და ადამიანისგან, რომელიც ყველაფერ დანარჩენს განაპირობებს. ჰოდა, ჭაბუას ცხოვრების ცალკეული, მნიშვნელოვანი დეტალები პარალელურ ხაზად გასდევს მანანა ამირეჯიბის ავტობიოგრაფიას, ესაა ძირითადი დრამატურგიული ლერძი, რომელზეც დანარჩენი ამბებია მოთხრობილი. წიგნის დასასრულს კი, ფინალური ეპიზოდი — 2010 წლის ოქტომბერში ჭაბუა ამირეჯიბი ბერად აღიკვეცა. უკეთეს ფინალს ალბათ ვერც მოიფიქრებდა მისი შვილი თავისი წიგნი-აღსარებისათვის. ესეც მამამ და განგებამ უკარნახეს.

აქ რომანის სათაურის არსიც შეიკრა: „მე და ჩემი წილი მამა“.

ამ წიგნში ბევრი ვინმე ამოცნობს საკუთარ თავს. ბევრი ვინმე დაფიქრდება თავის წილ ცხოვრებაზე, ურთიერთობებზე. ეს წიგნი საკუთარი თავგადასავალიცაა და საზოგადოც. და ალბათ, ყველა კარგი წიგნი ამქვეყნად სწორედ ამას გულისხმობს.

**P.S.** ამ წერილის სათაური — „იქნებ დაარქვას სახელი“ — მანანა ამირეჯიბის რომანმავე მიკარნახა. რამდენიმე ეპიზოდს სწორედ ასე ჰქვია წიგნში, თუმცა ის, რის გამოც ეს ეპიზოდები ასე დაასათაურა ავტორმა, არსობრივად განსხვავდება ჩემი წილი არჩევანისგან, როცა ეს სათაური წერილისთვის მოვიხმე. წიგნში „იქნებ დაარქვას სახელი“ სარკასტულად, ირონიითაა ნახსენები, და ამ ეპიზოდებშიც ისეთ ამბებს ყვება მანანა ამირეჯიბი, რომლებიც განსაკუთრებულად მძაფრ ადამიანურ სისუსტეებზე, შეცდომებზე, ნაკლოვანებებზეა, როცა თავდაც ვერ მოუძებნია სახელი ამ ყველაფრისათვის და მკითხველს მიმართავს, მას მიანდობს... ჩემი ჩანაფიქრი კი სულ პირიქით — მშვენიერისთვისაა. მე ამ კარგ წიგნზე გიამბობდით, წიგნზე, რომელზეც, თავისთავად უფრო ბევრიც ითქმება და დაინერება, შენაბამისად — ყველა თავის სახელსაც დაარქმევს. ბოლოს და ბოლოს, სახელის დარქმევა ხომ შესაქმნეს ერთი უპირველესი აქტია, ყველაზე იდუმალიც და სახალისოც; ის მკითხველის საყვარელი საქმეცაა, მით უფრო, თუ წიგნი ამის საშუალებას თავისი სინრფელით იძლევა. „მე და ჩემი წილი მამა“ კი ის რომანია, რომელსაც ჩაუჯდებით, გემრიელად ჩაუღრმავდებით, უნებლიეთ გაითავისებთ და, იქნებ თქვენც დაარქვათ „თქვენს“ წიგნს სახელი...



ლიტერატურული გაზეთი  
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო  
საქართველოს მხარალთა სახელი

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე  
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი  
ჟურნალისტი თამარ ჟურული  
მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940  
9 772 346 794004